

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერულ-პოპულარული სერია

ამბერკი გაჩეჩილაძე

ბრძოლა რეალიზმის
დამკვიდრებისათვის XIX ს.
ქართულ ლიტერატურაში

ქართველი ხალხი დამპყრობთაგან არაერთხელ ჩავარდნილა კრიტიკულ მდგომარეობაში, მათი მეოხებით ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი ხშირად იდგა, მაგრამ ხალხი თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ადრე თუ გვიან, გამარჯვებული გამოდიოდა. ამ ბრძოლის დროს ქართული ლიტერატურა ხალხის ცხოვრების ერთგული თანამგზავრი იყო და ამ ვითარებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. ქართული მწერლობის ასეთი წარმმართველი ძალა აშკარად ჩანს XIX საუკუნეში, როდესაც თვითმპყრობელობა დაემუქრა საქართველოს დამოუკიდებლობას.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების მთავარი მიმართულებები, სხვადასხვა გზით, ხალხის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული და მისი ინტერესების ქომაგის როლში გამოდიოდა. ზოგჯერ, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, ადგილი ჰქონდა ამ მთავარი ხაზიდან გადახვევას, ვიწრო წოდებრივი ინტერესების გამოხატვას, მაგრამ ქართული მწერლობის პროგრესული მიმართულება ასეთ გადახვევებს ბრძოლას უცხადებდა და ეს ბრძოლა ყოველთვის ანტიხალხური მისწრაფებების სასტიკი მარცხით მთავრდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა მწერლობამ ბრძოლა გააჩაღა არ მარტო ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის, არამედ ორმოცდაათიანი წლებიდან იმ ღრმა სოციალური უფსკრულის, წინააღმდეგობის მოსპობისათვის, რომელიც მაშინდელ კლასებს შორის არსებობდა. მასში აისახა ის დიდი სოციალური პროცესები, კონფლიქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გაბატონებულ ხელისუფლებასა, კლასებსა და ხალხს შორის.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში წერის რეალისტურმა მანერამ თავი იჩინა ჯერ კიდევ ორმოციან წლებში, რომანტიკოსის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. პოემა „ბედი ქართლისა“ როგორც სინამდვილის ასახვის ფორმით, ისე სინამდვილის გააზრებით ნამდვილი რეალისტური პოემაა. მან სათავე დაუდო იმ ღრმა ეროვნულ საკითხებს, რომლებიც შემდეგ ქართულმა რეალისტურმა სკოლამ (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.) განავითარა. იგი ამავე დროს შეიქმნა XIX საუკუნეში სათავე იმ ფართო რეალისტური პოემისა, რომლის ტრადიციაც ძლიერი იყო ძველ ქართულ მწერლობაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სინამდვილის გარეშე მწერლობა არ არსებობს, შეუძლებელია ლიტერატურული მიმართულება, რომელიც ცოტად თუ ბევრად სინამდვილეს არ გამოხატავდეს; თვით ისეთი წმინდა რომანტიკული ლექსები როგორცაა „გოგჩის ტბა“, „მერანი“ და „ჩემს დასეფემიას“ პოეტის სუბიექტურ ხედვაში გადატეხილი, საქართველოს სინამდვილის გამომხატველი ნაწარმოებებია. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურული მოვლენის წყარო მხოლოდ სინამდვილე შეიძლება იყოს. მაგრამ სულ სხვა საკითხია, როგორ აღიქვამს ამ სინამდვილეს მწერალი.

რეალიზმი მწერლობაში შემოიჭრა, როგორც კონკრეტული სინამდვილის ობიექტურად ამსახველი დემოკრატიული მიმართულება. იგი მკიდროდ იყო დაკავშირებული იმ ობიექტურ პროცესებთან, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარეობდნენ. საქართველოში რეალიზმის ფორმირება ორმოცდაათიან წლებში, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდატეხის პერიოდში მოხდა, როცა ძველი საზოგადოებრივი ფორმები ირღვეოდა და მის ადგილს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა იჭერდა.

ორმოცდაათიან წლების ქართულმა ლიტერატურამ რეალისტურ ფერებში ასახა საზოგადოებრივი ურთიერთობის ეს დიდი პროცესები. გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, დ. ჭონჭაძისა და ლ. არღაზიანის შემოქმედებაში ჩვენი გარდამავალი

ცხოვრება გადმოცემულია მისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ტიპური ნიშნებით.

ცნობილია, რომ რეალისტური სკოლის წარმომადგენლები მწერლობის დანიშნულებას ერის ცხოვრების გამოხატვაში ხედავდნენ. მათ ქართულ მწერლობაში გადაჭრით უარყვეს „წარდებულბულიანის“, სანტიმენტალური და პანეგორიკული ხასიათის მოტივები. მათი შემოქმედების საგანი ზალხის ცხოვრება შეიქმნა. ასეთ შეხედულებებს ავითარებდნენ ქართველი მესამოციანელები, მაგრამ მათ მოსვლამდე ასეთმა მისწრაფებებმა თავი იჩინა გ. ერისთავის, დ. ქონჯაძისა და ლ. არდაზიანის ნაწერებში.

გ. ერისთავი კომედია „შეშლილში“, რომელიც ორმოციან წლებშია დაწერილი, ვახტანგის პირით, პოეტის დანიშნულებას ასე გამოხატავს:

რომ წავიკითხოთ,
გარდავიკითხოთ
პოეტთ ვარსკვლავი,
ბედნიერებით
და მყუდროებით
არვინ შობილა!
პოეტის ბედი,
სოფელს იმედი

არ ბადებულა;
მათი ცხოვრება
კაცთ ეკვირვება,
რა განჰსჩარყეს სრულად;
ხან სოფელს სტირის,
ხან მალლა ყვირის,
არ არს კმაყოფით.

მწერალი პოეტს სამართლიანობისათვის მებრძოლ საზოგადო მოღვაწედ წარმოგვიდგენს. იგი „სოფლის“ ქირ-ვარაჰის გამომხატველია და მისი ცხოვრება, როგორც სამართლიანობისათვის მებრძოლი ადამიანისა, სავსეა წინააღმდეგობებით.

ლ. არდაზიანი მწერლობას მიზნად უსახავს საზოგადოებრივი მოვლენების რეალისტურად ასახვას. მისი აზრით, ყოველი მხატვრული ნაწარმოების მიზანი უნდა იყოს ხალხის ცხოვრების ავისა და კარგის გადმოცემა. იგი წერს: „პოეზიის მიერ კაცი შეეჭიდება უბედურებასა, დასძლევს მას. მის მიერ კაცი სცნობს ჭეშმარიტებასა, სარგებლობასა და სიკეთესა, კეთილმოქმედებასა და მავნებლობასა, მის მიერ ძნელი ღვაწლი კეთილმოქმედებისა გარდაექცევა კაცსა სუბუ-

ქად და სასიამოვნოდ¹. პოეზიის საშუალებით ადამიანი ერ-
კვევა ქვემარტებაში, კეთილსა და ბოროტში, რაც მთავა-
რია პოეზიას ისეთი ზემოქმედება აქვს, რომ ადამიანი მისი
მეშვეობით, ლ. არდაზიანის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „შა-
ევიდება უბედურებასა, მავნებლობასა“, დასძლევს მათ და
ამ გზით გარდაქმნის თავის ცხოვრებას.

არაერთგან აქვს ლ. არდაზიანს აღნიშნული, რომ ხე-
ლოვნების საგანი ობიექტური სინამდვილეა, რომ წყარო პო-
ეზიისა ცხოვრებაა. ლ. არდაზიანი წერს: „ბუნება, ადვსებუ-
ლი ყოვლითა სიმშვენიერებითა, სიკეთითა, სრული, უმეტ-
ნაკლო, შერთული საკვირველითა გრძნობითა, ანუ სწორეთ
თვით ბუნება არს ერთი, დიდი საკვირველი პოეზია“. ბუნე-
ბაში იგულისხმება ცხოვრება. ალ. არდაზიანი იზიარებს იმ
აზრს, რომ ცხოვრება თვით არის მშვენიერი და პოეზიის
უშუალო წყარო ცხოვრების მშვენიერებაა. ამ შემთხვევაში
იგი დავალებული უნდა იყოს ნ. ჩერნიშევსკისაგან.

ამავე დროს ლ. არდაზიანი უპირისპირდება იმ მწერ-
ლებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში მხოლოდ მაღალ-
არისტოკრატიული წრის წარმომადგენლების ცხოვრებას და
მისწრაფებებს გამოხატავდნენ. მწერლობა სისწორით უნდა
ასახავდეს სინამდვილის. გარემოცვაში მოქმედ ყოველ ადა-
მიანს, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა.
ლ. არდაზიანი სოლომონის („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვი-
ლი“) პირით ამბობს, რომ ისტორია მოვალეა თავის ფურც-
ლებზე ადგილი დაუთმოს უბრალო ადამიანებს, მეჯღანუა-
შვილებსაც. მართლაც, ლ. არდაზიანი დიდი მონდომებით გვი-
ხატავს აღმავლობის გზაზე შემდგარ ვაჭართა კლასს („სო-
ლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), აგრეთვე ცხოვრებას შინა-
მოსამსახურეებისას, რომლებიც ბატონთა ხელში პირუტყვის
მდგომარეობას შენატრიან („მორჩილი“), მწერალს განსაკუთ-
რებით მათი ცხოვრება აინტერესებს. ლ. არდაზიანი სეტონ-
ყმური ცხოვრებით ტანჯულ ადამიანებს ესარჩლება. ცხადია,
ამ შემთხვევაშიაც მწერალი რეალიზმის პოზიციებზე დგას.

¹ ლიტერატურული მუხეუმი, საქმე—697514.

ლ. არდაზიანმა და დ. ჭონქაძემ თავისი შექმედებით ჩვენ ჩაგვახედეს დაბალი ფენის ადამიანთა ცხოვრებაში. ეს მათი დამსახურებაა.

გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, დ. ჭონქაძისა და ლ. არდაზიანის შემოქმედების წყარო მხოლოდ სინამდვილეა. ესენი მწერლობაში მოვიდნენ, როგორც კონკრეტული სინამდვილის ობიექტურად ამსახველი მწერლები. მათ მიერ შექმნილი მხატვრული პერსონაჟების დიდი უმრავლესობა ცხოვრებისა და ადამიანთა ადგილის შესახებ აღებული. გ. ერისთავის თანამედროვე აღნიშნავს, რომ კომედია „გაყრის“ „მოქმედნი პირნი იყვნენ ნამდვილი გადაღებული დღიურის ცხოვრებისაგან“¹. გ. ერისთავის კომედიის პერსონაჟებს მაშინდელ ცხოვრებაში თავისი პროტოტიპები ჰყავდათ. ამავე პრინციპითაა აგებული ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, „ტივით მოგზაურობა.“ და სხვ. ახლა გამორკვეულია ისიც, რომ ლ. არდაზიანს სოლომონ მეჯღანუაშვილის სახე ცხოვრებიდან აუღია. ცხოვრებისეული პორტრეტებია გამოხატული ლ. არდაზიანის სცენებში—„მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“ და სხვ. ასევე უნდა ითქვას დ. ჭონქაძის „სურამის ციხეზედაც“, მასში განსახიერებულია მაშინდელი ბატონყმური საქართველოს სინამდვილე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გ. ერისთავმა თავის კომედიებში გამოხატა. ფეოდალურ ბატონყმური ურთიერთობის დაშლისა და სავაჭრო ბურჟუაზიის განმტკიცების პროცესი. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენა ლ. არდაზიანმა, ხოლო „სურამის ციხე“² სააშკარაოზე გამოიტანა ბატონყმობის რეაქციული ხასიათი და ამით გადმოგვცა ბატონყმობის კრიზისი, მისი მოსპობის აუცილებლობა. ეს საკითხები მაშინ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე მომწიფებული იყო და იგი ორმოცდაათიანი წლების მწერლობამ მხატვრულ ფორმებში ასახა.

გ. ერისთავმა, დ. ჭონქაძემ და ლ. არდაზიანმა თავიანთ ნაწარმოებში შექმნეს მეტნაკლებად ტიპიური ხასიათები ტი-

¹ გ. ერისთავი, თხზულებანი, 1936, გვ. 404.

პიურ გარემოში, რაც დამახასიათებელია რეალისტური მწერ-
ლობისათვის. მართლია, გ. ერისთავის, ზ. ანტონოვისა და
დ. ქონჯაძის მიერ შექმნილი სახეები უფრო პორტრეტულა-
დაა ნოხაზული, მაგრამ ლ. არდაზიანმა სოლომონ მეჯღანუა-
შვილს სახით გამოძერწა ახლად ჩამოყალიბებული ვაჭრის
სრულყოფილი ტიპური ხასიათი, თავისი ტიპური გარე-
მითი, რომელიც ჩვენში შეიქმნა ეკონომიური ცხოვრების
გარდაქმვალ პერიოდში. ასეთი ტიპური ხასიათებს შექმნას
ტრადიციულ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ლ. არდა-
ზიანიდან იწყება. სოლომონი აღმავალი კლასის პირშია,
ამიტომაც მისი სახე დინამიურია და გასვითარების პროცესში
ყალიბდება მისი ტიპური ნიშნები.

სოლომონი და ნოდარი ტიპური შედეგებია იბიექტუ-
რი სინამდვილისა და ორივენი თავიანთი ტიპური ხასიათე-
ბით განოხატავენ მაშინდელი ცხოვრების არსებით მხარეებს.
მართალია, ესენი არ არიან მასიურნი, მაგრამ სამაგიეროდ
ისინა მაშინდელი სინამდვილისათვის იმდენად დამახასიათებ-
ლნი არიან, რომ გამოხატავენ ჩვენი ცხოვრების პროგრე-
სულ ძალას.

ცნობილია, რომ კრიტიკას ხალხის ცხოვრების გაჯანსა-
ღებისათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არაფე-
რი ისე არ ააშკარავენ სისუსტეს, როგორც კრიტიკისადმი
შიში. კრიტიკა განსაკუთრებით მაშინ ასრულებს თავის დიდ
დანიშნულებას, როდესაც გაბატონებული კლასის წარმომად-
გენლები, თავიანთი მდგომარეობით განებივრებულნი და მო-
დუნებულნი, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვის
ნაცვლად, თვითკმაყოფილებას არიან მიცემულნი, და რო-
გორც ქართული ხალხური ლექსი ამბობს: „ლაფში ჩაფლუ-
ლი ურემი შინ მიტანილი ჰგონიათ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ რეალიზმს თავიდანვე
კრიტიკული ხასიათი ჰქონდა. მეცხრამეტე საუკუნის ქართუ-
ლმა რეალისტურმა სკოლამ კრიტიკა აიყვანა დიდ მხატვ-
რულ და პოლიტიკურ სიმაღლემდე. მაგრამ ქართული სა-
ზოგადოებრივი ცხოვრებისადმი კრიტიკულმა განწყობილე-

ზამ ჯერ კიდევ ძველ მწერლობაში იჩინა თავი. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, დ. გურამიშვილმა „ქართლის ქირში“ მოგვცა თავისი დროისათვის კრიტიკის მნიშვნელოვანი პოეტური განმარტება:

აწ ავი რომ არ ვაძაგო,
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო,
კარგს სახულად რა დავარქო?

კრიტიკული რეალიზმის მთავარი ამოცანა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების მხილება იყო. მისი დიადი გარდაქმნელი ძალა უარყოფითის უარყოფაში მდგომარეობდა.

ქართულმა რეალისტურმა სკოლამ ცხოვრებიდან გამოავლინა უარყოფითი ადამიანების ტიპიური სახეები. აღსანიშნავია, რომ ეს უარყოფითი პერსონები ძირითადად ეკუთვნიან მაღალ, გაბატონებულ წრეს. ისინი უმთავრესად წარმოდგენილნი არიან, როგორც ცხოვრების განვითარების შეშფერებელი და ხალხის შემავიწროვებელი ძალები (გ. ერისთავის „გაყრაში“ დიდებულებები, დ. კონქაძის „სურამის ციხეში“ ნოდარის ბატონი, ლ. არდაზიანის „მორჩილში“ თეიმურაზი და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ დ. კონქაძემ ნოდარის სახით „სურამის ციხეში“ დაბალი წრიდან შექმნა დადებითი გმირის სახე. ორმოცდაათიან წლებში შემუშავებული ეს ტრადიცია კლასიკურ სიმალემდე აიყვანეს ქართველმა მესამოციანელებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და გ. წერეთელმა. ილია ჭავჭავაძემ ბატონთა წრიდან ლუარსაბის სახით შექმნა უარყოფითი ტიპის კლასიკური სახე, ხოლო გლეხობიდან კაკოსა, ზაქროსა და გაბროს სახით ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი, დადებითი გმირების უკვდავი სახეები.

ეს ახალი ადამიანები მაშინდელი ბატონყმური ცხოვრების ოპოზიციონერები არიან. მათში ასახულია ხალხის საბრძოლო განწყობილება მაშინდელი უსამართლობის წინააღ-

მდეგ. მაგრამ ამ მხრით ისინი ჯერ კიდევ სრულყოფილნი არ არიან და ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან.

ასეთი კონტრასტის, დადებითი და უარყოფითის კონფლიქტის ჩვენება დამახასიათებელია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის. იგი დაჩაგრულის მოსარჩლის როლში გამოდიოდა და ამაში იყო მისი უდიდესი ჰუმანიზმი.

კრიტიკულ რეალიზმს სათავე გ. ერისთავმა, ზ. ანტონოვმა, დ. კონჭაძემ და ლ. არდაზიანმა დაუდეს. მათ თავიანთ შემოქმედებაში, მეტნაკლებად, ერთის მხრით, ამხილეს ბატონყმური, თავადაზნაურული ცხოვრება (გ. ერისთავი), გვიჩვენეს კონფლიქტი გაბატონებულ წოდებასა და მშრომელ გლეხობას შორის (დ. კონჭაძე), ხოლო მეორეს მხრით, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დაცემა, ბურჟუაზიული კლასის აღმოცენება და განმტკიცება (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი). ეს დიდ მნიშვნელობის საზოგადოებრივი ძვრები შეიქნენ რეალიზმის დასაწყისშივე ჩვენი მწერლობის საგანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოციანელებამდე საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი კრიტიკული მიდგომის გაძლიერება დაკავშირებულია დ. კონჭაძის სახელთან. მან პირველმა გვიჩვენა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის. ამის შესახებ თვით დანიელ კონჭაძე წერდა; „ხელი მოვკიდე ქართულ ლიტერატურას... დავწერე ერთი მოთხრობა სათაურით „სურამის ციხე“. ხალხმა მოთხრობა კარგად მიიღო, ზოგიერთ უვიც მემამულეს გარდა, რომელსაც ვაწყენინე გლეხის საკითხით“. ცნობილია, რომ ამ უვიცმა მემამულეებმა ბატონყმური ცხოვრების დაგმობისათვის დ. კონჭაძეს დევნა დაუწყეს.

მართალია, ასე მძაფრად არა, მაგრამ გ. ერისთავმა, ზ. ანტონოვმა და ლ. არდაზიანმა კრიტიკული თვალსაზრისით შეხედს ჩვენს მაშინდელ ცხოვრებას. თვით ილია ჭავჭავაძემ „ქართული სცენის დაარსებიდან 50 წლის შესრულების დღესასწაულზე“ წარმოთქმულ სიტყვაში გ. ერისთავის შესახებ აღნიშნა:

„ეს ის კომედია „გაყრა“ გახლდათ, რომლის ავტორმა თავ. გიორგი ერისთავმა დაიწყო ქართულ საზოგადოების ტყვედღობა და ნაკლოვანებათა გამოქვეყნება და ამ გამოქვეყნებით ქართულის საზოგადოების ზნეობრივად აღზრდა და გაწრთუნა. ამ დღიდან ქართულ ლიტერატურას კარი გაუხსნა სტენისაკენ და ნება მიეცა სტენიდან საზოგადოებისათვის ქადაგებამოდღვრებისა ამა თუ იმ სახით და მას შემდეგ ამ აზრს მისდევს ჩვენი დრამატული ნწერლობა.—ხ. ანტონოვი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რ. და დ. ერისთავი, ა. ყაზბეგი, ა. ცაგარელი, ე. ნესბი, ე. გუნია და სხვ.“¹.

აღსანიშნავია, რომ გაზ. „დროების“ ათი წლისთავის სადღესასწაულო სხდომაზე ი. ჭავჭავაძემ თავის წინამორბედად აღიარა გ. ერისთავი.

ცნობილია, რომ „ძველსა“ და „ახალ თაობას“ შორის უთანხმოება თავდაპირველად ეურნ. „ცისკარში“ გაიშალა. ამ საკითხს მრავალი ქართველი მკვლევარი შეეხო და საყურადღებო შრომები დაიწერა. ასინი უთანხმოების დასაწყისად ი. ჭავჭავაძის მიერ ეურნ. „ცისკარის“ 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლალის“ თარგმანზედა“ თვლიან. ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართული მწერლობის ისტორიაში ლავრენტი არდაზიანის ადგილი სწორად არ იყო გაგებული. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას ზოგიერთნი უსამართლოდ რიცხავდნენ ცხოვრების განვითარებას ჩამორჩენილ „ძველი თაობის“ მომხრეთა ჯგუფში.

ლ. არდაზიანი, როგორც ეს დღეს გარკვეულია², თაობათა უთანხმოებისას ახალი აზრების, ახალი მიმართულების მქადაგებელი და დამცველი იყო. იგი ამ მხრით ახალ თაობასთანაა დაკავშირებული. მართალია, ახალი თაობის იდეური ბელადი ი. ჭავჭავაძეა, მან გააჩალა ეურნ. „ცისკარში“ „ძველი“³ თაობის კონსერვატიულ-რეაქციული აზრების

¹ გაზ. „ივერია“, № 2, 1902.

² ა. გაჩეჩილაძე, „ლ. არდაზიანი“. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1952, გვ. 173—223.

³ გამოთქმებს „ძველი თაობა“, „ახალი თაობა“ ჩვენ ვხმარობთ პირობითად, ისე, როგორც იგი მაშინ იხმარებოდა.

წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ილიამდე ამ ბრძოლის დაწყებისათვის თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებით თუ პუბლიცისტური წერილებით ნიადაგი შეამზადეს გ. ერისთავმა. ზ. ანტონოვმა, დ. კონჭაძემ, ლავრენტი არდაზიანმა და მოლაყბემ (მ. თუშანიშვილი).

ლ. არდაზიანმა ჯერ კიდევ „ცისკრის“ 1859 წლის მეცხრე ნომერში, ე. ი. სანამ ი. ქავჭავაძის ცნობილი წერილი რევანს ერისთავის „შეშლილის“ თარგმანზედ „ცისკარში“ დაიბეჭდებოდა, გამოაქვეყნა წერილი. რომელშიაც იგი. სხვა საკითხებთან ერთად, შეეცადა გაერკვია ქართული პროზის ჩამორჩენის მიზეზი.

ამ წერილში ლ. არდაზიანი ერთმანეთისაგან მიჯნავს საეკლესიო, „საღვთო წერილის“ ენასა და საერო, სახალხო ენას. მისი აზრით, ლიტერატურა, როგორც პროზა, ისე პოეზია, უნდა იწერებოდეს საერო, სახალხო ენით, რადგან იგი არის, არდაზიანის სიტყვებით რომ ვთქვათ „ნამდვილი ძირეული ფორმა“ ქართული ენისა.

არდაზიანი აშკარად უპირისპირდება ანტონ კათალიკოსის სკოლის ენობრივ შეხედულებებს. იგი საეკლესიო მწერლობის ენას არ თვლის ბუნებრივ ქართულ ენად. მასში, მისი აზრით, ბევრია ხელოვნური, არქაული, არაქართული, ამიტომაც ეს ენა ხალხისათვის გაუგებარია. ამ ენაზე მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ, პროზაული ნაწარმოების წერა მას შეუძლებლად მიაჩნია. ლ. არდაზიანი საღვთო წერილის ენას ქართული პროზის განვითარების შემბორკავად თვლის.

ეს წერილი, როგორც ზემოთ მივუთითეთ. 1859 წელს გამოქვეყნდა „ცისკარში“, ამ დროს ქართული სალიტერატურო ენის გახალხურებისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო.

მაშინ, როდესაც ჟურნ. „ცისკრის“ ფურცლებზე გაბატონებული მდგომარეობა ეგრეთწოდებული „ძველი თაობის“ ადამიანებს, არქაისტებს ეკირათ, საეკლესიო ენის წინააღმდეგ ასეთი აზრის გამოთქმა არ იყო იოლი. რეაქციულად განწყობილ კონსერვატორთა ჯგუფიდან ლ. არდაზიანის ზე-

მოაღნიშნულ შეხედულებათა წინააღმდეგ გაილაშქრა ბარბარე ჯორჯაძემ. ეს იყო მისი პირველი კრიტიკული წერილი „ცისკარში“. მან ლ. არდაზიანის ზემოაღნიშნული წერილი საღვთო წიგნების წინააღმდეგ გალაშქრებლად მიიჩნია.

ბარბარე ჯორჯაძე რელიგიური დოგმების პოზიციებიდან თავს ესხმის ენის საკითხში ლავრენტი არდაზიანის პროგრესულ შეხედულებებს. მან მწერლობისათვის „საღვთო წერილების“ ენის უარყოფა რელიგიის უარყოფად მიიჩნია. ამით, ცხადია, ბ. ჯორჯაძემ ლ. არდაზიანი მაშინდელ კლერიკალურ საზოგადოებას დაუპირისპირა და მას საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეუქმნა. ამიტომაც გასაგებია, რომ ლ. არდაზიანმა სიჩუმე არჩია და ბარბარე ჯორჯაძისათვის „ცისკარში“ აღარ უპასუხნია. მაგრამ ლ. არდაზიანის მიერ დაწყებული საქმე ამით არ დამთავრებულა. ქართული სალიტერატურო ენის განალხურების საკითხი შემდგომ წლებში კიდევ უფრო მეტი სიმწვავეით დაისვა.

ი. ჭავჭავაძემ, როგორც აწას ქვემოთ ვნახავთ, ბ. ჯორჯაძის სქოლასტიკური მსჯელობანი სააშკარაოზე გამოიტანა. იგი ბარბარე ჯორჯაძის წერილის — „რამდენიმე აზრი ახლანდელ მდგომარეობაზე“ — გამო დაწერილ საპასუხო სტატიაში სამართლიანად მიუთითებდა, რომ ბ. ჯორჯაძე საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური ან განათლების საკითხებით კი არ არის დაინტერესებული, არამედ იმითაა აღშფოთებული და ეურნალში წერილს იმაზე წერს, რომ საქართველოში „მარხვას არ ინახამენ“.

კრიტიკული რეალიზმის მოსამზადებელი პერიოდის დახასიათება სრული არ იქნება თუ არ გავითვალისწინებთ მოლაყბის (მ. თუმანიშვილის) იუმორისტულ-კრიტიკულ ფელეტონებს, რომლებიც მან ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული პოლემიკური წერილის დაბეჭდვამდე „ცისკარში“ გამოაქვეყნა. მოლაყბე ამ ფელეტონებში დასცინოდა, კიცხავდა მაშინდელ გადაგვარების გზაზე შექმდვარ თავდაზნაურობას, რომელიც ქართული კულტურისადმი (ეურნალი, თეატრი, ქართული ენა და სხვ.) უსულგულო დამოკიდებულებას იჩენ-

და. ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ მოლაყბე სიხარულთ შეხვდა ბატონყმობის გაუქმებას, რითაც მან განსაკუთრებით აწყენინა ქართველ მებატონეებს.

კრიტიკულ აზრს შეუჩვეველმა, ნიადაგშერყეულმა თავადლობამ მოლაყბის იუმორისტულ ფელეტონებში თავისი დამცილება იგრძნო და ამხედრდა ავტორის წინააღმდეგ. იგი ისეთივე მდგომარეობაში ჩააყენეს, როგორც შემდეგ ილია ჭავჭავაძე; მას წერილები აღარ დაუბეჭდეს. „ცისკარის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე იძულებული შეიქნა მსხვილ მემამულეთა სურვილი, რომლებზედაც მაშინ ბევრად იყო დამოკიდებული „ცისკარის“ არსებობა, დაეკმაყოფილებინა. მოლაყბე ჟურნალიდან გააძევეს.

მოლაყბის ფელეტონები თუ როგორ გავლენას ახდენდა ახალ თაობაზე, ამის შესახებ მოვეუსმინოთ თვით ილიას. 1858 წელს პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში ილია გ. სულხანიშვილს მოლაყბეზე სწერდა:

„... ამას წინეთ მგონია შენი სტატიები იყო „ცისკარში“ და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი. კარგი რამ იყო, რაც კი შეეხება ენას, სწორეთ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ, ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო, რა მახვილით დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველის უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის ჩულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდან ხელში ის ბედნიერი „ცისკარის“ ნომრები, სადაც მოლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის“¹...

ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ „მოლაყბის“ კრიტიკას, მის მარტივ ენას. ცხადია, ილია ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა „მოლაყბის“ ის ფელეტონები, რომლებსაც მამხილებელი ხასიათი ჰქონდათ.

გ. ერისთემა, დ. ჭონქაძემ და ლ. არდაზიანმა თავისი წვლილი შეიტანეს ენის დემოკრატიზაციის საქმეში. ჯერ

¹ „ცისკარი“, გვ. 370—371, № 7, 1863.

კიდევე გ. ერისთავი თავის კომედიებს ქმნიდა ხალხური
ენით. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ხალხური სასაუბ-
რო ენითაა დაწერილი. ასევე უნდა ითქვას ეს ლ. არდაზიან-
ის ნაწერებზედაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი თავის
პუბლიცისტურ წერილებში თეორიულადაც კი ასაბუთებდა,
რომ მხატვრული ნაწარმოებები ხალხური ენით უნდა იწე-
რებოდეს. სალიტერატურო ენის გახალხურების პროცესი
კი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მწერლობაში
რეალიზმის დამკვიდრებასთან, რადგან ქეშმარიტი რეალი-
ტური ნაწარმოები შეიძლება დაიწეროს მხოლოდ ხალხური
ენით. ცხადია, ამ მხრითაც ზემოაღნიშნულმა მწერლებმა
განამტკიცეს რეალიზმი ქართულ ლიტერატურაში.

სამოციან წლებში „ახალმა თაობამ“ ბრძოლა გააჩაღა
კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება-განამტკიცებისათვის.
ჩვენ ამ მხრით განვიხილავთ ამ ბრძოლას სამოციან და სა-
მოცდაათიან წლებში.

გ. ერისთავმა, ზ. ანტონოვმა, დ. ჭონქაძემ და ლ. არდა-
ზიანმა მისცეს დასაწყისი იმ დიდ კრიტიკულ-რეალისტურ
მიმართულებას, რომელიც შემდგომ განავითარეს, გააღრმავ-
ეს და ჩამოაყალიბეს ქართველმა მესამოციანელებმა. ქარ-
თულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის კლასიკური
წარმომადგენლები ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელია, ისინი
ერთი იდეური მიმართულების გამომხატველი მწერლები
არიან. მათ რეაქციონურად განწყობილ თავადაზნაურობის
მისწრაფებებს ძლიერი ბრძოლა გაუმართეს. ცხადია, ეს
ბრძოლა არ იყო გ. ერისთავისა, ლ. არდაზიანისა და მოლაყ-
ბისებური, ილიამ და აკაკიმ იმ დროისათვის ახალი, რადიკალ-
ური იდეები წამოაყენეს.

* * *

ი. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევე რუსეთში ყოფნის დროს მკა-
ფიოდ ჩამოაყალიბა თავისი სამწერლო მოღვაწეობის პროგ-
რამა. მან 1858 წლის დეკემბერს პეტერბურგში დაწერა და
1864 წელს „ჩანგურში“ გამოაქვეყნა ლექსი „ქართველის დე-

დას“, რომელსაც ეპიგრაფად წაუმძღვარა ლეიბნიცის მიერ შეიმუშავებული აზრი: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“¹. ლეიბნიცის ამ სიტყვებით ი. ჭავჭავაძემ მიგვითითა იმ მარადიულ კავშირზე, რომელიც არსებობს, ერთის მხრით, წარსულსა და აწმყოს შორის, ხოლო, მეორეს მხრით, აწმყოსა და მომავალს შორის. მაგრამ მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს აწმყოზე, რომელსაც უნდა წარმოემვა მომავალი.

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი..

ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

რა საკითხს აყენებს ილია ჭავჭავაძე ამ ლექსში? მთავარი აქ ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის ბრძოლის საკითხის სწორი დაყენება იყო. ისე რომ ხალხის ინტერესების დაცვის იდეა ამ ლექსში მკაფიოდ არის გამოთქმული, სწორედ ამაზე მიუთითებს ილიას სიტყვები: „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

აქვე, ქვემოთ, პოეტი მოუწოდებს ქართველ დედებს, ისე აღზარდონ შვილები, მომავალი თაობა, რომ სახალხო ინტერესების, „ძმობის, ერთობისა და თავისუფლების“ თავდადებული დამცველნი იყვნენ. ამაში ხედავს მგოსანი ახალი თაობის მოვალეობასა და ღირსებას.

მთავარი, რომელიც ილიამ ამ ლექსში წამოაყენა, ეს იყო განახლებული, დემოკრატიული საქართველოსათვის ბრძოლის საკითხი. ამ საქმეში, მისი აზრით, წამყვანი როლი ახალ პრინციპებზე აღზრდილ ახალ თაობას უნდა შეესრულებინა. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ილიას სიტყვები, რომელიც რუაქეთში ნასწავლი ახალგაზრდობის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას ეხება: „ქვეყანა

¹ ლეიბნიცის თავის „მონადოლოგიის“ 22-ე პარაგრაფში ეს ურთიერთ დამოკიდებულება ასე აქვს გადმოცემული: „და ვინაიდან მარტივი სუბსტანციის ყოველი აწინდელი მდგომარეობა ბუნებრივად არის მისი უწინდელი მდგომარეობის შედეგი, ისე როგორც თავის მხრივ აწმყო მძიმეა მომავლით...“ (ლეიბნიცი, „მონადოლოგია“, თარგმანი პროფ. ს. დანელიასი, ზვ. 27).

მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი საქსახურის ასპარეზი“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პირველ საპროგრამო ლექსში ი. ჭავჭავაძე უკვე აყენებს ხალხის ინტერესების დაცვის იდეას. კონკრეტულად რაში მდგომარეობს ეს იდეა, ამაზე ჩვენ ჭკემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ ხალხის ინტერესების დაცვა, მისი მომავლისათვის ბრძოლა, დემოკრატიული ტენდენციები, იყო ის ქვაკუთხედი, რომელიც ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას თავიდანვე საფუძვლად დაედო და შემდეგ კი განსაზღვრა იგი.

ქართულ მწერლობაში ამგვარად საკითხის დაყენება იმ დროისათვის ახალ მოვლენას წარმოადგენდა. ი. ჭავჭავაძემ თავის წინამორბედებთან შედარებით ეს საკითხი ახლებურად გააშუქა. ცნობილია, რომ რომანტიკოსებისათვის (ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი) ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქართველოს წარსული ცხოვრების ასახვა იყო. ისინი იმდენად გაიტაცა წარსულმა, რომ იგი მათთვის თვითმიზნად გადაიქცა, ხოლო ისეთი სასიცოცხლო საკითხი, როგორც იყო ქვეყნის მომავლისათვის ბრძოლა, მათ ძალიან ბუნდოვნად ჰქონდათ წარმოდგენილი. გრ. ორბელიანი „სადღეგრძელოში“ პირდაპირ მიუთითებს, რომ „დიდება ივერიისა“ მეფე ერეკლესთან „მარხია მარადის“. იმ ერეკლესთან, რომელიც გრ. ორბელიანისათვის სიმბოლო იყო წარსულისა. ამ მხრით, თავისებურება ახასიათებს ნ. ბარათაშვილს. რომელიც თავის შემოქმედებაში მომავლისათვის მებრძოლ პოეტად მოჩანს. მაგრამ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისათვის უცხოა ის დემოკრატიული მისწრაფებები, რომელიც დამახასიათებელია ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებისათვის. ცხადია, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კრიტიკულ-რეალისტურმა მეთოდმა, რომელიც მათ მწერლობაში ჰქონდათ მომარჯვებული.

¹ ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, გვ. 8.

ი. ჭავჭავაძემ, როგორც დიდმა რეალისტმა, მწერლობას მიზნად დაუსახა არა ის, თუ რა იყო, არამედ დღეს რა არის, რა გზით უნდა წარიმართოს ჩვენი ცხოვრება. ამით მან თავისი შემოქმედება მჭიდროდ დაუკავშირა ხალხის მომავალს.

ლექსი „პოეტი“ დაიწერა 1859 წელს და დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მეოთხე ნომერში; ი. ჭავჭავაძე გაემიჯნა იმ პოეტებს, რომლებიც პოეზიის დანიშნულებას „ტკბილი ხმების“ გადმოცემაში ხედავდნენ და ამით მას შემეცნებით მნიშვნელობას უკარგავდნენ, მწერლობას საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხებიდან სთიშავდნენ. თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ილიამ დაუპირისპირა მოწინავე თეორია „ხელოვნება ცხოვრებისათვის“.

ამ ლექსში პოეტი მან ხალხის მსახურად გამოაცხადა, იგი „ერის მოძმეა კმუნგასა და სიხარულში“. ჭეშმარიტი მგოსანი, მისი აზრით, ხალხში უნდა ცხოვრობდეს და მისი წინამძღოლის როლში უნდა გამოდიოდეს. მას ხალხის „წყულული“ საკუთარ „წყულულად“ უნდა მიაჩნდეს და „ერს ტანჯვის ცრემლსა“ სწმენდდეს. პოეტის კონკრეტულ დანიშნულებას ილია ასე გადმოგვცემს:

ერის წყლული მანდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

პოეტის დანიშნულების ასეთ გაგებაში, ცხადია, გამოხატულია პოეზიის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა, რომ იგი ხალხის ცხოვრების მიუდგომელი ამსახველი და დამცველი უნდა იყოს.

ილია ჭავჭავაძემ „კაცია ადამიანსა“, „გლახის ნაამბობსა“ და „კაკო ყაჩაღში“ ბატონყმური ცხოვრება დაგმო. „კაცია ადამიანი?!“ სრულად დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის ნომერებში, ცხადია, იგი გაცილებით ადრე იწერებოდა. ეს ის დროა, როდესაც საქართველოში ბატონყმობა მძვინვარებს. ილია ჭავჭავაძე ბატონყმობას გაბედულად თავს

დაესხა და ამხილა მისი სიღამპლე. ამას აშკარად მოწმობა, „სხვა ნაწარმოებებთან ერთად, „კაცია ადამიანი?!“, ეს შესანიშნავი სატირა პარაზიტად ქცეულ მებატონეებზე. ამ ნაწარმოებში მწერალმა ლუარსაბ თათქარიძის სახით იშვიათი მხატვრული ოსტატობით გამოძერწა ზედმეტი ადამიანის ტიპი, რომელსაც ბატონყმური ცხოვრების პირობებში გაბატონებული მდგომარეობა ექირა და მძიმედ აწვა ხალხს.

ის კრიტიკულ-რეალისტური გზა, ტიპიზაციის პროცესი, რომლითაც „კაცია ადამიანიში“ ლუარსაბის ტიპიური სატყ ჩამოყალიბდა მწერალს გადმოცემული აქვს „კაცია ადამიანის“ შესავლის ვარიანტებში. ეს ვარიანტები ერთმანეთს ძალიან უახლოვდებიან, მაგრამ ი. ჭავჭავაძის რეალისტურ-კრიტიკული მეთოდი განსაკუთრებული სიცხადით გადმოცემულია შესავლის ბოლო, მეოთხე ვარიანტში.

მწერალი მგზავრობისას ამყარებულ, ხავსმოკიდებულ გუბებს წააწყდა. ამ წუმპეში ცხოვრობდნენ „ორფეხა ცხოველები, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან“. მწერალი გუბეში შევიდა იმ მიზნით, რომ ხალხს აცნოს თუ ეს გუბე, როგორ აღპობს და ხრწნის ცოცხალ არსებებს. შესვლისას მან იქ დაიწყო ქვემძრომებზე ნადირობა, და აი, მყრალ ცხოვრებაში წააწყდა იგი ლუარსაბ თათქარიძეს, „ყმისა და მამულის პატრონს“.

ძნელი არ არის მიხვდე, რომ ეს მყრალი წუმპე, რომელშიაც ეს „ორფეხა“ ცხოველები ცხოვრობენ, ბატონყმური ცხოვრებაა, ლუარსაბი კი მისი ნაშობი.

მწერალი გაოცებულია იმის გამო, რომ ამ სიმყრალეში ცხოვრობენ ადამიანები. ი. ჭავჭავაძეს სურს მათ დაანახოს სინამდვილე, მაგრამ თათქარიძეებს როდი სურთ მოსცილდნენ წუმპეს, ბატონყმურ ცხოვრებას.

მწერალმა ყურში ხელი ჩაავლო ლუარსაბს და წუმპედან გამოათრია, მაგრამ იგი მას არ დაემორჩილა ლუარსაბი გუბეში კარგადა გრძნობს თავს. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„—გუბეში რას ჰქვიან, გიყი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრებაა ევა.

—ხედაც გეტყობა.

—როგორც სხვას ეტყობა ხედა, ისეც მე.

—მართლა?

—თავი არ მამიკვდება.

—მაშ კაი ნიმუნი ხარ შენ. ჩემო ლუარსაბ, თუ ეგრეა.

—კარგი, ნუ მასხარაობ. მამა ნუ წაგიწყვდება! თავი დამანებე, სინათ-
ლეზედ ნუ გამომიყვანე.

—კიდევ იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო, რომ ამოტლაპული ხარ.
გუბეში, რონელსაც შენ სამ.სხარაოვ ცხოვრება დაგიარქმევია: იქნება შე-
გრცხვეს ქვეყნისა და გაიოეცხო.

—რალა ეე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა!

—აბა უფრო მაგისათვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგეხარ და ათასი
შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია. აქეთ მობრძანდი, აქეთ, შენ
თვირფასი მარგალიტი ხარ.

წაველე ყურზედ ხელი და გამოვსწვიე. ლუარსაბი უგემურად დაიღმიკა.
ამ ჩემი ნახის ალურსისაგან და დამიყვირა:

—რომ მიგყევარ, სად მიგყევარ?

—მოთხრობაში, ჩემო კარგო!

—მოთხრობა რა არი?

—პატარა ტილოა, ხედ ადამიანებს ხატავენ.

—არ მინდა, არ მინდა!—დაიღორიალა ლუარსაბმა:

—ძმანო და ნათესავნო, მიშველეთი!“

ლუარსაბმა თავის მსგავს თანამოძმეებს მოუწოდა გა-
ილაშქრონ იწერლის წინააღმდეგ. ეს ამონაწერი მრავალ-
მხრივია საყურადღებო. მწერალი პირველ ყოვლისა გადმოგვ-
ცემს თავისი შემოქმედების რეალისტურ-კრიტიკულ ხასიათს,
რომ მან „კაცია ადამიანში“ მიზნად დაისახა ბატონყმური
სინამდვილის მძაფრი კრიტიკა, მისი სრული უარყოფა. შე-
უძლებელია ვიფიქროთ, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, რომ
ი. ჭავჭავაძე ფიქრობდა ამ „ამყრალებული წუმპის“, ე. ს.
ბატონყმობის გამოსწორებას.

აქ საყურადღებოა ტიპიურის ჩამოყალიბების პროცესზე
ილიას მითითება. მწერალი გარკვევით აღნიშნავს, რომ ლუ-
არსაბს მან იმიტომ „წაავლო ხელი“, გამოსახა მოთხრობაში,
რომ იგი შემთხვევითი კი არ არის, არამედ მასიური, ან რო-
გორც ილია ეუბნება ლუარსაბს „შენ ათასსა ჰგეხარ და.

ათასი შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია“. ლუარსა-
პი ქართველი მებატონის სახეს გამოხატავს; მწერალი მასში
თავს უყრის და აწვრთნის იმ ნიშნებს, რომლებიც ბატონ-
ყმობის პერიოდში დამახასიათებელი იყო ქართველი მება-
ტონე თავადაზნაურობისათვის. ამავე დროს, ი. ჭავჭავაძე
მას ანიჭებს მისთვის შესაფერ სასიცოცხლო ინდივიდუალურ
ნიშნებს. რაც ლუარსაპის სახეს კონკრეტულ-ტიპიურ მოვ-
ლენად აქცევს. ამით ჭავჭავაძემ ნათლად გვიჩვენა, როგორც
თვით აღნიშნავს, არა პიროვნული, არამედ „საზოგადო კი-
რი“, — რას წარმოადგენდა ის საზოგადოებრივი კლასი,
რომლის ტიპიური წარმომადგენელიც ლუარსაპი იყო. ტი-
პიურის ჩამოყალიბების ასეთი გზა დამახასიათებელია კრი-
ტიკული რეალიზმისათვის.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძეს
თავის მოწინააღმდეგე ძალებად, რომლებიც მას „წუმპი“,
უარყოფისათვის „ტალახსა სერიან“, ქართველი მებატონე
თავადაზნაურობა ჰყავდა წარმოდგენილი. ის თავადაზნაუ-
რობა, რომელიც, როგორც ეს კოტე აფხაზს თავის მოგონე-
ბაში აქვს აღნიშნული, ბატონყმობის დაგმობისათვის სასიკვ-
დილოდ სდევნიდა პოეტს.

საბოლოოდ ილია ჭავჭავაძეს „კაცია ადამიანისათვის“
დაურთავს მოკლე წინასიტყვაობა. რომელსაც ეპიგრაფად
წამძღვარებული აქვს ცნობილი ქართული ანდაზა „მოყვარეს
პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. მწერალი წინასიტყვა-
ობაში გვანიშნებს, რომ ხალხის მიერ ამ ანდაზაში გამოთქ-
მული აზრი მისთვის სახელმძღვანელოა, რომ მან. როგორც
ხალხის „მოყვარემ“, ცხოვრების გაჯანსაღების მიზნით, და-
უზოგავად უნდა ამხილოს თავისი ქვეყნის ნაკლოვანებები.
რა თქმა უნდა ეს აქ შემთხვევით არ არის ნათქვამი. ეს აზრი
საფუძვლად უდევს ილიას მთელ შემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე აქ პირდაპირ მიუთი-
თებს იმასაც, რომ ხალხია ბრძენი, შეუცდომელი და ყოველ-
თვის მართალი. მართლაც, ი. ჭავჭავაძის შემოქმედების
დასაყრდენს ხალხი წარმოადგენდა, ხალხის მიერ შემუშავე-

ბულ შეხედულებებს ის ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდა.

თავისი ასეთი სახალხო მისწრაფებები ი. ჭავჭავაძემ კიდევ უფრო ნათლად გამოხატა ლექსში — „ჩემო კალამო“, რომელიც გამოქვეყნებულია „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში, საპროგრამო წერილის გვერდით. ამ ლექსს პოეტი ასე ამთავრებს:

ჩემუ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მაღავს. ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბოიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს—
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია.

აქაც გარკვევით მიუთითებს მწერალი, რომ საქართველოს ცხოვრების გაჯანსაღებისათვის ბრძოლა არის მისი მწერლობის მთავარი დანიშნულება და ვინც საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ასეთ კრიტიკულ მიდგომას ქვეყნის მტრობადა სთვლის, იგი ან „ბოროტია“ და ან „ბრიყვი“ უვიცი.

ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში ბრძოლას ორი მიმართულებით აწარმოებს, ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ. ბატონყმური ცხოვრების წინააღმდეგ მას გამოჰყავს ხალხის წრიდან გამოსული გმირები (გაბრო, კაკო, ზაქრო), რომლებიც სასიკვდილოდაც კი არ ინდობენ თავიანთ ბატონებს. მათ კარგად იციან, რომ „გლეხკაცისა და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გაძლებს ბატონის ხელში“ („კაკო ყაჩალი“).

საერთოდ, უარყოფითისა და დადებითის კონფლიქტის გამოხატვა დამახასიათებელი შეიქნა ამ დროის ქართული ლიტერატურისათვის. დადებითი გმირები უარყოფითი პერსონაჟების მოქმედებათა ფონზე ისე არიან დახატულნი, რომ მკაფიოდ ჩანს მათი ძალა, და ის საზოგადოებრივი წინააღმდეგობები, რომელნიც მაშინდელ ბატონყმურ საზოგადოებაში არსებობდნენ. ესპანელი გაპოჩინილი მწერალი ლოპე დე ვეგა სამართლიანად წერდა:

როცა მხატვარა, ტილოს სივრცეზე
წყვიდიადით მოსილ სიბნელეს ხატავს,
მაინც სინათლის შექმს სტრუქტურას, რათა
უკეთ შეგვეძლოს დანახვა ღამის.

ლოპე დე ვეგას ეს აზრი ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ მხრივაც, რომ უარყოფითი დადებითთან ბრძოლის ფონზე უფრო ნათლად გამოჩნდება, კონტრასტები ერთმანეთს უფრო ააშკარავენ. ასეთი მეთოდით წინააღმდეგობის ჩვენება ქართული კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი იყო.

ისე, როგორც ეს ხშირად ახასიათებს კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს, მათ მიერ შექმნილი დადებითი გმირები ინდივიდუალური მეტროპოლებია, ისინი ვერ უკავშირდებიან ამხედრებულ გლეხობას, რომ საბრძოლველად გამოიწვიონ. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს დადებითი გმირები მართალია შეგნებულად იბრძვიან ბატონყმობის წინააღმდეგ, მისი მოსპობისათვის, მაგრამ მათ მომავალ ცხოვრებაზე ნათელი წარმოდგენა არა აქვთ, ისე რომ მომავლის იდეალები მათთვის დამახასიათებელი არაა. სამაგიეროდ, ილია ჭავჭავაძის სხვა ნაწარმოებებში („აჩრდილი“, „ქართლის დედას“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ.) მომავალზედაც არის მითითებული, რა თქმა უნდა ისე, როგორც ეს მწერალს ესმოდა.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში სოციალურ-კლასობრივ საკითხებს დიდი ხდგილი უჭირავს, მაგრამ მის შემოქმედებაში ასევე ფართოდაა გამოხატული ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილები. მწერალი თვითმპყრობელურ ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგას და თავის შემოქმედებაში გამოხატავს ბრძოლის გზით თავისუფლების მოპოვების იდეას („მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“, „მესმის მესმის“, „ჩემი თარიარალი“, „ნანა“ და სხვ.).

ყოველივე ეს ჩვენ მიგვითითებს, რომ ი. ჭავჭავაძის სამწერლო მეთოდი კრიტიკულ-რეალისტური იყო, და იგი სამოციან წლებში, ჯერ კიდევ ბატონყმურ საქართველოსა და

შის დამცველებს მოევლინა, როგორც დემოკრატიული იდეებისათვის მებრძოლი მწერალი.

ილია და აკაკი სამწერლო ასპარეზზე თითქმის ერთსადაიმავე დროს გამოვიდნენ. აკაკი წერეთელი, ისე როგორც ილია, მწერლობაში რეალისტურ-კრიტიკულ გზას დაადგა. იგი მწერლობის ასპარეზზე მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილების ფართო კრიტიკით გამოვიდა.

აკაკი წერეთელი ჟურ. „ცისკრის“ 1864 წლის ნომერში თავისი პოეზიის დანიშნულების შესახებ წერს:

ხან სიტბო აიაფე,
ხან ნაღელი აქაფე,
ქეშმარიტება აქე,
და ბოროტი აკაფე.

ამავე ჟურნალში აკაკი წერეთელმა კირილე ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემულ „ჩანგურზე“ რეცენზია გამოაქვეყნა. მან ამ რეცენზიაში, ისე როგორც ილია ქავჭავაძემ „პოეტში“, გაილაშქრა იმ მწერლების წინააღმდეგ, რომლებიც ნაწარმოებებს გართობისათვის წერდნენ. აკაკი მიუთითებს, რომ ქეშმარიტი მწერალი ხალხის ჰარვარამის გამომხატველი უნდა იყოს. ასეთებად მას მიაჩნია ნ. ბარათაშვილი და ი. ქავჭავაძე.

აკაკი წერს: „ჩვენ ვეძებთ ქვეიანურ აზრებს და ამას კიდევაც ვნახულობთ ი. ქავჭავაძის ლექსებში“. აკაკი მაღალ შეფასებას აძლევდა ი. ქავჭავაძის რეალისტურ-კრიტიკულ ნაწარმოებებს, იგი წერს: „ჩემის აზრით „კაცია აღამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“. აკაკი წერეთელი ამ შეხედულებებით, ცხადია, ახალი თაობის მწერლების მისწრაფებებს გამოხატავდა.

პოეტს ცხოვრებაზე მწერლობის ზემოქმედების ძალა ღრმად ჰქონდა შეგნებული. პოეზიამ ხალხის ცხოვრების გარდაქმნას ხელი უნდა შეუწყოს:

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს

და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარიგით ესობოდეს!

(„ჩანგური“)

აკაკის ლექსები — „მუშური“, „გლებზე აღსარება“, სადაც პოეტი ბატონყმობის წინააღმდეგ ილაშქრებს, კრიტიკულ-რეალისტურ ფერებში წარმოგვიდგენს მაშინდელ სინამდვილეს. ცნობილია, რომ ამ ლექსების გამოქვეყნებისათვის აკაკის თავადებმა დევნა დაუწყეს.

აკაკი სამოციან წლებში, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე, მებრძოლ განწყობილებებს გამოხატავდა. იგი ხალხს გამოფხიზლებისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ამ მხრით ფრინად საყურადღებოა „ცისკრის“ 1863 წლის ნომერში გამოქვეყნებული ლექსი „ძველ სამეფოს“. პოეტი მიმართავს სამშობლოს:

ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,
ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?
შენი არის!.. ბედს გეჰადის!
მიეგებე, ნულა გძინავს!
მოემხადე, ახალი დრო
შესამკობად გვირგვინს გიწნავს!
წინა წავალთ შენი ძენი,
გესურს, —ახალ დროს ვუღოთ ბჰენი,
და დაესაზხოთ წმინდა სისხლი
რომ გაკბანოთ ძველი სენი!
ნზად ვართ, მსხვერპლად შეგვიწირე,
აღსდგე შემოირტყი წენი!
დიდებაო ძველის-ძველო,
დღეს სნეულო საეჭველო!
გულს ნუ იტეხ, წამოდეჰი,
ნეტარების მომლოდნელო!
მოგვეწარ რომ ვიძახოდეთ:
ვაშა, ვაშა საქართველო!

ასეთი მოწოდებით მიმართა პოეტმა მაშინდელ „დასნეულებულ საქართველოს“. ამ მოწოდებაში მოჩანს ქვეყნის აწმყოსადმი პოეტის კრიტიკული დამოკიდებულება და განახლებული საქართველოსათვის მებრძოლი ხმა. პოეტი ამ

ლექსში აცხადებს, რომ ახალი იდეებით გამსჭვალული ახალგაზრდობა მზად არის ქვეყნის განახლებისათვის ბრძოლას წსხვერპლად შეეწიროს.

ასეთი იყო ის პოზიცია, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას, მესამოცე წლებში ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ჩვენი მაშინდელი სინამდვილისადმი დაიკავეს. ამავე პოზიციაზე იდგა რუსეთიდან დაბრუნებული გიორგი წერეთელი. ისიც ჩადგა განახლებული საქართველოსათვის მებრძოლ მწერალთა რიგებში. ცხადია, ეს ბრძოლა იმავე დროს იყო ბრძოლა მწერლობაში რეალისტურ-კრიტიკული მიმართულების დამკვიდრებისათვის.

* * *

„ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილი — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავისაგან კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. ამ წერილმა მაშინ სიახლისადმი რეაქციონურად განწყობილ წრეებში დიდი უთანხმოება გამოიწვია. ეს წერილი მათ მიიჩნიეს, როგორც თავდასხმა ახალი თაობისა ძველ თაობაზე. ამ დროს ილია ჭავჭავაძე, გარდა იმისა, რომ მას მოხაზული ჰქონდა თავისი ცნობილი ნაწარმოებების „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობისა“, და „კაცია ადამიანის“ ვარიანტები, ავტორი იყო გამოქვეყნებული ლექსებისაც („ლოცვა აჩრდილისა“, „ელეგია“, „გაზაფხული“ და სხვ.).

ზემოაღნიშნულ პუბლიცისტურ წერილში ილია თუმცა კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზე ლაპარაკობს, არჩევს მას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის მისთვის მთავარი, ილია ჭავჭავაძემ კოზლოვის „შეშლილი“ და მისი თარგმნის ანალიზი გამოიყენა თავისი შეხედულებების გადმოსაცემად. ილია ამ დროს 24 წლის ახალგაზრდა იყო და მას უკვე ჰქონდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თავისი დამოუკიდებელი, პროგრესული შეხედულებები. ილიას წერილი — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ პირველ ყოვლისა პოლიტიკურ-პუბლი-

ცისტური წერილი იყო, რომელშიაც, მართალია, მკრთალად, მაგრამ უკვე მოჩანს ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ის ძირითადი, დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მან მესამოცე წლებში გამოხატა და განავითარა თავის ცნობილ ნაწარმოებებში.

ი. ჭავჭავაძე ამ წერილით იწყებს ბრძოლას გ. ერისთავის, დ. კონჭაძისა და ლ. არღაზიანის მიერ დაწყებული კრიტიკული რეალიზმის განმტკიცებისათვის. იგი, ითვალისწინებს რა მაშინდელ სინამდვილეს, სანტიმენტალიზმს დრომოკმულსა და იდეურად მიუღებელ ლიტერატურულ მიმართულებად თვლის. მთავრი ის არის, რომ, ილია ჭავჭავაძის აზრით, სანტიმენტალისტური სკოლის მწერლები „ყალბ გრძნობიანი, მტირალა და წირპლიანები“ იყვნენ. ისინი თავიანთ შემოქმედებაში ცხოვრებისეული სურათების დახასიათების ნაცვლად ხატავენენ ყალბი გრძნობებით შეფერადებულ სახეებს, რომელნიც ხალხში აქტიური, მებრძოლი სულისკვეთების ნაცვლად დაცემულობის, ტირილისა და ძილის სულისკვეთებას ქმნიდნენ. ილია ჭავჭავაძე ამის გამო სვამს კითხვას: „რა საჭიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სანტიმენტალური სკოლის მწერლების გაცნობა“. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს სანტიმენტალური ხასიათის ის ნაწარმოებნი, რომლებიც „ცისკარში“ დაიბეჭდა. თვით ილია ჭავჭავაძე მიუთითებს „ცისკარში“ დაბეჭდილ მარმონტელისა და კოზლოვის თარგმანზედ, როგორც ქართველი ხალხისათვის სრულიად მიუღებელ ნაწარმოებებზე.

ძველი ქართული მწერლობიდან ილია ჭავჭავაძე ასევე უარყოფით შეფასებას აძლევს სპარსულიდან გადმოკეთებულ „ვარდბურბულიანს“, „შამფარვანიანსა“ და სხვა „ცრემლის მომგვრელ“ თხზულებებს. ესენი ილიას სანტიმენტალური მიმართულების ნაწარმოებებად მიაჩნდა. გარდა მის მიერ დასახელებული ნაწარმოებებისა, „ცისკარში“ არც თუ იშვიათად იბეჭდებოდა სანტიმენტალური, მოწყენილობის გამომხატველი ნაწარმოებნი:

ახ მთვარე, მთვარე, დამწვართ იმედო,
 მსურს ჩენი ტანჯვა შენ გავიბედო.
 მთვარე, ხომ გაასოეს ის ტბილი ღამე,
 მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მოწამე,
 • შენის ვერცხლებრივ ნათლით ნოსილნი
 ხის ძირს ვისხედით, გვდიოდა ცრემლნი...

ეს სტრიქონები, რომელიც ამოვწერეთ ჟურ. „ცისკრის“ 1861 წლის დეკემბრის ნომრიდან, ეკუთვნის გრ. რჩეული-შვილს. ამ ლექსმა მაშინ ხალხში პოპულარობა მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ილია სწორედ ასეთი ოხვრითა და ცრემლით გაყდენთილი ნაწარმოებების წინააღმდეგ ილაშქრებს; რადგან იგი ქართველ ხალხში დაცემულობის ტენდენციებს ავითარებდა. ხალხში მწუხარებისა და დამაძინებელი განწყობილების შემქმნელი ლიტერატურული მიმართულება ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას იმთავითვე ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც ილია თვით კოზლოვის შესახებაც ამ წერილში შენიშნავს: „ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმემ; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეპყების წარღვნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედავენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეკედლებიან მონასტრის კედლებს მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ...“ ილიას ხიბლავს მებრძოლი რომანტიკული ბუნება, „მოუდრეკელი სული ბაირონის გმირებისა“. ილიას აზრით, ლიტერატურული ნაწარმოები, მისი გმირები ცხოვრების განახლებისათვის მებრძოლი სულისკვეთებით უნდა იყვნენ გაყდენთილნი. ილია ჭავჭავაძე უპირისპირდება ცხოვრების მეტაფიზიკურ გაგებას. მისი აზრით, მთავარი მოძრაობა — განვითარებაა, სადაც ეს არ არის იქ თავისუფალი ცხოვრება არ შეიძლება იყოს: მოძრაობა როგორც განვითარების საფუძველი ფილოსოფიური სიღრმით ი. ჭავჭავაძემ გამოხატა „მგზავრის წერილებში“. იგი ძველი თაობის საყურადღებოდ აღნიშნავს, რომ იმისი თქმა — „რაც მამა პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათ“ ხალხის დამღუპველია, რადგან ასეთი გაგების შედეგად მოხსნალია მოძრაობა, წინსვლა და განვი-

თარება, რომელიც ბატონყმობისა და მეფის მთავრობის უღელქვეშ მგმინავი ქართველი ხალხისათვის მთავარ სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა.

ილია ამ ნაწარმოებში მონურად, ჩამორჩენილი სინამდვილისადმი „მამების“ შემარცხებლური პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებს და იმ აზრს ავითარებს, რომ საზოგადოება წარსულის ნაკლოვანებათა მხილებით, შეცდომების დაძლევათ წინ უნდა წავიდეს, იბრძოლოს სამშობლოს მომავლისათვის.

ქართველი მონურ ცხოვრებაში ჩაფლულა და ძილს მისცემია, ძილს კი ერისათვის დამღუპველია. ილია ქვეყნადამ ჯერ კიდევ 1859 წლის „ცისკარის“ ფურცლებზე მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა ამგვარად დაახასიათა:

არსაიდან ხნა. არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მტყუდა,
ხოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კენესა ისმოდა!

ვიდქ მარტოკა... და მთების ჩრდილი
ყელავ ჩემ ქვეყნის ძილს ვალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

პოეტი ქართველ ხალხს მოუწოდებს გამოფხიზლებისაკენ, რომ მან თავი დააღწიოს მონობას. პოეზია, რომელიც თვითკმაყოფილებისა და მოსვენებისაკენ მოუწოდებს ხალხს, ქვეყანას დაღუპვის გზაზე აყენებს. ილია ქვეყნადამ ამ თავის პირველ პუბლიცისტურ წერილში სამართლიანად გაკიცხა დიმიტრი ბერიძე (ბერიევი) გლეხობის, ხალხის დამაძინებლო ლექსის დაწერისათვის. ილია წერს. დიმიტრი ბერიძე, რომელიც „პოეზიაზე უკაცრავად ბრძანდება... გუთნისდღდას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს.. ძილზედ უკეთესი არა არის ქვეყანაშიო, ეს კი არ აგონდება უფალ ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა მამაპაპურმა ძილმა დაგვლუპა ჩვენ“¹.

დიმიტრი ბერიძემ ლექსი „გუთნის. დედა“ გამოაქვეყნა

¹ „ცისკარი“, გვ. 576, № 4, 1861.

„ცისკრის“ 1860 წლის მეცხრე ნომერში, ხოლო ილია ჭავჭავაძემ ამავე სათაურით 1863 წელს, „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა თავისი ლექსი. ორივე ლექსი ერთსა და იმავე თემაზე — ყმა გლეხის, გუთნისდედის ცხოვრებაზეა დაწერილი, მაგრამ ილია ჭავჭავაძის „გუთნის დედა“ სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს ყმა გლეხის მდგომარეობას. აი, ბერიძე ყმა გლეხის ცხოვრებას როგორ ალამაზებს და მას კმაყოფილ, იდილიურ ფორმაში გვიხატავს:

გუთნის დედაო! ყველას სჯობიხარ
როს თავისუფლად დაბადებულხარ,
ეგ შენი ღვაწლი და შენი შრომა,
შენ მოგანიჭა კეთილმა დრომა...
ოდეს პერანგა საკინძ გახსნილი,
შენ გუთანზედა მოგივა ძილი,
აბა გვითხარი, მას რა სჯობია,
დროს უკეთესი რა უშობია?

ეს არ იყო ყმა გლეხობის ცხოვრების მართალი სურათი. დ. ბერიძე ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მაშინდელმა „კეთილმა დრომ“ ყმა გლეხს საამური ცხოვრება შეუქმნა და მას ტკბილად შეუძლია დაიძინოს. ი. ჭავჭავაძე მკაცრად დაუპირისპირდა ყმა გლეხის, გუთნისდედის ცხოვრების ასე მრუდედ წარმოდგენას; მან მაშინდელი რეალური სინამდვილე თვით ყმა გლეხის პირით წარმოგვიდგინა. გუთნის დედა მიმართვს პირუტყვს:

„ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვკიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლით მიწა ვაწვინოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელს
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი;
მეც შენებრ მიწას დაკუყრებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასაეიწყელსა,

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად ძინდა ხმალი თუნდ იყოს მკრელი.
თუ სიმაოთლისთვის დამიჩლუნგდეთა?!”

გლესი პირუტყვის მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მის ნაშრომს სხვა ითვისებს, თვითონ კი მშვიერია. მას ყველაფერს ართმევენ, ენას გლეჯენ. ასეთია ბატონყმური ცხოვრების ნამდვილი სურათი და არა ისეთი, როგორადაც ამას დროების მეხოტბე ცრუ მწერლები წარმოგვიდგენენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ქავჭავაძე თავის წერილში მარტო რ. ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანის სისუსტეზე არ ლაპარაკობს. იგი არსებითად ეხება თვით კოზლოვის „შეშლილის“ იდეურსა და მხატვრულ მხარეს და იმ აზრს ავითარებს, რომ თარგმნის უვარგისობაში წილი თვით კოზლოვის პოემას „შეშლილსაც“ უდევს, რადგან, ილიას აზრით, სუსტი ნაწარმოები, როგორადაც არ უნდა ითარგმნოს იგი, სისუსტეს თავს ვერ დააღწევს, „შეშლილს“ მთავარ ნაკლად ილიას მისი არარეალისტური ხასიათი მიაჩნდა, რომ მასში ცხოვრებისეული სახეები არ არის გამოხატული.

ილია წერს: „აბა კაზლოვის პოემიდან ამოფხიკეთ ზედშესრული „შეშლილი“ და მერე გასინჯეთ სიტყვები შეშლილისა თუ ქკვიანათ არ გეჩვენოთ. თუმცა შეშლილს ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იემშიიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი. ქართველმა ბევრიც რომ იკითხოს, არამცთუ ეს საშინელი თარგმანი თავად ერისთავისა, არამედ ათი ათასჯერ უკეთესი (მაინც იქნება არა გამოდგეს რა: ათი ათასჯერ არაფერი მაინც არაფერია), ბევრიც რომ წაიკითხოთ მაინც ქართველი ვერ გაიცნობს ფჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კაზლოვი ამბობს რუსისაო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რადაც ურუსო რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი და არა რუსის ცხოვრებისა“.

ილიას ამით ის უნდა თქვას, რომ კოზლოვის შემოქმედების მდარე ხასიათი იმითაც არის განსაზღვრული, რომ იგი, როგორც შემოქმედი, ნაკლებად ორიგინალური, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნაკლებად ნაციონალურია; მისი რომანტიკული პოემები ძირითადად ბაირონის მიბაძვითაა დაწერილი. მიმბაძველობა კი მას ხელს უშლის გამოსახოს თავისი ხალხის ცხოვრება, ადამიანების ხასიათი. კოზლოვის მიერ გამოხატული ხასიათები, როგორც ილია აღნიშნავს, „ურუსო რუსია“, ხოლო მისი ლექსები „დაძლებული. ცრემლიანი“, რომელიც ხალხს უძღურობისაკენ ეზიდება.

ილია ჭავჭავაძე ამ წერილით იწყებს ბრძოლას ღრმა, ხალხური შინაარსის შემცველი რეალისტური მწერლობის შექმნისათვის. იგი რუსთაველის სიტყვების მეშვეობით დასცინის კოზლოვისებურ მცირე მასშტაბის, „მტირალა“ მწერლებს, რომელთაც „არ ძალუძს სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“, „დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცვა ნადირთა მცირეთა“. ღრმად ეროვნული მწერლობის შექმნა შეიძლება მხოლოდ ხალხურ ნიადაგზე, რადგან, ილიას აზრით, ლიტერატურა სხვა არაფერია თუ არა „ხალხის კვება, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხი“¹. მწერალი თავის შემოქმედებაში ხალხის ცხოვრებასა და მისწრაფებებს უნდა ასახავდეს. ამის გარეშე მწერლობა წარმოუდგენელია. თვითმიზნურ პოეზიას ილია ბრძოლას უცხადებს; იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „პოეზია განსახოვნებაა ქვეშაარტების, ცხოვრებისა და არა ჭაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა“. თავის მოწინააღმდეგეთა საპასუხო სტატიაში ილია იშველიებს რუსი კრიტიკოსის ბელინსკის შეხედულებებს ხელოვნების შესახებ; იგი თავის მოწინააღმდეგეთა საყურადღებოდ აღნიშნავს: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“. ეს იგივეა რაც ბელინსკის შეხედულება ხელოვნებაზე, რომ „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა“, „პოეტი აზროვნებს სა-

¹ პასუხი, „ცისკარი“, გვ. 215, № 6, 1861.

ბეებით, იგი კი არ გვიმტკიცებს სიმართლეს, არამედ გვიჩვენებს მას“ ამ შემთხვევაში თვით ბელინსკი ჰეგელისაგან იყო დავალბებული.

ამ თავის პირველ სტატიაში ილია ჭავჭავაძე უკვე აყალიბებს კრიტიკულ რეალიზმის ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს. იმ კრიტიკული რეალიზმისას, რომელიც შემდგომ საფუძველი შეიქნა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა. ილია წერს: „ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულის მოყვარე და არა ის, ვინც მეტისმეტად დამქავებულ სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“. ილიას აზრით, საჭირო ის კი არ არის, რომ „საქართველო ანგელოზსავით“ გამოხატო, არამედ, მთავარია, ერს ნაკლოვან მხარეებზე მიუთითო, ბოროტება ამხილო, რადგან ლიტერატურას, ილიას აზრით, აქვს უდიდესი მამხილებელი და გარდამქმნელი ძალა. ამიტომაც ყოველი პატრიოტი მწერალი ვალდებულია, პირველყოვლისა, ხალხის ნაკლზე წეროს.

ილია წერს: „ისტორია იმითაა დიდი, რომ გვიჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორით მოღაროს“¹.

რასაც აქ ილია ისტორიის მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავს, ასევე შეეხება ლიტერატურასაც. ისე როგორც ისტორია, ლიტერატურაც საზოგადოების უარყოფითი მხარეების მხილებით ადამიანს, საზოგადოებას აყენებს სწორ გზაზე. ამ წერილში ილია ჭავჭავაძე უკვე გამოთქვამს აზრს ხელოვნების უტილიტარული გაგების შესახებ. იგი მწერლობას, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო დარგს, ხალხის სამსახურში აყენებს.

¹ „ცისკარი“, გვ. 567, № 4, 1861.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძემ ამ წერილში მკაცრად გა-
ილაშქრა ჩახრუხადის შემოქმედების წინააღმდეგ. იგი ჩახ-
რუხადის შესახებ წერს, რომ „მისი თამარის ქება მთელი
მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყება და თით-
ქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაი ვაგლახით და
კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი
ოცმარცვლიანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!“ ცხადია, ჩახ-
რუხადის „თამარიანის“ ასეთი შეფასება მკაცრია. ეს აღნა-
შნეს მაშინ ილიას მოწინააღმდეგეებმა. მაგრამ საკითხავია,
რამ მიიყვანა ილია „თამარიანის“ ასეთ ნიჰილისტურ გაგე-
ბამდე? რას უწუნებს იგი „თამარიანს“? პირველ ყოვლისა
მის რიტორიკულსა და სახოტბო ხასიათს. ილია აღნიშნავს,
რომ „თამარიანი“ იწყება და თავდება „ზედშესრულით“,
ე. ი. ზედსართავი სახელებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ნა-
წარმოებში მეფისადმი ეპითეტებს, ხოტბას, რიტორიკას
დიდი ადგილი უჭირავს. ამას გარდა, ილიას აზრით, „თამა-
რიანი“ მძიმე და თანაც ბუნდოვანი სტილითაა შესრულებუ-
ლი. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა ის გარემოება,
რომ ილია „თამარიანს“, როგორც სახოტბო ნაწარმოებს,
რეალისტური პოეზიის პოზიციებიდან აკრიტიკებს და იგი
მას საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებად არ
მიიჩნევს. მისი აზრით, მასში სინამდვილე გადაქარბებულად,
პარარეალურად არის შეფასებული. ილიას მსოფლმხედვე-
ლობას ასეთი სტილის ნაწარმოები საერთოდ არ ეგუებოდა.

ილია მაღალ შეფასებას აძლევს არა ისეთ მწერალს,
რომელიც ლამაზ სიტყვებში ფარავს საქართველოს ნაკლს,
არამედ ისეთს, რომელიც კრიტიკულად ეპყრობა, აფასებს
საქართველოს მდგომარეობას; აი ვინაა თავის ქვეყნის დიდი
შოქირნახულე და მისი საუკეთესო შვილი.

კრიტიკა ადამიანს აფხიზლებს, ხოლო ხოტბა ძილს
ჭგვრის. კოზლოვის „შეშლილში“ სინამდვილე დამახინჯებუ-
ლია. მასში ის არ არის გამოხატული, რაც უნდა იყოს: „აბა
კაზლოვის პოემიდან ამოფხიკეთ ზედშესრული — წერს
ილია — და ზერე გაშინჯეთ სიტყვები შეშლილისა თუ ჭკვი-

ანად არ გეჩვენოთ“. აქვე ილია აღნიშნავს „შექსპირის ოფელია აიღეთ, ან ლირი და გაშინჯეთ! იქ თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ქკვიდამ შეშლილები არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელ შეშლილს, ადამიანის სულის მდგომარეობას, იქ წინასიტყვაობა საკირო არ არის რომ შეშლილიაო, საქმიდანა ჩანს ყვილაფერი“. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ნაწარმოებში მწერლის ტენდენცია, მისწრაფება ისე უნდა იყოს მხატვრულად შენიღბული, შერწყმული, რომ მკითხველი ამას თავისთავად, ძალდაუტანებლად გრძნობდეს. ამ შემთხვევაში მთავარია რას გვიჩვენებს სინამდვილე, საქმე, მოქმედება და არა მწერლის პირადი ზრახვები.

ილია ქავკავაძე ამ შემთხვევაში ილაშქრებს მწერლობაში ეგრეთ წოდებული „შიშველი ტენდენციის“, ან როგორც ილია აღნიშნავს, მწერლობაში მხატვრული კანონზომიერების ნაცვლად „ხელოსნობის“ წინააღმდეგ.

ილია ქავკავაძე ქართული მწერლობის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსანს“, როგორც რომანტიკულ-გმირულ პოემას, აგრეთვე თავისი გენიალური წინამორბედის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“. ილია აღნიშნავს, რომ „შეშლილის“ რევიაზ ერისთავისეულ თარგმანში დამახინჯებულია ქართული ენა, ის ენა, „რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ღარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“, და თავისი მართლა და ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები!“... ილია მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას იმის გამო, რომ მასში საქართველოს სინამდვილე, ტკივილები, „ბედი ქართლისა“ არის გამოხატული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიამ ამ თავის პირველ წერილში მწერლობის დანიშნულებად ერის ნაკლოვანებათა ჩვენება და მხილება მიიჩნია. ილიას ასეთი შეხედულება ლიტერატურაზე მკიდროდ არის დაკავშირებული მის მორალისტურ შეხედულებებთან. მისი აზრით, ლიტერატურა.

საზოგადოებას აჩვენებს რა ნაკლოვანებებს, ამით ახსელს ბოროტებას და „ბოროტების აღიარება, — წერს ილია — ნახევარი გამოსწორებაა“. ამით ილიას იმისი თქმა სურს, რომ ლატერატურა დიდ მორალურ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ადამიანზე. იგი საზოგადოების მორალურ გარდაქმნას უწყობს ხელს.

ილია ქავქაჯაძე მთარგმნელობას დიდ საპასუხისმგებლობას ქმედ თვლიდა. მთარგმნელი დედანს მექანიკურად არ უნდა გადმოგვემდეს, როგორც ამას კოზლოვი და რ. ერისთავი სჩადის. მთარგმნელობა ხელოვნებაა და თარგმანი იგივე პოეტური ნაწარმოებია. მთარგმნელი ვალდებულია თარგმანში გადმოგვეცეს „მწერლის გრძობანი“. ილია შენიღბს ნაწარმოებთა კოზლოვისებურ თარგმანებს იმისთვის იწუნებს, რომ მათში არ ისმის „ნაზი და წრფელი სიტყბოე“ მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდვილო და ნამდვილი პერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა“, რომელიც, ილიას აზრით, დამახასიათებელია ამ მწერლისათვის.

სულ სხვა საკითხია, როდესაც ორიგინალი თავისთავად არ ვარგა, ისე როგორც კოზლოვის „შეშლილი“. ენა და აზრი ერთმანეთთან მკიდროდ არის დაკავშირებული. აზრობრივად სუსტი ნაწარმოები ენობრივად სუსტია და მისი გაუმჯობესება და კემარიტ მსატერულ ნაწარმოებად ქცევა მთარგმნელს არ შეუძლია. მაგრამ აქ ილია სვამს კითხვას, რა საჭიროა ასეთი სუსტი ნაწარმოების თარგმნა? ილია სამართლიანად შენიშნავს, რომ თუ თარგმნა უნდათ, რატომ არ თარგმნიან პუშკინის, გოგოლის და ლერმონტოვის ნაწარმოებებსო.

„ცისკრის“ ფურცლებზე ასეთ გამოსვლას ქართული კულტურისათვის მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთადერთ ქართულ ჟურნალში, რომლიდანაც ქართველი საზოგადოება ეცნობოდა ევროპის, კერძოდ რუსეთს მწერლობას, არცთუ იშვიათად იბეჭდებოდა მდარე ნაწარმოებთა მდარე თარგმანები. ასეთები განსაკუთრებით ბევრა დაბეჭდილი ილიას საპროგრამო წერილის გამოქვეყნებამდე. შემ-

ღებ კი „ცისკრის“ რედაქცია უფრო ჩაუკვირდა ამ მდგომარეობას.

ამავე წერილში, ილია შედარებით, ფართო ადგილს უთმობს რევაზ ერისთავის თარგმანის ენის განხილვას. მწერალი თვითონვე აღნიშნავს, რომ „შეშლილის“ ქართულ თარგმანში „უენო ენად ვნახე ჩვენი საყვარელი ენა“ და „ჩვენი ენის დამცირებამ დაგვაწერიან ეს სტატია“. ილია ქართული ენის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ტონით აცხადებს, რომ „სხვისი არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“, რადგან, როგორც ილია მიუთითებს, ენა, რომლის საშუალებით ხალხი გამოთქვამს თავის აზრსა და მისწრაფებებს, სახალხო საკეთრებაა, იგი წმინდათა-წმინდაა და „მას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. რევაზ ერისთავი კი ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს დაუდევრად მოქცევია.

რაში ხედავს ილია რევაზ ერისთავის თარგმანის სუსტ მხარეებს? რევაზ ერისთავის თარგმანის ენა, სტილი ძალზე ბუნდოვანია. ილიას ამის დასაბუთებისათვის მრავალი მაგალითი მოჰყავს. იგი მიუთითებს, რომ თარგმანში ქართული ენის ბუნებრივი კონსტრუქციები ხელოვნურად არის დარღვეული. ზოგჯერ ამას რევაზ ერისთავი ქართული ენის უცოდინარობის გამო სჩადის, ზოგჯერაც ამავე გარემოებას უწყობს ხელს რევაზ ერისთავის მიერ ქართულ ენაში ზმნის ადგილის შეუფასებლობაო. ილია იმასაც აღნიშნავს, რომ „შეშლილის“ თარგმანში ხშირად ვხვდებით არასწორად წარმოქმნილ ფრაზებსო.

ილია ქვეყანაძე აღნიშნავს, რომ რევაზ ერისთავი თარგმანს „მაშრიყმალრიბული“ ენის კონსტრუქცია აქვსო. ე. ი. არა ქართულიო. ამ შემთხვევაში ილიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს აღმოსავლური მწერლობის მიბაძვით დაწერილი ქართული ნაწარმოებები, წარყვნილნი სპარსიზმებით, ასეთი ნაწარმოებნი წარსულში მრავალი იყო; რევაზ ერისთავის

თარგმანის ენა თავისი კონსტრუქციით მიემსგავსება ამ „მაშ-რიყულ-მალრიბულ“ ენასო.

რევაზ შალვას ძე ერისთავი, გარდა თარგმანებისა, „ცოს-კარში“ აქვეყნებს საკუთარ ლექსებსაც. რას წარმოადგენენ ისინი, ეხებიან თუ არა ქართველი ხალხის რომელიმე საჭარბოროტო საკითხს?.. რ. ერისთავის ლექსები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ლექსს „პურობილობის დროს“, ან სატრლილო ხასიათისაა („შავ თვალებს“. „იას“). ანდა გვიხატავენ ბუნების სურათებს („მთოვარეს“, „სალამოს კარა-ლეთის გორიდგან“). ამ ლექსებს თავიანთი დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ. ისინი თავსდებიან იმ ლექსების რკალში, რომლებიც თავიანთი უიდეობის გამო ი. ჭავჭავაძემ დაგმო.

ილია ჭავჭავაძე სანიმუშოდ თვლის რუსთაველის, ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ენას. აი ამათგან უნდა ვისწავლოთ ქართული ენა, მიუთითებ რევაზ ერისთავს ილია. ქართველ კლასიკოსთა ასეთი მაღალა შეფასებისას ილიას მხედველობაში აქვს მათი სამწერლო ენის როგორც გრამატიკული, ისე სტილისტური გამართულობა, რომ ისინი საუკეთესოდ იყვნენ დაუფლებულნი ქართული ენის სიღიადეს, რაც გამოხატულებას პოულობდა მათ ნაწარმოებში.

ამავე წერილში ილიამ წამოაყენა ქართული ენის გამარტივების საკითხი. მან მოითხოვა ქართული ანბანის შემცირება, ხუთი ასოს (ჟ, მ, მ, ჯ, კ) განდევნა ქართული ესიდან. ეს ასოები, მისი აზრით, ქართული ენის განვითარების მაშინდელ ეტაპზე საჭირონი აღარ იყვნენ, რადგან ისინი ამძიმებდნენ ქართულ ენას. ილია ამ ასოებს აღარც ხმარობდა. ასე რომ ილია იყო პირველი, რომელმაც ქართული ანბანიდან ზედმეტი ასოების განდევნის ხარჯზე მოითხოვა ქართული ენის გამარტივება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ილიას ეს მოთხოვნა თავისთავად ნიშნავდა ქართული სამწერლო ენის გახალხურების მოთხოვნას, მაგრამ ილიას ამ პირველ კრიტი-

კულ სტატიაში უშუალოდ არ არის წამოყენებული ქართული სამწერლო ენის გახალხურების პრინციპი. საქაგიეროდ, როდესაც ძველმა თაობამ ილიას ამ წერილის წინააღმდეგ გაილაშქრა, თავის საპასუხო წერილში ილია ქავექავაძემ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, სამწერლო ენის გახალხურების იდეა მკვეთრად ჩამოაყალიბა.

ასეთია ილია ქავექავაძის ამ პირველი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილის იდეური მიმართულება. ამ წერილს საპროგრამო ხასიათი ჰქონდა. მასში, ჯერ კიდევ მკრთალად, მაგრამ მაინც გამოხატულება ჰპოვა იმ ახალმა კრიტიკულმა მიმართულებამ, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო „თერგდალეულების“ მსოფლმხედველობას.



ილია ქავექავაძის ამ საპროგრამო წერილმა, მასში წამოყენებულმა ახალმა აზრებმა „ცისკარში“ მოკალათებული ძველი ფეოდალურ-პატრიარქალური ცხოვრების მოტრფიანეები დიდად აღაშფოთა. დაიწყო ილია ქავექავაძის წინააღმდეგ ლაშქრობა. ეურ. „ცისკრის“ ფურცლებზე ილია ქავექავაძის ამ წერილის გამო გამოქვეყნდა რევაზ ერისთავის, ბარბარე ჯორჯაძის, გიორგი ბარათაშვილის, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის, ეფთვიმე წერეთლის და სხვათა წერილები. „ცისკრის“ ფურცლებზე ერთმანეთს შეეჯახა დემოკრატიულ-პროგრესული და ფეოდალურ-პატრიარქალური მისწრაფებები. რევაზ ერისთავმა, რომლის თარგმანიც საბაბი გახდა ილია ქავექავაძის ზემოთ განხილული საპროგრამო წერილის გამოქვეყნებისა, „ცისკრის“ 1861 წლის მეხუთე ნომერში საპასუხო წერილი გამოაქვეყნა. რევაზ ერისთავი ვერ ჩაწვდა ილიას წერილის არსებით მხარეს. მან ამ წერილის მთავარი აზრი ვერ გაიგო. ამიტომაც მისი პასუხი ზედაპირულია და ილიას წერილის მხოლოდ მეორეხარისხოვან მხარეებს მოიცავს. რევაზ ერისთავი ძირითადად ეხება ილია ქავექავაძის იმ შენიშვნებს, რომლებიც წუნსასდებენ კოზლოვის „შემლილის“ თარგმანის ენობრივ მხარეებს. იგი ამ შენიშვნების განხილ-

ვისას იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ენის წინააღმდეგად ისეთი დიდი შეცდომა არ არის რა ჩვენს ნათარგმნში, რომ იმისთანა ლანძღვისა და კიცხვის ღირსნი ვიყვნეთ“; იგი თვითონვე აღიარებს, რომ კოზლოვის „შეშლილი“ ქართული ლიტერატურისათვის დიდ შენაძენად ვერ ჩაითვლებათ.

რევაზ ერისთავმა სწორად ვერ გაიგო ილიას მთავარი დებულების — „ჩვენ სულ მამაპაპურმა ტკბილმა ძალმა დავღვტუპა“-ს აზრი. ილიამ ეს დებულება დ. ბერიძის მიერ „ცისკრის“ ფურცლებზე ხალხის (ვლახობის) დამაძინებელი ლექსის — „გუთნის დედას“ გამოქვიყნების გამო წამოაყენა. ქართველი ხალხი მონობაში ძილს მისცემოდა; საჭირო იყო არა „მამა-პაპური“ ძილი, არამედ ხალხის გამოფხიზლებისა და თავსუფლებისათვის ბრძოლა, რადგან, როგორც ილია შემდეგ ამბობდა, ადამიანმა ცხოვრებას თვალი თუ მოუხუჭა, ისე გათელავს, როგორც დიდოელი ნაბადსაო. რევაზ ერისთავი იმდენად შეზრდია არსებულ უკუღმართ ცხოვრებას, რომ ეს აზრები მისთვის გაუგებარი გამხდარა და ილიას საწინააღმდეგოდ წერს, რომ ჩვენს წინაპრებს „მოსვენებით არა სძინებიათ“ და „არცერთ დროს უქმად არა ყოფილან“. მან ვერ გაიგო, რომ ილიას ამ წერილში ლაპარაკია არა წარსულზე, არამედ აწმყოსა და მომავალზე. ილია ჭავეკავაძე, ისე როგორც აკაკი წერეთელი, საქართველოს მომავლის მწერალი იყო.

შედარებით უფრო მკვეთრად დაუპირისპირდა ილიას მწერალი ქალი, ეურ. „ცისკრის“ აქტიური თანამშრომელი ბარბარე ჯორჯაძე. ჭავეკავაძესთან კამათის დროს ბარბარე ჯორჯაძის დასაყრდენს წარმოადგენს ქრისტიანული რელიგია, სქოლასტიკა. იგი ილიას, ისე როგორც ლავრენტი არდაზიანს, ეკამათება არა თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების საფუძველზე, არამედ საღვთო წიგნების პოზიციებიდან. შემთხვევითი არაა, რომ მისი კრიტიკული წერილის სათაურია: „საღმრთო წერილი გვაძხილებს“. ბ. ჯორჯაძე წერილის შესავალშივე აღნიშნავს: „ჩვენ მოვმდინარეობთ მამა-პაპათ ჩვეულებაზედ და უმაღლეს პოეზიასა

ვინა ფილოსოფიას ვპოვებთ უმეტესად საღმრთო წიგნებში“. აქედან ჩვენთვის გასაგები ხდება ბ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი. როგორც თვით აღნიშნავს, იგი ახალ დროში კვლავ ძველი მამაპაპური გზით აპირებს სვლას. ბარბარე ჯორჯაძე ძველი ცხოვრებისა და მისი ტრადიციების ტყვეობაშია, ისე რომ მას სიახლის გრძნობა დაკარგული აქვს. მისი აზრით ერმა ერთხელვე ვატყეპნილი გზით უნდა იაროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბარბარე ჯორჯაძე თავისი მხატვრული შემოქმედებით გვევლინება, როგორც ფეოდალურ-პატრიარქალური ცხოვრების, ბატონყმობის დამცველი. ამას მოწმობს მისი დრამა „შური“, რომელიც მან 1862 წელს დაწერა და 1863 წელს ჟურ. „ცისკარში“ გამოაქვეყნა. „შური“ ქართულ სცენაზე იდგმებოდა. მასში მებატონე ვახტანგის სახით ბ. ჯორჯაძე გვიხატავს კეთილსა და ჰუმანიურ მებატონეს, რომელიც თავის ყმებზე „მამაშვილური“ სიყვარულით ზრუნავს. ბ. ჯორჯაძე ბატონყმურ ოჯახს ახასიათებს ისეთად, სადაც ყმები კარგად ცხოვრობენ, ისე რომ ამ ნაწარმოებით ბ. ჯორჯაძე იცავს პატრიარქალურ-ბატონყმურ ცხოვრებას. ამას გარდა, მან ამავე ნაწარმოებში გიორგის სახით „ახალი თაობის“ ადამიანის წარმოდგენა სცადა. იგი წარმოგვიდგინა ბოროტ ადამიანად, რითაც მის სახესარაბუნებრივი განვითარება მისცა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბარბარე ჯორჯაძემ გიორგის სახე ახალი თაობის დასამცივებლად შექმნა.

ბარბარე ჯორჯაძეს არასწორად ესმოდა ჩვენი მამინდელი სინამდვილე და ქართული სამოციანი წლების მწერლობის პროგრესულ ხაზს უპირისპირდებოდა. ამიტომაც ახალი თაობის იდეურმა ბელადმა ი. ჭავჭავაძემ მკაცრად გაილაშქრა მის წინააღმდეგ.

ბ. ჯორჯაძე თავის მეორე კრიტიკულ წერილში, რომელიც მან ი. ჭავჭავაძის პასუხის პასუხად დაწერა, აღნიშნავს, რომ რომის აყვავებული იმპერია დაამხო და სპარსეთის ძლიერება დააუძლურა შინაგანმა უთანხმოებამო. ბარ-

ბარე წერს: „უთანხმოება არის მიზეზი ყოვლის ბოროტისა“. მას არ ესმის კრიტიკის მნიშვნელობა. იგი ერთმანეთში ურევს ქვეყნის შიგნით უპრინციპო, ანტისაზოგადოებრივ ბრძოლასა და საზოგადოების გაჯანსაღების მიზნით ნაკლის მხილებას. კრიტიკა, რომელიც ილია ქავჭავაძემ აწარმოვა ძველი თაობის დახვასებული აზრების წინააღმდეგ, მას დამლუპველად მიაჩნია; მისი აზრით, რა საჭიროა ბრძოლა, ის არა სჯობია, რომ რელიგიურ დოგმებს, როგორც „უმაღლეს პოეზიას“, მივდიოთ კვალდაკვალ და ერთმანეთის სიყვარულში დავლიოთ დღენიო. ეს იგივე ძილის ფილოსოფიაა, წინსვლის უარყოფელი, რომლის წინააღმდეგაც სასტიკად გაილაშქრა ილიამ. ცხადია, ასეთი გზით ქართული ხალხი ვერ წავიდოდა.

ბარბარე ჯორჯაძე წინააღმდეგია ქართული დამწერლობის გამარტივების. იგი თავგამოდებით იცავს იმ ხუთ ასოს, რომელიც ილია ქავჭავაძემ ქართული ენისათვის ზედმეტად მიიჩნია. ბარბარეს თავის აზრის დასამტკიცებლად სხვა არაფერი მოჰყავს, თუ არა „თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა“, რომელშიაც, მის აზრით, წერია: „ბუნებით მომზადებულთა სიტყვათათვის ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიც არიან მართალნი და რომელთაც გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს“. აქაც ბ. ჯორჯაძე სქოლასტიკურად მსჯელობს. მისი აზრით, ის, რაც ენის შესახებ „თეორეტიკაში“ წერია, მარადიული ქეშმარიტებაა და მისი შეცვლა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში გამორიცხულია ენის განვითარების კანონი, რომ ენა ისტორიულად განვითარებას განიცდის და „ერთხელვე შემუშავებული თეორეტიკა“ არ შეიძლება ქეშმარიტების საზომი იყოს.

როდესაც ბარბარე ჯორჯაძე სიტყვიერების ხელოვნებას თეორიულ შეხედულებებზე მსჯელობს, მას მხედველობაში აქვს ხალხისაგან მოწყვეტილი ანტონ კათალიკოსის „თეორეტიკა“. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ილია ქავჭავაძემ ბარბარე ჯორჯაძის ამ სქოლასტიკურ მისწრაფებებს ფრთებზე შეაკვეცა და მას დაუპირისპირა ხალხის შეხედულებები.

ბარბარე ჯორჯაძეს განსაკუთრებით არ მოსწონს ილია ჭავჭავაძის მიერ ხმარებული სიტყვები: წირპლიანი, მორახუნე, აგანგალა, „კრიკინებენ თავად ერისთავის ლექსები“ და სხვ., რომელთაც ხალხი ხმარობს. იგი ასეთ გამოთქმებს „მორყენილსა და ბიჭბუჭების სიტყვებს“ უწოდებს.

გიორგი ბარათაშვილმა თავდაპირველად ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გაილაშქრა წერილში სათაურით „წერილ-რედაქტორთან“ (ნაწ. 1)¹. წერილის პირველ ნაწილში გიორგი ბარათაშვილი დასცინის საერთოდ თერგდალეულებს, კერძოდ იმათ, რომლებმაც თავადაზნაურთა არჩევნებთან დაკავშირებით „ცისკარის“ 1861 წლის იანვრის ნომერში მოთავსებულ წერილში — „რამდენიმე აზრი შესახებ კენჭისა“ — წამოაყენეს აზრი იმის შესახებ, რომ „ძველი აზრების მექონემ ადგილი უნდა დაუთმოს ახლანდელს აზრების მექონეს“. აქვე გ. ბარათაშვილი ირონიით შენიშნავს: „თავიანთი ფიქრით კეთილშობილთ შერღნი ხომ დააბინავეს,... გლეხკაცის შვილებსაც უნდა გაუჩინოთ სასწავლებელიო!“².

გიორგი ბარათაშვილი ამის შემდეგ გადადის ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილის განხილვაზე. მისი განვითარების დონე იმდენად ჩამორჩენილია, რომ ილიას წერილში წამოკრილ საკითხებს „წერილმანებს“ უწოდებს. იგი წერს: „ისეთ წერილმანებს ეკიდება, უფალი ჭავჭავაძე, რაიცა არ შეენის ქეშმარიტს თავის ქვეყნის ენის მოყვარეს“³. იგი ამითაც არ კმაყოფილდება და იმ აზრს ავითარებს, რომ თუ ადამიანი „ხელავს თავის მოძმის მოქმედება-

¹ „ცისკარი“, № 5, 1861.

² „ცისკარი“, № 1, 1861

³ სამართლრიანდაა აღნიშნული, რომ გ. ბარათაშვილი (ბარათოვი) ლ. არდახიანის ფსევდონიმი არაა. გ. ბარათაშვილი რეალურად არსებული, პიროვნებაა (იხ. დ. გამეზარდაშვილი — „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1946 წ., № 21). ლიტერატურულ მუხებში ჩვენ ვნახეთ გ. ბარათოვის სურათი, აგრეთვე მისი ნაწერის შავიც. საფიქრებელია, რომ ლ. არდახიანი გ. ბარათაშვილს წერილებს უსწორებდა და ამ გარემოებამ მისცა საბაზი ა. წერეთელს ლ. არდახიანზე ეთქვა: „კრიტიკული სტატიები მისი გ. ბარათაშვილის სახელით გამოდიოდა“.

ში რასმე შეცდომილებასა, ხოლო შეცდომილება წარმომდგარა უმანკო მიუხვედრილობისა გამო, კი არ დასცინებს“, არამედ დაარიგებს მასო. გ. ბარათაშვილი ვერ ურიგდება საზოგადოებრივი ნაკლისა და ჩამორჩენილის მიმართ ილიას მკაცრ კრიტიკას, მან, ისე როგორც მისმა თანამოაზრეებმა ვერ გაიგო ილიას ნოვატორული აზრები, რომელიც ჩვენ ზემოთ გადმოვცეთ. გ. ბარათაშვილი შემდეგ იწუნებს ილიას ზოგიერთ ხალხურ გამოთქმას, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვები მას არ მოსწონს. ასევე გიორგი ბარათაშვილი ილიას ზოგიერთ ლექსს უმართებულო შეფასებას აძლევს. მას სწორად არ ესმის პოეტური ენის მნიშვნელობა, როდესაც იგი ილია ჭავჭავაძის ლექსის „გაზაფხულის“ სტრიქონებს: „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“ პირდაპირი მნიშვნელობით გებულობს და დაცინებით წერს: „პოეტი სულით ნატრობს საყვარელი მამულის ალყავებას. ნეტავი დაანახა ეხლა საქართველო როგორ მწვანე ხავერდით ბიბინებს!!“ მას ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს თავისი წერილის გამოქვეყნების დრო — მისი, როდესაც მდელი მართლაც მწვანედ ბიბინებდა. გ. ბარათაშვილი ვერ ხვდება, რომ ილიას სიტყვები სამშობლოს მიმართ: „შენ როსლა აყვავდები“ გადატანით არის ნახმარი, რომ ასეთი მეტაფორები პოეზიაში საკიროა და თანაც აუცილებელი.

იმ წერილში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, როგორც გ. ბარათაშვილი აღნიშნავს, ილია ჭავჭავაძის ეს წერილი დაბეჭდვამდე გავრცელებული ყოფილა, იგი ილიას „ბევრთათვის წაუყითხავს და ყველას ერთობ მოწონებია“. ეს არ იყო პირველი შემთხვევა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ილიას პოლემიკური წერილები, ლექსები ხშირად ზეპირად ვრცელდებოდა. გიორგი ბარათაშვილმა „ცისკრის“ ამავე წლის მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა მეორე სტატია სათაურით „წერილი რედაქტორთან, ნაწილი II“. ამ წერილშიაც გ. ბარათაშვილი ტენდენციურად არჩევს ილიას იმ ნაწარმოებებს, რომლებიც „ცისკარში“ დაიბეჭდა. იგი ღირსშესანიშნავს ვერაფერს პოულობს და ხელალებით იმ დასკვ-

ნამდებ მიდის, რომ ილიას ლექსები „არაბი უგარმონიო, უფერული, უნდელი და მძიმე... გადაიკითხეთ მისი თხზულებები და მასში თუ იპოვით ერთს მარდს ქართულს ლექსს, როგორსაც შეხვდებით პეტადრე უფალ აკაი წერეთლის თხზულებებში...“ ილიას ლექსებში, — წერს გ. ბარათაშვილი, — „ერთს სნეულებას ვპოულობთ, ეს გახლავთ — მარად კენესა და გულმტკივნეულობა მამულისათვის, ტირილი და კენესა“. ეს არ მოსწონს გ. ბარათაშვილს.

გიორგი ბარათაშვილმა პირველმა აღნიშნა ილიაზე ბელინსკის გავლენა. იგი წერს, რომ ილია ქავჭავაძე „შეემზადა პეტერბურღში, როგორათაც დონკიხოტი; მარცხენა ხელში იპყრა ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარაღებულმა გამოილაშქრა საქართველოზე. რათა მალ და მალ აეღო დაფნის გვირგვინი“¹. აქვე გიორგი ბარათაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ილია ამ ბრძოლაში მარტო არ არის და მას ჰყავს თავისი თანამებრძოლები.

„ცისკარის“ 1861 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სარდიონ ალექსიევი-მესხიშვილის წერილი „უსტარი ანტიკრიტიკული“. ალექსიევი-მესხიშვილი ამ წერილში თითქმის იმავე იდეურ პოზიციაზე დგას, რომელზედაც რევან ერისთავი, ბ. ჯორჯაძე და გ. ბარათაშვილი. იგი ილიას კრიტიკული შეხედულებებით უკმაყოფილოა. მასში განსაკუთრებით აღშფოთებას იწვევს წარსული დროის მწერლების შემოქმედების კრიტიკა. იგი წარსულის კრიტიკის საერთოდ წინააღმდეგია. კრიტიკისადმი სიძულვილით გამსქვალული ალექსიევი-მესხიშვილი ილია ქავჭავაძის მისამართით აცხადებს: „ნუთუ თავმომწონესა საქართველოს შვალსა შეგშენისთ წინაპართა სამარის ნეშტისაცა შეურაცხება?“ მისი აზრით, იგი როგორც მკვდრის აუგად ხსენება სამარცხვინოა, ასევე სამარცხვინოა წარსულის კრიტიკა. ნაკლოვანებათა გაკიცხვა — „მკვდართათვის ზრახვიდე კეთილად ანუ სღუმენ“¹. წარსულს იგი

¹ „ცისკარი“, გვ. 195, 1861, № 6.

გებულობს როგორც მკვდრების ქვეყანას, რომელსაც აწმ-
ყობათვის მხოლოდ სასაფლაოს მნიშვნელობა აქვს, იმ სასა-
ფლაოსი, რომელსაც ცოცხლები ჩვეულებრივ მხოლოდ
ვარდ-ყვავილებით ამკობენ. მესხიშვილი ვერ ხვდება ან არ
უნდა გაიგოს ილიას დებულება, რომ წარსულს ადამიანის-
თვის შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, რომ წარსულის შეც-
დომებზე ადამიანები სწავლობენ. სარდიონ ალექსიწივე-მეს-
ხიშვილმა ვერ გაიგო ილიას მიერ სანტიმენტალური მიმარ-
თულების წინააღმდეგ წარმოებული კრიტიკის არსებითი მხა-
რე. იგი იმაზე კი არ იძლევა პასუხს, თუ სანტიმენტალურ
მიმართულებას ან მის მიერ თარგმნილის მარმონტელის „მე-
უდაბნოს“ რა საზოგადოებრივი, სახალხო მნიშვნელობა შე-
იძლება ჰქონოდა მაშინდელი საქართველოსათვის, არამედ
„რიტორების“ წიგნებიდან ამოკითხული სკოლური განმარ-
ტებებით უმასპინძლებდა მკითხველს: — „სენტიმენტალური
ჩვენებურად არი სათუთი, მგრძნობელი, წირპლიანი და სა-
თუთი სრულებით არ შეეხამებიან ერთი მეორეს“... ნამდვი-
ლად კი ილია სულ სხვა მნიშვნელობით ლაპარაკობს. სიტყვა
„წირპლიანი“ ილიას სიმბოლიურად აქვს ნახმარი. ილიას აზ-
რით „სათუთმა, მგრძნობიარე“ ლექსებმა საზოგადოება ნაც-
ვლად გამოფხიზლებისა შეიძლება დააძინოს. აი, ნამდვილად
როგორ უნდა გავიგოთ ილიას ეს სიტყვები.

სარდიონ ალექსიწივე-მესხიშვილი ეკამათება ენის საკი-
თხებზე ილია ჭავჭავაძეს და ბარბარე ჯორჯაძის მსგავსად უსა-
ყვედურებს მას „რიტორებისა და ღრამატიკის“ კანონების
უცოდინარობას. მესხიშვილი წინააღმდეგობას უწევს ქართუ-
ლი ენის დემოკრატიზაციას. მას სწამს, რომ „წერა არის სამ-
გვარი: მაღალი, საშუალო, და მდაბალი“, მაგრამ ვერ გაუგია
ამ „სამი შტილის“ თეორიის მიხედვით ილიას სამწერლო ენა
რომელს მიაკუთვნოს. იგი თავგამოდებით ეძებს ილიას წე-
რილში ენობრივ შეცდომებს. ილია ჭავჭავაძე თავის წერილს
იწყებს ფრაზით: „როცა გავგახსენდება კაზლოვი...“. მესხი-
შვილს არ მოსწონს ამ ფრაზის პირველი სიტყვა „როცა“,
რადგან, როგორც თვითონვე აღნიშნავს, „სადაცა იხმარება

ნაცვალსახელი „იგი“, ამ მაღალ სიტყვას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს“ და არა სრულიად მდაბიო ლექსი „როცა“. მისი აზრით, ნაცვალსახელს „იგი“ არ შეიძლება შეუფარდოს სიტყვა „როცა“, რომელიც მას მდაბიოთა სიტყვად მიაჩნია. ასევე მესხიშვილი წინააღმდეგია ლიტერატურულ წერილში ხალხური გამოთქმების: „აგანგალა განგალას“, „ეო მეო“, „სულ არ სცვიოდათ ძალად გაქიმულ პაწაწინა გრძნობის უმარბილო ცრემლი“, „გაბერილი წიგნი“, „პაწაწიკინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის ქვეშა“, „ქართველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა“ და სხვა ასეთები. ცხადია, მესხიშვილს ამ მაგალითებიდან პირველ ყოვლისა არ მოსწონს ხალხური, ან როგორც ის ეძახის, „მდაბიო“ გამოთქმები. ასევე მესხიშვილი ილიას უსაყვედურებს. საერთოდ მიღებული, ინტერნაციონალური უცხო სიტყვების: აშულის, კაპიტალის, პლასტიკის, სანტიმენტალურის, ფორმის, სიუჟეტისა და სხვათა შემოტანას. იგი იბრძვის ქართული სალიტერატურო ენის გამარტივების წინააღმდეგ, ამიტომაც ასაბუთებს, რომ „ასოებს ზ, ზ, ა, ზ, კ აქვთ მართლწერის მნიშვნელობა“ და ქართული ენიდან მათი გაძევება შეუძლებელიაო.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ სარდიონ ალექსიევ-მესხიშვილის ეს წერილი და ილია ქავკავაძის პასუხი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევხებით, ორივე „ცისკარის“ 1861 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა, ამიტომაც ილიას პასუხში მოცემული არ არის სარდიონ ალექსიევ-მესხიშვილის ამ წერილის კრიტიკული განხილვა.

* * *

„ცისკარში“ ილია ქავკავაძე აითვალისწინებს. რედაქტორმა ივანე კერესელიძემ უკანასკნელად დაბეჭდა ი. ქავკავაძის პასუხი, რომელმაც კიდევ უფრო გამოაშკარავა „მამების“ უმეცრება. ილიას ამ წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ბელინსკის ცნობილი სიტყვები: «Из нашей литературы хотят устроить н.п.ш.ную залу, и уже называют в нее дам»... ბელინსკის ეს სიტყვები ბევრი რამის მოქმე-

ლი იყო მაშინდელი ლიტერატურული მდგომარეობის დახასიათებისათვის. ამ სიტყვებით ილიამ დაახასიათა ძველი თაობის ლიტერატურული კრედი.

ილია თავის საპასუხო წერილში სამართლიანად შენიშნავს, რომ მოწინააღმდეგეებს მის წერილში „მარტო სიტყვები უძებნიათ და არა აზრი“. ისინი თავიანთ წერილებში სიტყვათა გრამატიკულ წყობაზე, მათ მნიშვნელობაზე, უფრო მეტს მსჯელობენ, ვიდრე წერილში წამოყენებულ საკირობოროტო საკითხებზე. ეს უკანასკნელი მათ ნაკლებად აინტერესებდათ. როგორც ჩანს, მათ ძალღონე არ შესწევდათ ამ საკითხებს ღრმად ჩაკვირვებოდნენ და მათზე პასუხი გაეცათ. ილია მათ შესაგონებლად აღნიშნავს: „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა და კრიტიკაც მარტო მასზე აშენებული სამასხაროდ ხდის კრიტიკის წმინდა მნიშვნელობას“. აზრი და საქმეა პირველი, მთავარი და არა სიტყვა — აი რაზე მიუთითებს ილია.

ბარბარე ჯორჯაძის მიერ წამოყენებული „სიტყვიერების თეორეტიკის“ შესახებ ილია ამ საპასუხო წერილში შენიშნავს: „თითონ თეორეტიკა — ეგ სხალასტიკობის ნაშთი რა არის, რომ მასზედ აშენებული განვითარება რა იყოს?“ ილია ამ განყენებულ თეორეტიკას უპირისპირებს ხალხის შემოქმედებას, ხალხის მონაცემებს; ქვეშარტების კრიტიკიულად „თეორეტიკოსები“ კი არ მიაჩნია მას, არამედ ხალხი და მისი ცხოვრება. საქმე ის არის, ხალხი რას ამბობს, როგორია მის მიერ გამომუშავებული კანონები. ამიტომაც ილია თავის მოწინააღმდეგეთა საყურადღებოდ აცხადებს: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანაბანთ თეორეტიკა“.

აღსანიშნავია, რომ ილია ქავჭავაძე ამ წერილებში არსად არ იხსენიებს დადებითად თავადაზნაურობას, როგორც წოდებას. სამაგიეროდ იგი ხშირად ლაპარაკობს ხალხზე, როგორც ქვეშარტების საზომზე. იგი მწერლად ჩამოყალიბების საქმეში ხალხის როლის შესახებ აღნიშნავს, რომ „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს“.

ამ საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომ-
თქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაამუშავოს თავისი სულიერი
ბუნება, შეანძროს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს
მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავის თავათ, უთქვენ
ბრძანებლათ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოჰსცემს
პასუხს ხალხის განვითარებასა“. ხალხი, მისი საზოგადოებ-
რივი ცხოვრება განსაზღვრავს მწერლობის განვითარებას,
პოეტი ხალხის შვილია და იგი მხოლოდ ხალხის სულისკვე-
თებას, მის განვითარებას შეიძლება გამოხატავდეს.

ამ წერილში უკვე ჩამოყალიბებულია ილიას შეხედულება
ხალხის როლზე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მა-
მობრავებელ ძალაზე. ეს აზრი მან შემდეგ უფრო მკაფიოდ
განავითარა თავის ნაწერებში.

ილიას შეხედულებები ენის შესახებ მკიდროდ არის და-
კავშირებული მის საზოგადოებრივ შეხედულებებთან. ისე
როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებას, ენის საკითხებსაც,
ილია განვითარების თვალსაზრისით აშუქებს; მოძრავია და
განვითარებას განიცდის ადამიანის ცხოვრება, მაგრამ ასეთ-
სავე განვითარებას განიცდის ადამიანის ცხოვრებასთან და-
კავშირებული ენა. როგორც ძველი კაცი განსხვავდება ახა-
ლი კაცისაგან, ისე ძველი მწერლობის ენა განსხვავდება ახ-
ლისაგან. ილია წერს: „ხშირად კანონები ერთს დროს საჭი-
რონი სხვა დროს უვარგისნი არიან, იმიტომაც ახალი ენა
ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ
კაცსა“. ანტონ კათალიკოსის მნიშვნელობას ილია ქავეჭავაძე
ამავე განვითარების კანონით აფასებს. მისი აზრით, ანტონი
თავის დროის შესაფერისად დიდი მოაზროვნე იყო, ახლა კი
მისი შეხედულებები უნიადაგოა და მოძველებული.

ილია ქავეჭავაძემ თავის ამ მეორე პოლემიკურ წერილში.
დაასაბუთა ქართული ენის გამარტივების საჭიროება. იგი
ამ დასაბუთებისას ეყრდნობა ხალხს, მის ენას. ბ. ჯორჯაძის
საპასუხოდ ილია შენიშნავს: „ყურადღება მიაქციოს დაკვირ-
ვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახობ-
ფაქტი, დამანახოს და მაშინ დავეთანხმები, ენასა კანონსა“

თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“. ენა, რომელიც ილის აზრით ხალხს არ ესმის, არც შეიძლება ხალხის ენად ჩაითვალოს.

აქვე ილია აყალიბებს ქართული ენის გახალხურების პრინციპს. ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსმა ქართულ ანბანს მიუმატა ასო **ჟ**. რით არის დასაბუთებული ამ ასოს საჭიროება? — კითხულობს ილია და მიმართავს შესამოწმებლად ხალხის (გლეხობის) სასაუბრო ენას. ილია წერს: „ქართველ გლეხკაცს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერცკი გამოათქმევინებ, **ჟ**-ს მაგიერად სულ „ფ“-ს გამოსთქვამს, მინამდინ ბევრჯერ არ გაამეორებებოთ. ჰსჩანს ეგ ასო ჩვენის ენის თვისებისა არ არის და რაღათა ხმარობს?“ ამით ილია იმას აღნიშნავს, რომ რასაც ხალხი არ მიიღებს, ის შეიძლება საჭირო არც იყოს. აღსანიშნავია, რომ აქ ილია ქართველ თავადაზნაურთა მიმართ ერთ საყურადღებო შენიშვნას აკეთებს. მისი აზრით, ქართველი გლეხი ქართული ენისათვის შეუფერებელ ასოს „**ჟ**“-ს არ იხმარს, თუ იგი ბატონთან არ არის ნამსახური, სადაც მას თავისი ბუნებრივი ენა შეიძლება წარყვნილი ჰქონდეს. ილიას მებატონეებზე იმედი არა აქვს, მან კარგად იცის, რომ მისი საგრძნობი ნაწილი გადაგვარების გზაზეა შემდგარი.

დასასრულ, ილია ეხება, თვით „ცისკარს“ და სვამს კითხვას, თუ ვისი აზრის გამომხატველია ეს ჟურნალი? მას შეუძლებლად მიაჩნია, რომ ისეთი შინაარსის ჟურნალი, როგორიც „ცისკარია“, ხალხის აზრების გამომხატველი იყოს.

„ცისკარის“ ჩამორჩენის მთავარ მიზეზად ილია „ცისკარში“ მოკალათებული „ძველი თაობის“ წარმომადგენლებს თვლიდა: „თუ ცისკარი უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო, ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულეზო ყორნის ჩხავილითა!“ ასე აღაშფოთა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ჟურ. „ცისკარისა“ და მასში გაბატონებული „ძველი თაობის“ დრომოკმულმა, ანტიხალხურმა მიმართულებამ.

ილია ჭავჭავაძის „პასუხმა“ ეფთვიმე წერეთლის, ბ. ჯორჯაძისა და ა. ორბელიანის საპასუხო წერილები გამოიწვია. თვით რედაქციამ ილიას „პასუხს“ სქოლიოში ვრცელი შენიშვნები დაურთო, რითაც იგი „ძველი თაობის“ ჩამორჩენილი აზრების დამცველის როლში მოგვევლანა.

ილია თავის საპასუხო წერილში ზოგჯერ იშველიებს ბელინსკის შეხედულებებს. ჩვენ ამისი ზოგიერთი მაგალითი ზემოთ აღვნიშნეთ, ახლა კი დავუმატებთ, რომ, როდესაც მას თავისრაე მოწინააღმდეგეებმა მწერალთა შიმართ სიმკაცრე უსაყვიდურეს, ილიამ თავისი მოქცევა ბელინსკის ანალოგიური მოქცევით გაამართლა: „აბა განიხილეთ, — წერს ილია, — ბელინსკის სტატიები, სადაც უნიჭო მწერლებზედ ლაპარაკობს და სხვათა შორის ბულგარინზედ და ბარონ ბრამბეუსზედ. ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია პატიოსან კაცისათვის“. ყველას თავისი უნდა მიეზლოს. ცხოვრების ვითარებას ჩამორჩენილი მწერლის საქმიანი კრიტიკა საჭიროა და თანაც აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ ბელინსკის კრიტიკა ცნობილი რუსი რეაქციონერი კრიტიკოსის ბულგარინის მიმართ ილიას სამართლიანად მიაჩნია. იგი გარკვეულად ბელინსკის მხარეზეა და მის რევოლუციონურ-დემოკრატიულ იდეებს იზიარებს.

საერთოდ, ილია ჭავჭავაძე როგორც ქართულს, ისე რუსეთის მწერლობასაც დიფერენციალურად უდგება. მისთვის ყველა რუსი მწერალი ერთგვარი როდი იყო. იგი თუ, ერთის მხრით, იწუნებს ტრედიაკოვსკის, ხერასკოვის, სუმაროკოვის, კოზლოვისა და კარამზინის შემოქმედებას, როგორც „გაბერილ უნიჭობას“, მეორეს მხრით, დიდად აფასებს პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის შემოქმედებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილია ცნობილ რუს რეაქციონერ მწერალს ბულგარინს ასახელებს, როგორც უნიჭოს, სამაგიეროდ იგი ისეთი დიდი პატივისმცემელია ბელინ-

სკისა, რომ მისი ზოგიერთი შეხედულება სახელმძღვანელოდ აქვს გახდილი.

ქურნალ „ციცკრის“ რედაქციამ, ძველი თაობის წარმომადგენლებმა ილია ბელინსკის მიმბაძველად გამოაცხადეს. რედაქცია ილიას საპასუხო წერილის შენიშვნებში ამის შესახებ წერდა: „ი. ქავჭავაძე ბელინსკის ბაძავს და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება. თუმცა ბელინსკი საუუძველესი და უპირველესი კრიტიკი იყო რუსეთში, მაგრამ როგორათაც სნეული და ზაფრიანი კაცი, ყოველთვის ილანძღებოდა და ამ მიზეზით იმის ბაძვა არ არის მოსაწონი და თვით რუსეთში ეხლა ვინ ბაძავს იმას?“ ამ შენიშვნიდან აშკარად ჩანს, თუ ცხოვრების განვითარებას რამდენად ჩამორჩენილი იყო „ძველი თაობა“, რომელიც ამ დროს „ციცკარში“ გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ბელინსკის რევოლუციურ-დემოკრატიული აზრების გამომხატველი კრიტიკა მათ ავადმყოფი ადამიანის ლანძღვად მიიჩნეეს.

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, ილიამ თავის საპასუხო წერილში აღნიშნა, რომ ხელოვნება არის განხორციელება მხატვრულ სახეში იდეისა, აზრისაო. ამის საწინააღმდეგოდ რედაქცია აღნიშნავს: — „ხელოვნება მიეწერება ყოველს საგანსა, უსიტყვო, თუ სიტყვიერ ბუნებაშია, — საგანსა, რომელშიაც შინაგანი ღირსება და თვით გარეგანი ღირსება ისე არიან შეკავშირებულნი, რომ ადამიანში აღძრავენ აზრსა და გრძნობასა“¹.

როგორც ჩანს, რედაქცია ხელოვნების ცნებას სწორად არ ხმარობს. სახელდობრ, იგი ამ ცნებას აიგივეებს საერთოდ მშვენიერების (სილამაზის) ცნებასთან. მართალია, მშვენიერება ისევე არსებობს ბუნებაში, როგორც პოეზიასა და მუსიკაშიც, მაგრამ კერძოდ ხელოვნება და მშვენიერება საერთოდ მაინც სხვადასხვა მცნებებია. ამ შემთხვევაში რედაქცია მსჯელობს საერთოდ მშვენიერების (სილამაზის) შესახებ და არა ხელოვნების მშვენიერებაზე, რომელსაც ჰქმნის.

¹ „ციცკარი“, გვ. 195, 1861, № 6.

ადამიანი. ი. ჭავჭავაძეს კი ეს უკანასკნელი ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნება აქვს მხედველობაში, როცა აღნიშნავს, რომ „ხელოვნება არის განხორციელება საწესში იდეისა, აზრისა“. ცხადია, აქ რედაქციის მხრით გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

ილია ხშირად ეყრდნობოდა ბელინსკის, მოჰყავს მისი შრომებიდან ციტატები. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი თავის კრიტიკულ წერილში ილიას უსაყვედურებს, რომ მას არ წაუყითხავს პროფესორების პოგოდინისა და სენკოვსკის შრომები, სადაც განხილულია კარამზინის შემოქმედებაო, ხოლო ბარბარე ჯორჯაძე და სხვები ილიას უსაყვედურებენ ანტონ კათალიკოსისა და ლომონოსოვის „თეორეტიკისა“ და „რიტორიკის“ უცოდინარობას, ცხადია, ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა აღნიშნული პირების შეხედულებებს, მაგრამ მას რაში ესაჭიროებოდა მათი დრომოქმული აზრები, როცა იგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, შესანიშნავად იცნობდა ჰეგელისა და ბელინსკის შეხედულებებს.

* * *

თაობათა შორის ბრძოლის საკითხებს ქუთაისიდანაც ეხმაურებოდნენ. სარედაქციო შენიშვნების შემდეგ ქუთაისიდან „ცისკრის“ რედაქციას წერილით — „უფალო რედაქტორო“ მიმართა მწერალ გიორგი წერეთლის მამამ ეფთვიმე წერეთელმა, რომელიც მაშინ ქუთაისის სასამართლოში მსახურობდა. მისი წერილი ზემოაღნიშნული სათაურით გამოქვეყნდა „ცისკრის“ 1862 წლის თებერვლის ნომერში¹.

¹ ნ. ნიკოლაძე კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ მას ქუთაისში შეხვედრია ეფთვიმე წერეთელი. მისთვის ეფთვიმეს უთქვამს, რომ ჩემს წერილში ი. ჭავჭავაძის გინება არ იყო და იგი უკრ. „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ ჩაუმტაო, ძნელია ახლა იმისე თქმა, თუ რედაქტორმა როგორ შეასწორა ეფთვიმე წერეთლის წერილი. ჩვენ ამის შესახებ ოფიციალურად გამოქვეყნებული საბუთი არ მოგვეპოვება. ეფთვიმე წერეთლის მიერ შემოხვევითი ნათქვამის მიხედვით კი დაბეჭდილი წერილის შესწორება შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში წერილის დედააზრი ეფთვიმე წერეთელს ეკუთვნის და ჩვენც მას განვიხილავთ, როგორც მის ნააზრებს.

ეფთვიმე წერეთელი გახსაკუთრებით იმის გამოა უკმაყოფილო, რომ ილია ჭავჭავაძე „ქსწუნობს ნეტარ ხსენებულ ანტონ კათალიკოსის სიტყვიერებას“. ე. წერეთელი ამის გამო წერს: „ოჰ, ღმერთო რა მესმის! ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მაღალნიჭიერ სიტყვაობას სწუნობდეს და რას სახელდობრ: მის წყობილ სიტყვაობას, მის აკროსტიხულობას და მის იამბიკობას“. ეფთვიმე წერეთელს ანტონ კათალიკოსის თხზულებებიდან ილია ჭავჭავაძის საყურადღებოდ, როგორც პოეზიის საუკეთესო ნიმუში, მოჰყავს ცნობილი სასულიერო „სადღესასწაულო“ ლექსი — „შენ ხარ ვენახი“, ხოლო ჩახრუხაძის „თამარიანიდან“ ციტატა, რომელიც იწყება: — „ფირუზნი ხასნი, მერცხლად ნასახნი ციმციმის ელვით, ტრფობის მასახნი“. შემდეგ იგი რატომღაც მოითხოვს, რომ ილიამ ანტონის თხზულებათა გაგებისათვის საჭიროა წაიკითხოს ვოლტერის თხზულებანი, დამასკელის განმარტებანი და სხვ.

თუ როგორ აფასებდა ილია ანტონ კათალიკოსსა და ჩახრუხაძეს, ამაზე ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ და აქ აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ შევნიშნავ, რომ ეფთვიმე წერეთელი მსჯელობს ყოველგვარი დროისა და გარემოების გარეშე. იგი მოკლენებს ვერ აფასებს ისტორიული თვალსაზრისით, რომელიც მომარჯვებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს.

ეფთვიმე წერეთელსაც არ მოსწონს კრიტიკა. მასაც საზოგადოებრივი საკითხები შინაურული, ოჯახური საკითხები ჰგონია. მისი აზრით, რა საჭიროა „რუსის მწერლებიდან სიტყვების აღება ქალის საბაასოთ“, როგორც ამას ი. ჭავჭავაძე ჩადის, ამის ნაცვლად უკეთესი იყო, — წერს ეფთვიმე, — ილიას ბარბარე ჯორჯაძისათვის, რომლის ლექსები „სასმენელს ატკობდნენ და გულს ალხენდნენ“, ზრდილობიანად ეთქვა: „თქვენი საქმე არ არის, მე და ჩემი ამხანაგი (რ. ერისთავი — ა. გ.) მოვრიგდებითო“ და ამით მშვიდობიანად დამთავრდებოდა ის, რამაც ასეთი დიდი დავა გამოიწვიაო.

ეფთვიმე წერეთელს არ მოსწონს ილია ჭავჭავაძის წე-

რილებში გამონატული აზრები, სამაგიეროდ იგი ამ თავის წერილში ასახელებს „ცისკრის“ 1861 წლის ივლისის ნომერში დაბეჭდილ ალექსანდრე სულხანიშვილის სტატიას — „მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებლის ქართველის მხედველობა: თუ რაოდენ დამცილებულ არს ზნეობრივი განათლება დასავლეთის ევროპიასა შინა“, როგორც ბრწყინვალე აზრის შემცველ ნაწარმოებს. რა აზრია გამოთქმული ა. სულხანიშვილის სტატიაში, რომელმაც ასე მოხიბლა ეფთვიმე წერეთელი?

ა. სულხანიშვილის აზრით ევროპაში გამოჩნდნენ კრიტიკულად მოაზროვნე ისეთი ადამიანები, „რომელნიც ასწავებენ ხალხთა სიცრუის ჭეშმარიტებასა, რათამცა მათ მოსპონ გულთა შინა მსმენელთათა სარწმუნოება, კეთილ-მოქმედება და პატივი“. ქრისტიანული რელიგიისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, — წერს ა. სულხანიშვილი, — „დაბადა მუნ აღრეულობა და განხეთქილება ჩასანთქმელად მთელის საზოგადოებისასა“. ა. სულხანიშვილი კრიტიკულად მოაზროვნე ფილოსოფოსებს, მათ „გონებამსჯელობას“ ადარებს „ცეცხლის სინათლესა, რომელსაცა აღაგზნებს ზღვის მზაკვარნი, სიმადლენი ზედაკლდისასა, რათა მით მეხომალდენი დაღუპონ“. ა. სულხანიშვილის აზრით, მაშინ, როდესაც ევროპაში ურწმუნოებისა გაძო „საზოგადო აღშფოთებები“, ე. ი. აჯანყებები, ხდება და ყველაფერი იღუპება, საქართველოში „უფლებს მშვიდობა და მყუდროება? — ვართ ბედნიერ, ას გზით ბედნიერ, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით იმ ქვეყანას, სადაცა ცხადათ იზილვების მრისხანება უფლისა“. ამ მყუდრო ცხოვრების ბურჯად მას მიაჩნია ქრისტიანული რელიგია და თვითმპყრობელობა. ბოლოს იგი იმ აზრს ავითარებს, რომ საზოგადოებისათვის რა საჭიროა ისეთი კრიტიკული „გონებამსჯელობანი, რომელთაც არ ძალუძსთ შერობა არცა ერთისა ცრემლისა“. პირიქით, მათ, მისი აზრით, საზოგადოებისათვის უკმაყოფილება და მწუხარება მოაქვთ. აქედან ა. სულხანიშვილი დაასკვნის: „ჭეშმარიტი ფილოსოფია, — ესე არს ჰსჯული ქრისტესი. — ბედნიერ არს იგი, რო-

მელიცა ჩვენს დროში არა არს ფილოსოფოსი, არამედ ქეშ-
მარიტი ქრისტიანე¹.

რა საჭიროა ძიება, ბრძოლა, ახალი აზრები? მას საზო-
გადოებისათვის მხოლოდ ცრემლი და უბედურება მოაქვს.
არსებობს ერთი ქეშმარიტი მსოფლმხედველობა — ქრისტი-
ანული რელიგია, რომელიც საზოგადოებას მყუდროსა და
ბედნიერ ცხოვრებას ანიჭებს. დაუჯერეთ ყოველივე მას. აი
რა მოსწონს ეფთვიმე წერეთელს! შემთხვევითი არაა, რომ
კრიტიკულად მოაზროვნე ფილოსოფოსებს შორის ეფთვიმე
წერეთელმა ილია ჭავჭავაძეც შეიცნო. ა. სულხანიშვილის
შეხედულებები, რომელიც მას ნასესხები აქვს უკიდურეს
რეაქციონერ თეოლოგებიდან, ცხადია, არსებითად ეწინააღ-
მდეგებოდა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას, რომე-
ლიც მან ზემოგანხილულ პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერა-
ლებში წამოაყენა. ილიამ დაგმო ის მყუდროებისა და ძილის
ფილოსოფია, რომელსაც ასე ეთაყვანება ა. სულხანიშვი-
ლი, პირიქით, მან წამოაყენა მოძრაობისა და ძიების გზა,
როგორც განვითარების საფუძველი.

ეფთვიმე წერეთელს ქუთაისში გაუგია, რომ ილია ჭავჭა-
ვაძე „ახალის ენით“ გამართული ჟურნალის გამოცემას აპი-
რებსო. ამ „ახალ ენაში“ იგი გულისხმობს გახალხურებულ
ქართულ სალიტერატურო ენას, რომლის შემოღებაც ილია
ჭავჭავაძემ მოითხოვა. ამიტომაც იგი ამ ჟურნალს, რომელიც
ილიამ უნდა გამოსცეს, დასცინის: „ბევრ ხელის მომწერს
ჰ.რ.ეებს, იმ ენით ლაპარაკს ჩვენი საზოგადოება დიდად შო-
რავს“. ე. წერეთელს ამით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისი
აღნიშვნა სურს, რომ ქართველი ფეოდალური არისტოკრატია
ხალხური ენით არ ლაპარაკობს და არც იმ ჟურნალს გამოი-
წერს, რომელშიაც ხალხური ენით დაწერილი ნაწარმოებები
იქნება დაბეჭდილი. უფრო მეტიც, იგი აშინებს ისედაც
საკმაოდ შეშინებულ „ცისკარის“ რედაქტორ ივ. კერესელი-
ძეს, რომ თუ „ცისკარში“ ილიას მხრით კრიტიკა, რომელსაც

¹ „ცისკარი“, № 7, გვ. 261, 1861.

ეფთვიმე წერეთელი „ლანძღვას“ ეძახის, არ შეწყდა, მაშინ ქუთათური „კეთილშობილნი“ უურნალს აღარ გამოიწერენო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძეს ძველი, დახვეწებული აზრების წინაშე ქედი უნდა მოეხარა და „ცისკრის“ ფურცლებზე თავის მოწინააღმდეგეთა მაამებელი წერილების ბეჭდვა დაეწყო.

ეფთვიმე წერეთლის მისწრაფებები ძირითადადში ემთხვევა სხვა „ძველი თაობის“ წარმომადგენელთა შეხედულებებს, ისინი ამ მხრით ერთ იდეურ ხაზზე დგანან.

ეფთვიმე წერეთელს ქუთაისში თავისი მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. „ცისკრის“ 1862 წლის ივნისის ნომერში ქუთაისიდან გამოვზაენილ წერილში თერგდალეული წერს: ქუთაისის „ბულვარში“, სადაც არ გაივლი, ისმის — „ჩვენი ეფთვიმეს სტატია წაიკითხო“, „შეჩვენებული რა არიან პეტერბურგში ჩვენი ყმაწვილები, გუშინ ერთმა ჩემმა ამწანაგმა მიაბო, რომ ვითომც უფ. ეფთვიმე წერეთლის სტატიაზე პასუხს აპირებენ და, ვნახოთ, როგორი იქნება თერგდალეულის სტატიები, ძალიან ვემზადებით, ჩვენ იმათი არ გვეშინია ვემზადებით, მიუგოთ ჩვენ მაგიერი პასუხი“.

ქუთაისიდან ძველი თაობის ერთი მიმდევართაგანი თომა შაქავარიანი, რომელიც მაშინ ქუთაისში სწავლობდა, „ცისკრის“ 1862 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ერთმანეთს უპირისპირებს ბარბარე ჯორჯაძისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. თ. შაქავარიანი ი. ჭავჭავაძის მისამართით წერს:

„ბ. ჯორჯაძის ლექსები არიან ჩინებულნი. რომელნიცა მიიზიდავენ კაცთ: სასმენლად; და თქვენ საოდან უნდა მოგეწონოს მისი თხზულება, სადაც ავინებთ მწერლობასა დიდისა ავქსიონისა ჩახრუხადისა“, ხოლო თვით ილიას შემოქმედების შესახებ აქვე წერს, რომ ეფთვიმე წერეთელი იმიტომ არ აქებს „მწერლობასა ჭავჭავაძისა, რადგანაც არ არის ღირსი ქებისა“. თ. შაქავარიანი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებს, რომ ი. ჭავჭავაძის პოეზია წყალია და წყალი სულ რომ ნაყო, მაინც ისევ წყალია“.

ქუთაისში ახალი თაობის წარმომადგენლებიც მუშაობდნენ, ჯერ ნ. ნიკოლაძე და შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებუ-

ლი აკაკი წერეთელი. ესენი ახალი თაობის იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. მათი შემწეობით თბილისელები კურსში იყვნენ, თუ ამ ხაზით რა ხდებოდა საქართველოს კულტურის მეორე ცენტრში — ქუთაისში. ეს ნათლად ჩანს როგორც ნ. ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის პირადი წერილებით, ისე მათი ნაბეჭდი პუბლიცისტური ხასიათის წერილებითაც. ამაზე ჩვენ ნაწილობრივ ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი იმის დასადასტურებლად, რომ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე ქუთაისიდან ჩამბული იყო ამ ბრძოლაში და „ძველი თაობის“ წინააღმდეგ წერდა წერილებს, მოვიყვანთ ივანე კერესელიძის წერილს ნიკო ნიკოლაძისადმი: „დიდად მსურდა და მსურს დაბეჭდვა „ცისკარში“ თქვენი შენიშვნისა, შესახებ მაჭავარიანისა, მაგრამ ცენზორმა ზოგიერთი ადგილები არ გაუშვა. ამითვე უნდა დარწმუნდეთ, რომ არა მსურვებოდა დაბეჭდვა არც ცენზურაში წარცხადგენდი. რა ვქნა, კარგად იცი თავისუფალნი არა ვართ და როგორც უნდათ ისე გვათამაშებენ. თუ თანახმა შეიქმნები, როგორც კომიტეტს უნებებია ისე დაბეჭდვისა, უკანვე გამომიგზავნეთ და მაშინვე დავაბეჭდვინებ“¹. როგორც აქედან ირკვევა, ნ. ნიკოლაძეს ქუთაისიდან თ. მაჭავარიანის წინააღმდეგ დაწერილი წერილი გამოუგზავნია „ცისკარის“ რედაქციისათვის, მაგრამ ცენზურას იგი არ გაუშვია. უნდა ვიფიქროთ, რომ ნ. ნიკოლაძის ზოგიერთი წერილი მასში გამოხატული რადიკალური შეხედულებების გამო „ცისკარში“ ვერ იბეჭდებოდა.

ნ. ნიკოლაძის პოზიცია, „ძველი თაობის“ მიმართ ჩვენთვის ნათელი რომ იყოს, აქ მოვიყვანთ მოკლე ნაწყვეტს მისი პოლემიკური წერილიდან. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს:

„1863 წ. ილია ჰავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავს უწინდელ კალაპოტს ცვლიდა. და ახალში შესვლას აპირებდა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ აპრებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო, და როცა მეორეს მხრივ ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა — ესე იგი ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობის, ესე იგი ძველს წესს და სჯულს

¹ ნ. ნიკოლაძე „მოგონებანი“, ტ. I, ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ. 384

შუა. როცა ატეხილია ბრძოლა, როცა სდულს ცხოვრება, ყოველი პატიოსანი კაცის ვალია ან ერთ რაზმში, ან მეორეში ჩადგეს, როგორც ურჩევს. გული, აზრი და მიმართულება. ბრძოლა, ვსთქვი, სასტიკი ატყდა. რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე. ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილია ქაუჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“, და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდულდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“.

ნ. ნიკოლაძე უსაყვედურებს ა. ფურცელაძეს, რომ მან ასეთ პირობებში უსაფუძვლოდ გაილაშქრა „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ და „შიადგა კარზე „ცისკრის“ რედაქტორს უფ. კერესელიძეს, რომელსაც არც ცოდნა, არც ნიჭი, არც აზრი, არც ხეირი ჰქონდა ახალ თაობასთან ბრძოლაში გამოსასვლელად“¹.



ა. ორბელიანი თავის შემოქმედებით, გამოსვლებით უპირისპირდებოდა იმ კრიტიკულ-რეალისტურ მიმართულებას, რომელმაც თავი იჩინა ორმოცდაათიან წლებში, ხოლო შემდეგ ი. ჭავჭავაძის ნაწერებში მიიღო დასრულებული სახესამაგიეროდ იგი თავის ნაწარმოებებში ხოტბას ახსამდა წარსულ ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოს, მაშინდელ გაბატონებულ კლასს, თავადაზნაურობას.

ცნობილია, რომ მან „ცისკრის“ 1859 წლის ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში — „უწინდელი დროს ბატონყმობა საქართველოში“ ის აზრი გამოხატა, რომ წარსული დროის ფეოდალურ საქართველოში „ბატონყმობა „მამა-შვილურ“ სიყვარულზე იყო აგებული. დ. კონჭაძის „სურამის ციხის“ შესახებ ა. ორბელიანმა წერილი დასწერა, სათაურით „დასტურს დასტური“, სადაც ის აზრი განავითარა, რომ „სურამის ციხეში“ გამოხატული ბატონყმური ცხო-

¹ ნ. სკანდელი, ჩვენი მწერლობა. „კრებული“, 1872, № 10, 11 და 12, გვ. 152—154.

ვრება მაშინდელი სინამდვილისათვის დამახასიათებელი არ არის, ბატონსა და ყმას შორის ასეთი ბრძოლა არ წარმოებს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ა. ორბელიანის უცნობი ოთხმოქმედებიანი პიესა „ქამნი მეფობენ“¹, რომლის დაწერა მას 1866 წელს დაუსრულებია. პიესაში წარმოდგენილია საგლეხო რეფორმისათვის სამზადისი, ბატონყმობის „გაუქმება“, თავადაზნაურობისა და გლეხობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ა. ორბელიანი ამ პიესის მიხედვით ცხოვრების მესაქე ძალებს მხოლოდ თავადაზნაურობაში ეძებს. წარსული ღროის ბატონყმური ცხოვრების მოტრფიალე მოხუცი თავადები ისე არიან წარმოდგენილნი, რომ აშკარაა ავტორი მათ მხარეზეა. ისინი, პიესაში მოწინააღმდეგეები, როგორც კეთილი, ყმების მოსიყვარულე ადამიანები. მათი იდეალი წარსული ფეოდალური საქართველოა, ერეკლე მეორის დრო, როდესაც მათი აზრით, დამოუკიდებელ საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მხოლოდ სიყვარული სუფევდა.

ა. ორბელიანი ილაშქრებს ყმებისადმი ცუდი დამოკიდებულების წინააღმდეგ. იგი ყმა-გლეხობის შემავიწროებელ მებატონეებს გვისურათებს, როგორც ბოროტ ადამიანებს. ასევე იგი ილაშქრებს ბატონების მიმართ ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ. ა. ორბელიანი სრულიადაც არ უთანაგრძობს იმ ყმებს, რომლებიც ბატონების წინააღმდეგ აჯანყებას აწყობენ ან იბრძვიან თავისუფლებისათვის. იგი ასეთი ზნისათვის ბრძოლას გამოხატავს.

ა. ორბელიანის აზრით, წოდებებს შორის ბრძოლას ორივე მხარისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. საჭიროა ისეთი სიყვარული, როგორიც ანლელიკასა და პეტრეს შორის იყო. მისი აზრით, ასეთ ურთიერთის პატივისცემაზე აგებული ბატონყმური ცხოვრება ქვეყნისათვის იდეალი უნდა იყოს. აშკარაა, რომ ა. ორბელიანი ამ დრამატულ ნაწარმოებ-

¹ ამ პიესის შესახებ დაწერილებით იხ. ა. გაჩეჩილაძე, „ა. ორბელიანი, ნარკვევები XIX საუკუნის დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან“ ტ. I, 1956

ში გამოხატული მისწრაფებებით უპირისპირდებოდა დ. ჯონ-ქაძის, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის იმ მიმართულებას, რომელიც მათ ბატონყმობის შესახებ თავიანთ ნაწარმოებებში განავითარეს.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძემ თავის პროზაულ ნაწარმოებებში („კაცია ადამიანი!“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.) დაგმო ბატონყმური ცხოვრება. მან კაცოს, ზაქროს, გაბროს სახით გაჰოხატა ბატონყმური ცხოვრების წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა სახეები. ისინი ბატონყმურ ცხოვრებას შეურიგებელ ბრძოლას უცხადებენ. ი. ჭავჭავაძემ, ისე როგორც დ. ჯონქაძემ, ხალხს აჩვენა სინამდვილე, რომ ბატონსა და ყმას შორის სისხლის ღვრაა. მათი შერიგება შეუძლებელია. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებში გამოხატული ყმა გლეხები (კაკო, ზაქრო, გაბრო). როდი გვანან ა. ორბელიანის ნაწარმოებში („ყამნი მეფობენ“) გამოხატულ ყმა გლეხებს (პეტრე, გაბრიელი), რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მათ აწიოკებს, მაინც შემრიგებლობას იჩენენ მის მიმართ.

ა. ორბელიანის დრამატული ნაწარმოები „ყამნი მეფობენ“ თავისი იდეური მიმართულებით განზრახ უპირისპირდება ილიას ნაწარმოებს „გლახის ნაამბობს“. აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწარმოებში ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ ყმას გაბრიელი ჰქვია, ოლონდ, ა. ორბელიანის გაბრიელი ბოლოს ქედს იხრის ბატონის წინაშე, ხოლო „გლახის ნაამბობის“ გაბრიელი შეუროგებელია ბატონთან. ახლამ მხრით ჩავუკვირდეთ ა. ორბელიანის მიერ ამ დრამატულ ნაწარმოებში გამოყვანილ მეორე ყმა გლეხს, პეტრეს. ბატონმა მისი ოჯახი დააწიოკა. აიძულა იგი თავის სახლიდან გაქცეულიყო და პატიოსან მშრომელს, აწ უკვე დასნეულებულ ადამიანს, მათხოვრობა დაეწყო. ძნელი არ არის შეამჩნიოთ, რომ პეტრეს თავგადასავალი ერთგვარად მოგვაგონებს „გლახის ნაამბობის“ გაბრიელის თავგადასავალს. მაგრამ ისინი სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები არიან. პეტრე შეფრიგდა თავის ბატონს. ბატონყმურ ცხოვრებას, დაუბრუნდა

ოჯახს, გაბრიელი კი კლავს თავის დამღუპველ ბატონს, იგი სრულიად ემიჯნება ბატონყმობაზე აგებულ ცხოვრებას.

აქ შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე ყმა ნიკოლას („ჟამნი მეფობენ“) ნათქვამი — „კარგი მებატონე კარგია და ცუდი ღმერთმა შეინახოს“, ახლა მოუსმინოთ ყმას „კაკო ყაჩალიდან“, ზაქრო ასე ახასიათებს ბატონს: „თავადის-შეილი კარგი რა არის, ავი რა იყოს“. ცხადია, აქ, ორ მოპირდაპირე მსოფლმხედველობასთან გვაქვს საქმე.

„გლახის ნაამბობის“ მეორე თავში გაბრო გადაქრით ამბობს, რომ „ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“. ეს აზრი ქავჭავაძის აზრია, და ეს არის ჩვენი ფიქრით ის ძირითადი საკითხი, სადაც წინააღმდეგობაში მოდიან ა. ორბელიანი და ი. ქავჭავაძე.

ა. ორბელიანს უნდა თქვას, თუ რა მისცა „გლახის ნაამბობის“ გმირს გაბრიელს ბრძოლამ, მან მოჰკლა თავის ბატონი, მაგრამ თვითონაც ხომ დაიღუპა, განა უფრო კარგად არ მოიქცა ბატონისაგან დევნილი პეტრე, გაბრიელი („ჟამნი მეფობენ“), რომლებიც შეურიგდნენ ბატონსა და მასთან შეხმატბილებულნი ცხოვრობენ. ამრიგად, ა. ორბელიანი უპირისპირდებოდა ი. ქავჭავაძის შემოქმედებაში გამოხატულ იდეას.

იცნობდა თუ არა ალექსანდრე ორბელიანი ი. ქავჭავაძის ნაწარმოებებს, რომლებიც ბატონყმობის წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი? „კაცია ადამიანი?!“ სრული სახით დაიბეჭდა 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ხოლო „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვრებიდამ“ ნაწილობრივ. მაგრამ დაბეჭდილიდანაც ნათლად ჩანს ი. ქავჭავაძის შეხედულებანი ბატონყმური ცხოვრების მიმართ, მისი თანაგრძნობა მებრძოლ ყმებისადმი, რომ ბატონყმობა უნდა მოისპოს. „საქართველოს მოამბის“ აზრი ბატონყმობაზე მაშინ საკმაოდ იყო ცნობილი.

ესეც რომ არ იყოს, ისედაც გარკვეულია, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ილიას ნაწარმოებები ქართველ ინტელიგენციაში დაბეჭდვამდე იყვნენ ცნობილნი.

გ. წერეთელი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ „გლახის ნაამბობი“ დაბეჭდვამდე იკითხებოდა მაშინდელ წრეებში. ისე რომ ალ. ორბელიანი ი. ჭავჭავაძის ამ ნაწარმოებებს ცხადია იცნობდა. იგი თავის მისწრაფებებით ამ შემთხვევაში უპირისპირდებოდა „თერგდალეულთა“ მსოფლმხედველობას. ამრიგად, სოციალურ საკითხში ა. ორბელიანის მსოფლმხედველობის შესახებ ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: მისი აზრით წარსულ ფეოდალურ საქართველოში ბატონყმური ცხოვრება „მამაშვილურ“ სიყვარულზე იყო აგებული. მას შემდეგ, რაც საქართველო მეფის რუსეთს შეუერთდა ბატონყმური ცხოვრება გაუარესდა, ბატონი და ყმა ნაცვლად ურთიერთის სიყვარულისა, ერთმანეთის მტრები შეიქნენ. მეფის მთავრობის მოხელეები და ვაჭრები, რომლებიც საქართველოში გასამდიდრებლად მოვიდნენ, სარგებლობდნენ ამ წინააღმდეგობებით და ძარცვავდნენ, როგორც თავადებს, ისე გლეხობას.

ა. ორბელიანი ფიქრობს, რომ კლასებს შორის სიყვარული არის ის მთავარი გზა, რომელმაც ბატონი და ყმა ერთმანეთთან „მამაშვილურად“ უნდა შეაერთოს და შეაკავშიროს.

ა. ორბელიანის „ცისკარში“ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებს მისი მსოფლმხედველობის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

ა. ორბელიანი საქართველოს ხსნას ვაჭრობის განვითარებასა და განათლების გავრცელებაში ხედავს. მას განსაკუთრებით აშინებს საქართველოში სომხური ბურჟუაზიის გავლენის ზრდა. იგი წერილში „ჩვენი ქართული საზოგადოება“ დარიგებას იძლევა, რომ თაჯადაზნაურობამ მიჰბაძოს თავად ივანე მუხრან-ბატონს. ვინ არის იგი?

ივანე მუხრანბატონი დიდი შეძლების მქონე მეზობელი იყო. მისი დიდი შეძლება მარტო სოფლის მეურნეობით როდი იფარგლებოდა. თბილისში ჰქონდა მას მრავალი დუქანი და სახლი, რომელიც დიდ შემოსავალს აძლევდა. არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ თბილისში მას 45 დუქანი

ქონია გაქირავებული. მოხერხებულად ზრდიდა თავის ადგილ-მამულს. ამავე დროს მან მეფის მთავრობის წინაშე იმდენად დაიმსახურა, რომ გენერლის ჩინი მიიღო. იგი თვით-მპყრობელობის ერთგული მოხელე გახდა. ა. ორბელიანს განსაკუთრებით მოსწონს ის გარემოება, რომ ი. მუხრან-ბატონს თავისი სასახლე ევროპულად გაუწყვია, რომ იგი ევროპული ცხოვრების მიმდევარია. ა. ორბელიანი ამ თავის საპროგრამო წერილში არსებითად განახლებული ბატონყმობის დამცველად გამოდის.

აღსანიშნავია, რომ ა. ორბელიანის წერილმა „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“ მაშინ ქართველ ინტელიგენციაში კამათი გამოიწვია და მის მოსაზრებებს მოწინააღმდეგეები გაუჩნდნენ. ამ მხრით, საინტერესოა საქართველოს მუზეუმში მიკვლეული ლექსი „პასუხი ალ. ორბელიანს ქართველთ საზოგადოებაზე“¹, რომელიც გიორგი დვანაძეს ეკუთვნის. მოვიყვანთ ამ ლექსს სრულად.

ჩემო პუპლია!² რა ცუდათა ჰსკი
 თვით შენ არ გესმის შენი ნაბლაჟი.
 შენ აძლევ ქართველთ დარიგებასა
 როგორ მოექცნენ ამ დროებასა.
 ამბობს მიებაძოთ კნიაზ ივანეს
 მშვიდსა, კეთილსა, ამასთანავე მხნეს.
 მაგრამ ვაიჲ რა ცუდათ ჰსცდები.
 შენ ივანეს ჰაზრს როგორ მიხვდები?
 რადგანაც მოგწონს ივანეს ქცევა,
 მოდი მიჰბაძე თვით შენ ისევა.
 ამიტომ რომელ უველაზედ შეტად
 ივანეს რაცხავ ქართველთა ღმერთად.
 ვერ დაუოჯრებ მე იმაზედ ჯერ
 ხართალი იყოს რასაც რომ ჰსწერ.
 უთუოდ მასთან გაქვს რამ საფერო
 და მისთვისა ჰსცდილობ ჰება დაჰსწერო.
 მაგრამ გითავებ დღეიდგან მარად,
 რომ არ ვიყიდი შენს ნაწერს ფარად.

¹ საქართველოს მუზეუმი, H—1132

² პუპლია ზედმეტი სახელი იყო ალ. ორბელიანისა.

ეს ლექსი დაწერილია 1859 (ჩყნთ) წელს, ა. ორბელიანის ზემოთ აღნიშნული წერილის შემდეგ. ამ დროს საქართველოში ბატონყმობა მძვინვარებდა. ა. ორბელიანი თავის წერილში სრულიადაც არ მოითხოვს ბატონყმობის მოსპობას, პირიქით, იგი ქართველ ხალხს ურჩევს გაჰყვეს ახალ, ცხოვრებასთან შეგუებული მსხვილი მემამულისა და მებატონის ივანე მუხრანბატონის გზას.

ა. ორბელიანის აზრით, ბატონყმობა კაპიტალიზმს უნდა შეეზარდოს, ახალ ცხოვრებას ევროპულად განათლებული თავადაზნაურობა უნდა ჩაუდგეს სათავეში. ცხადია, გ. დვანაძეს ეს არ მოსწონს, დასცინის მის მსოფლმხედველობას. მაგრამ ეს მარტო გ. დვანაძის აზრი არ უნდა იყოს. გ. დვანაძე გ. ერისთავის თეატრის მსახიობი და დრამატურგი იყო. გლეხური წრიდან გამოსული. იგი გ. ერისთავს თავის მასწავლებლად თვლიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ გ. დვანაძე ამ შემთხვევაში გამოხატავდა გ. ერისთავის აზრსაც, რომელიც ბატონყმობის მოსპობას მოითხოვდა.

ა. ორბელიანის მიერ მოწონებული ივანე მუხრანბატონი შემდეგ, სამოცდაათიან წლებში ილია ჭავჭავაძემ თავის „გამოცანებში“ ასე დაახასიათა:

ბაიყუშვით თავ-დიდია
დაღვრემილი და ბღვერია,
მუღამ გაბუტვილი დაღის,
რალაც უტყვი და შტერია;
თავ-მძიმეა, ჰკვა სუბუქი.
ცომივით გათქვლეფილია,
ჯილდოსთვის ბევრი დაქსასა
მან საქართველოს შვილია.
დეღათ წყევლაჲ აუგო
მას საქოლავი დილია,
მაგრამ წყევლაც და ჰვეჯანაც
იმას ფეხებზედ ჰკილია.

ი. ჭავჭავაძე ივანე მუხრანბატონს იმ თავადებს შორის ათავსებს, რომლებმაც კარიერისათვის „ქვეყნის ინტერესები ფეხებზე დაიკიდეს“.

რომ უფრო ნათელი იყოს ა. ორბელიანის მისწრაფებები, ჩვენ აქ მოვიყვანთ მის მიერ 1861 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული წერილის წინასიტყვაობის ერთ ნაწილს: „წარსულ წელიწადს — წერს ა. ორბელიანი — „ცისკარში“ დაბეჭდილ ჩემს აღწერაში წაიკითხავდით უწინდელს ჩვენს ბატონყმობას და იმ უწინდელს ჩვენს უმანკობას ახლანდელი ევროპული სრული განათლება ზედ რომ დაერთოს და ერთს ზნობად გაკეთდეს, მაშინ იტყვიან: „აი ზეციური ცხოვრება ჭვეყანაზე გადმოვლენილიო...“

აქაც ა. ორბელიანი „უწინდელი ბატონყმობის“, „ევროპული განათლებისა“ და „ვაქრობის“ შეზრდას მოითხოვს. ამ „ახალი ცხოვრების“ მეთაური, მისი აზრით, კვლავ თავადაზნაურობა უნდა იყოს. ასეთი მონური ცხოვრება მიაჩნია მას „ზეციურ ცხოვრებად“.

ა. ორბელიანი თავადაზნაურობის კრიტიკას ვერ ითმენდა. ამას ნათლად მოწმობს, სხვა კრიტიკულ წერილებთან ერთად, მისი წერილი — „უურნალ „ცისკარის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე და მე“, რომელიც საქართველოს მუზეუმშია დაცული¹. ამ წერილში ი. კერესელიძის სარედაქციო მუშაობას ა. ორბელიანი წუნსა სდებს. „სალაყბო ფურცელის“ შესახებ იგი აღნიშნავს: „იქნება სალაყბოს ფურცლები ზოგიერთებს რომ მოსწონთ, მართლა კარგი იყოს, რა არის იქ კარგი? ის არის უბრალო ლაზღანდარობა, ანუ წინდაუხედავი ლანძღვა, რომელიცა ის ლაყბობა კარგს ვერას აწავლის ევრაეის...“

როგორც ცნობილია, „სალაყბო ფურცელი“ ამხელდა თავადაზნაურობის უპრინციპობას, მოლაყბე მხარს უჭერდა ბატონყმობის გაუქმებას. აი, რა არ მოსწონს ა. ორბელიანს².

აღსანიშნავია, რომ თვით ა. ორბელიანს მაშინ, როდესაც ბატონყმობის შესახებ ქართველ მემამულეთა „პაზრების

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, H-1634.

² ა. ორბელიანი აღნიშნავს, რომ „სალაყბო ფურცელს“ ივანე კერესელიძე წერდაო.

შეკრება“ მიმდინარეობდა, ოფიციალურად გამოთქმული აქვს თავის დამოკიდებულება ბატონყმობის მიმართ. ა. ორბელიანი მოითხოვდა, რომ „ადგილი ბატონის საკუთრება არის“ და „ყმები უმიწოდ“ უნდა განთავისუფლდნენ, ისიც ამ ცარიელი თავისუფლების გამოსყიდვით.

ალექსანდრე ორბელიანი „ცისკრის“ ფურცლებზე აღიარებს რა „სამი შტილის თეორიას“, ქართულ ენას ყოფს სამ ნაწილად: „საღმრთო წერილად, ანუ ეკლესიურად, დარბაისელთ უბნობად და... გლეხკაცების ენად“. ა. ორბელიანს ასეთი კლასიფიკაციის საილუსტრაციოდ მოჰყავს ფსალმუნნიდან ერთი ადგილი და მას გვიჩვენებს მის მიერ აღიარებული „სამი შტილის“ მიხედვით.

ა. ორბელიანი ქართულ ენას წოდებათა მიხედვით ანაწილებდა, თითქოს არსებობს სასულიერო, თავადაზნაურული და გლეხური ენა, რაც ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ენის ასეთი დანაწილება, ისე როგორც „სამი შტილის“ თეორიის ყველა ქართველ მიმდევრებს, ა. ორბელიანსაც უცხოეთიდან აქვს ნასესხები, კერძოდ ენის საკითხში „სამი შტილის“ თეორიას იცავდა რუსეთში ლომონოსოვი. გარდა ამისა, შეუძლებელია სასაუბრო და ლიტერატურული ენის გაიგივება, როგორც მას ა. ორბელიანი ჩადის.

ასეთი არასწორი პოზიცია ეჭირა ენის საკითხში ა. ორბელიანს. იგი სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის მოწინააღმდეგე იყო.

სახელმწიფოებრივი წყობის შესანიშნავ ნიმუშად ა. ორბელიანს სავაქრო კაპიტალიზმთან „მამა-შვილურ სიყვარულზე“ აგებული ბატონყმური ცხოვრება მიაჩნდა, ხოლო საქართველოს ეროვნულ დროშად — ქართველი თავადაზნაურობა. თავის შემოქმედებაში ასეთსავე არასწორ პოზიციებზე იდგა ბ. ჯორჯაძე.



პეტერბურგიდან ქართველმა მოწინავე სტუდენტებმა ზმა აღიმაღლეს ილია ჭავჭავაძის მიერ „ცისკრის“ ფურც-

ლებზე წამოყენებული მოწინავე იდეების დასაცავად. „ცისკრის“ 1862 წლის აპრილის ნომერში თერგდალეულის ფსევდონიმით გამოქვეყნებულია ორი წერილი. პირველი წერილი სათაურით „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა“ და მეორე, სათაურით — „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“¹.

1 „ცისკრის“ რედაქტორმა ი. კერესელიძემ პეტერბურგიდან სამი წერილი მიიღო: ა) „წიგნი მიწერილი“ რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა, ბ) „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ და გ) „ახირებული ვურცელი“. წერილები ხელმოწერილია ფსევდონიმით — თერგდალეული. ამჟამად მკვლევარების მიერ გამოკვეთულია, რომ ის სამი თერგდალეული, რომლებმაც ეს წერილები გამოგზავნეს და ილია ჭავჭავაძის დასაცავად ხმა აიმაღლეს, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და აკაკი წერეთელია. პირველი წერილის ავტორია კ. ლორთქიფანიძე, მეორესი გ. წერეთელი და მესამესი აკაკი წერეთელი. ასეთი განაწილება ამ წერილებისა სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, ოღონდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სამივე წერილი პეტერბურგში თერგდალეულთა ჯგუფშია შემუშავებული, შემდეგ ამ ჯგუფის წევრთა შორის განაწილებული და გამოგზავნილი საქართველოში. ამაზე მიუთითებს ის ლექსიც, რომელიც მეორე წერილშია ჩაწერილი: „ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი, სამნივე თერგდალეულთაგანი...“ ამ წერილებში ჩაქსოვილია ახალგაზრდა თერგდალეულთა საერთო მისწრაფებები. გარდა იმისა, რომ მესამე წერილი მთლიანად აკაკის ეკუთვნის, პირველ და მეორე წერილს ეტყობა აკაკი წერეთლის ზეგლენა, —სამართლიანად არის აღნიშნული (ს. ხუნდაძე), რომ მეორე წერილში მოთავსებული ლექსი აკაკის უნდა ეკუთვნოდეს.

ამ ბოლო დროს გამოითქვა აზრი, რომ „ცისკრის“ 1862 წლის აპრილის ნომერში დაბეჭდილი წერილი „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ — ეკუთვნის არა გ. წერეთელს, არამედ თერგდალეულს, სამსონ აბაშიძეს, რომელიც მაშინ პეტერბურგში სწავლობდა. ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს ამ საკითხს ვრცლად შევეხოთ, მაგრამ აღნიშნავთ, რომ ამ წერილის სამსონ აბაშიძისადმი მიკუთვნება არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს. ის გარემოება, რომ „ცისკრის“ ფურცელზე ფსევდონიმისათვის — „თერგდალეული“ ვილაცას ხელით მიუწერია „ს. აბაშიძე“ საბუთად არ გამოდგება, მით უმეტეს, რომ აქვე არის მეორე პირის მინაწერიც, რომ წერილი ეკუთვნის გ. წერეთელს. ამას გარდა, ის გარემოება, რომ გ. წერეთელი თავის მამის წინააღმდეგ ამგვარად არ გაილაშქრებდაო მაშინდელ სინამდვილისათვის შეუფერებელია, რადგან მაშინ ასეთი დაპირისპირება არც იშვიათი იყო, მით უმეტეს, როდესაც წერილს ფსევ-

მეორე წერილში ახალგაზრდა თერგდალეულთა ჯგუფი პეტერბურგიდან ძველი თაობის საყურადღებოდ აცხადებს:

ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი
სამნი თერგდალეულთაგანი.
მე გახლავარ გორისელი
ერთი ამ სამ ძმათაგანი.

„ცისკრის“ რედაქცია, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვევით ძველი თაობის მხარეზე დადგა. ილიას „ცისკარში“ პეჭდვის საშუალება წაართვეს. საჭირო შეიქნა ახალი ჟურნალის გამოცემა, რომელიც მოწინავე, პროგრესული აზრების ქადაგებას დაიწყებდა. ნიადაგი ამისათვის მზად იყო. როგორც ჩანს, პეტერბურგში მოსწავლე ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა ჟურნალის გამოცემის კურსში იყო და მას ხელს უწყობდა. ახალი ჟურნალის გამოცემა განსაკუთრებით „ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს აწუხებდა, რადგან

დონიშითა ხელმოწერილი და მის შემუშავებაში, როგორც აღვნიშნეთ, პეტერბურგში მცხოვრებ თერგდალეულთა ჯგუფს უნდა აქონდეს მონაწილეობა მიღებული, იქნებ სხვებთან ერთად ს. აბაშიძესაც. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ პეტერბურგში მცხოვრებ თერგდალეულს, გ. წერეთელს ამ წილილებას დაწერაში მონაწილეობა არ მიეღოს.

კირილე ლორთქიფანიძის მოწმობით ლექსს „ფარისველში“ ძველი თაობის პროტოტიპად აკაკის თავისი მამა ჰყავდა გამოყვანილი. ცნობილია, რომ აკაკის ერთხანს როსტომი ემდუროდა კიდეც, და რა გასაკვირველია თუ გ. წერეთელი თავისი მამის ჩამორჩენალ აზრებს არ იზიარებდა.

გ. წერეთლის გარდაცვალების გამო დაწერილ სარედაქციო წერილში, რომელიც მის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლასაც ეხება აღნიშნულია: „სალიტერატურო ასპარეზზე გ. წერეთელი სტუდენტობის დროსვე გამოვიდა: 1862 წელს ერთი თერგდალეულის სახელით „ცისკარში“ დაბეჭდა პოლემიკური შინაარსის წერილი, 1863 — კი ი. კვავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, დაბეჭდა „ცისკარს რა აკაკანებს“, გთელის ფსევდონიმი“ („კვალი“, 1900 წ., № 3). ეს აზრი გაჰეორებულია წიგნში — „გ. წერეთელი“ (1900 წ.), აქვე დაბეჭდილია აკაკის სიტყვა გ. წერეთლის შესახებ.

ამ მოსაზრებას აგრეთვე მხარს უჭერს ნ. ნიკოლაძე, რომელიც ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო.

იგი მასში საშიშ მეტოქეს ხედავდა. ამიტომაც ი. კერესელიძე „ცისკარში“ დაბეჭდილი წერილების მეშვეობით ზოგჯერ ცდილობს ახალ თაობასა და მის მომავალ ჟურნალს სახელი გაუტეხოს.

ეფთვიმე წერეთლის წერილიც ძირითადად იქითაა მიმართული, რომ ახალი თაობის ავტორიტეტი ხალხში დასცეს, წარმოგვიდგინოს ისინი, როგორც ნიჰილისტები, ეროვნულის უარმყოფლები და ამით ახალი ჟურნალის დაარსებას გზა გადაუღობოს. ახალი ჟურნალის გამოცემა კი ახალი თაობის საზოგადოებრივ მოღვაწეობის სასიცოცხლო ინტერესებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც თერგდალეულები დაუნდობლად ამხელდნენ ყველა მათ, ვინც ამ ახალი ჟურნალის გამოცემას ხელს უშლიდა. ნ. ნიკოლაძე კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ წერილში წერს, რომ მას თერგდალეულის წერილის გამო განაწყენებული ეფთვიმე წერეთლისათვის ქუთაისში უთქვამს: „ჩვენ სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა, რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქს, თქვენ კი ჯერ ჟურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავთქო“. პირველი თერგდალეული თავის წერილში აღნიშნავს, რომ „ცისკარის“ რედაქციას უნდა უხაროდეს „მეორე ჟურნალის, ძმის დაბადება“, რადგან ორი ჟურნალის არსებობა ხელს შეუწყობს აზრთა ბრძოლას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რაც საწინდარი შეიქნება საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის.

მეორე თერგდალეული (გ. წერეთელი) გაცემას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეფთვიმე წერეთლის წერილში ილია ჭავჭავაძე დახასიათებულია, როგორც მავნე ადამიანი. მას თავის წერილში მოჰყავს ილია ჭავჭავაძის მიმართ ეფთვიმე წერეთლის სიტყვები: „როდესაც საზოგადოებაში სავნო რამე გაჩნდება, ყველა მას გამოუდგება მანამდის. არ განდევნიან“. ამით ეფთვიმე წერეთელი იმას აღნიშნავს, რომ იგი და მისი თანამოაზრენი იბრძვიან იმისათვის, რომ ილია ჭავჭავაძის მისწრაფებები აღკვეთონ. აკი ილიას ნაწარმოების ბეჭდვა

„ცისკარში“ აკრძალეს კადეც. მეორე თერგდალეული ილია-ასადმი ასეთი ბარბაროსული ღამოკიდებულების გამო გაოცებული შენიშნავს — „ნუთუ ილია ქვეკავაძის სიტყვებს საგნებლათ სთვლით?“

თერგდალეულები ამ გონებაშეზღუდული ადამიანების საწინააღმდეგოდ ავითარებენ ილიას მიერ ურ. „ცისკარის“ ფურცლებზე წამოყენებულ აზრს იმის შესახებ, რომ საკი-როა მოდუნებული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება. ამ მხრით მათ სანიმუშოდ მიაჩნიათ ილია ქვეკავაძისა და მოლაყბის წერილები¹.

პირველი თერგდალეული, ამ შემთხვევაში კირილე ლორთქიფანიძე, ახალი თაობის სახელით აცხადებს, რომ „ჩვენ არ გვინდა არც წამლიანი, არც უწამლო დამძალებუ-ლი რიტორიკა უფ. მესხიევისა (გიმნაზიაში თავი მოგვძაუ-ლა!)“. აქვე აღ. სულხანიშვილის მიერ „ცისკარის“ ფურც-ლებზე გამოთქმულ შეხედულებებს, რომელთა რეაქციონური აზრი ჩვენ ზემოთ ნათელვყავით, ბარბაროსულს უწოდებს, რადგან მას ის, რაც პროგრესის გამომხატველია, ქვეყნის დამღუპველად მიაჩნია. თერგდალეული მიუთითებს, რომ აღ. სულხანიშვილს არ ესმის რას ნიშნავს განათლება, პროგ-რესი და ხალხის განათლებაზე კი მსჯელობსო.

თერგდალეული უპირისპირდება ანტონ კათალიკოსის შეხედულებებს, მის წყობილსიტყვაობას: „ჩვენ, — წერს თერგ-დალეული, — ვერც არა პოეზიას ვპოულობთ წყობილ-სიტ-ყვაობაში, ვერც არა ენის ცოდნას“. მისი იამბიკოები ყო-ველგვარ პოეზიას არის მოკლებულიო. თერგდალეული ან-ტონ კათალიკოსის შემოქმედებას ადარებს ტრედიაკოვსკის ლექსებს, რომლებსაც, როგორც თვით თერგდალეული აღ-ნიშნავს, რუსეთში „ყმაწვილების დასასჯელად ხმარობდნენ“.

თერგდალეული მაღალ მხატვრულ ნაწარმოებად „გეფ-ხისტყაოსანს“ სთვლის. მასში იგი ხედავს დიდ „პოეტიკურ“

¹ თერგდალეულს მხედველობაში აქვს ურ. „ცისკარში“ გამოქვეყნ-ებული ის წერილები, რომლებშიაც მოცემულია მაშინდელი საზოგადოებ-რივი ცხოვრების კრიტიკა.

ტლანტს და ჰეუ-გამოცდილებას“. თერგდალეული ანტონ კათალიკოსის ლიტერატურული შეხედულებების შეფასებაში ეკამათება ეფთვიმე წერეთელსა და მის თანამოაზრეებს. ანტონ კათალიკოსის მხატვრული ნიჭი იმდენად დაბალი იყო, მიუთითებს თერგდალეული, რომ ვერ გაიგო „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა და სასტიკად სცდებოდა, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე აღნიშნავდა — „ამაოთათვის დაშვარაო“, ხოლო ჩახრუხადის თხზულებას კი ხოტბას ასხამდა და „ვეფხისტყაოსანზე“ მალა აყენებდაო. თუ ხალხისათვის რამდენად ხელოვნური და გაუგებარი იყო ანტონ კათალიკოსის ენა, ამისი მაგალითებიც მოჰყავს თერგდალეული. ბოლოს იგი დასკვნის, რომ ანტონის სიტყვები „კულმოკნეტილები არიან“ და არ გვანან ქართულ სიტყვებსო.

თერგდალეულის ფსევდონიმით ხელმოწერილი მესამე წერილი, პეტერბურგიდან გამოგზავნილ სხვა წერილებთან შედარებით, უფრო გვიან, „ცისკრის“ 1862 წლის მაისის ნომერში დაიბეჭდა. მისი ავტორი, როგორც ეს დღეს სავსებით გამორკვეულია, აკაკი წერეთელია. ამ იუმორისტულ ფელეტონში აკაკიმ მკაცრად დასცინა ხელოვნური, არქაული ენის მოტრფიალეებს. აკაკი სვამს კითხვას, როგორ მოიქცეს, როგორი ენით წეროს, ვის მიბაძოს? ამ კითხვებს ასეთ პასუხს აძლევს: „...ჩემით გამოვალ ქართულათ და ქართულათაც დავიწყებ ქართულის მიბაძვით, მაგრამ აქაც ერთი ჭირი; სად ზონანხო ნამდვილი ქართველი! ამ თერგს გამოლმა ძველს ქართველებს მივბაძო, რომელნიც აღარ არიან, თუ ახალს კრელაძეებს?“ აკაკი საქართველოს წარსულისადმი თუმცა სიმპათიურად იყო განწყობილი, მაგრამ თანამედროვეობამ რომ ენის საკითხში წარსულს მიბაძოს, ეს მას მიუღებლად მიაჩნია, რადგან ძველი ენა დღევანდელი ქართველებისათვის გაუგებარიაო. კრელაძეებში კი აკაკი თანამედროვე, ვითონ ნასწავლ, გადაგვარებულ ქართველებს გულისხმობს. ესენი ისე აპრელეებულან, რომ მათ ეროვნული სახე დაუკარგავთ, ქართულსა და რუსულს ერთმანეთში ურევენ, ერთსაც ამახინჯებენ და მეორესაც. ესენი ქართული, მშობლიური ენის

უარყოფელები არიან. აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი „ქართულზე ხელს იღებენ“, „რუსთაველს კი დასცინიან“. აკაკი მათ ვინაობას ასე ახასიათებს:

ეს გახლავან კრელაძენი
საქართველოს ფუჭი ძენი,
უსწავლელნი სწავლულები,
კოტრი-კრეზნეულელ ბრძენნი.

ეს გადაგვარებულები, კრელაძეები თუ როგორ ამბინჯებდნენ ქართულ ენას, ამისი დამახასიათებელი მაგალითი ამავე ფელეტონში მოჰყავს აკაკის. აი მათი ქართული — „ყოვლადვე ნუ იყოფიან!!“ და სხვ.

ბოლოს აკაკი სვამს კითხვას — „ამათ უნდა მივბაძო? (ანდუყათარივით დავიყვირებ) არა! არა! ღმერთმა დამიფაროს!“.

მაშ ვის უნდა მიბაძოს მწერალმა, ვისი ენა უნდა დაედოს მწერლობას საფუძვლად? აქვე აკაკი აღნიშნავს, „არა, ბატონებო, წარმოვსდგები თქვენს წინ! როგორც გლეხი კაცი, სულით და გულით ქართველი, დაგებჯინები წითელ ბლოს თასმიან ჯოხზედ, ხმას გავისწორებ და მოგახსენებთ“. ამის შემდეგ ფელეტონში საუბარი წარმოებს ხალხურ ენაზე. მწერალი ჰკიცხავს არქაისტებს, ანტონ კათალიკოსის მიმდევრებს, კერძოდ, ეფთვიმე წერეთელსა და პლატონ იოსელიანს. აკაკი აღნიშნავს, რომ მოლაყბეს, რომელიც, „მართალია, ლაყბობას კი ეძახის თავის სტატიებს“, მაგრამ უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ქართველი ხალხისათვის, ვიდრე არქაული ენით დაწერილი პლატონ იოსელიანისა და მისი მიმდევრების ფილოსოფიასაო. რატომ? — მოლაყბე თავის ფელეტონებში კრიტიკულად ეხება ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ვითარებას, სინამდვილეს მარტივი, ხალხური ენით გადმოგვცემს, მოლაყბე ეხმაურება მაშინდელი დროის აქტუალურ საკითხებს. ანტონ კათალიკოსისა და პლატონ იოსელიანის ნაწერები კი ისეთი არქაული ენით არის დაწერილი, რომ ხალხისათვის გაუგებარია.

აკაკი ამ წერილში ააშკარავებს ეფთვიმე წერეთლის აზრების პრიმიტიულობას. აკაკი წერს: „რა ჩემი საქმეა გორისელი წერეთლის განხილვა, ერთი გულჩვილი კაცი გახლავარ. მაგრამ ეს კი შევიტყვე, რომ ზემოურ იმერელს, წერეთელს ეფთვიმეს არ ესმის პოეზია. საღვთო სიტყვა და პოეზია იმ დალოცვილს ერთი ჰგონია. ასე რომ ერთი ალილუია ერთი პოეზია ჰგონია, ორი ალილუია — ორი პოეზია, სამი — სამი, და აკვარათ“... აკაკი ილაშქრებს საღვთო წერილის „ალილუიას“ ენის მოტრფიალეთა წინააღმდეგ. იგი დასცინის ეფთვიმე წერეთელს, საერთოდ „მამებს“, რომლებსაც „ალილუიას“ ენა, ე. ი. საეკლესიო წიგნების ენა, და პოეზიის ენა ერთი და იგივე ჰგონიათ.

აღსანიშნავია, რომ ამ ფელეტონში აკაკი „ძველ თაობას“ უპირისპირდება ხალხური, მესტვირული სტილით დაწერილი ლექსით. აკაკი წერს: „ბლიაძეს წაეკითხა მისი ცარიელი თხზულება (აკაკის მხედველობაში აქვს ეფთვიმე წერეთლის მიერ ილია ქავჭავაძის წინააღმდეგ დაწერილი წერილი — ა. გ.) და აი რა სამღერალო მუშური ლექსი მოიგონა, რომელსაც ჩვენ სოფელში სუყველა მღერის“. ფელეტონს აკაკი ურთავს ხალხურ ჰანგზე დაწერილ იუმორისტულ ლექსს. რომელშიაც მოჩანს ის პოზიცია, რომელიც „ძველმა თაობამ“ დაიჭირა ი. ქავჭავაძის მიმართ. აი ნაწილი ამ გრძელი ლექსისა:

ზემოური იმერელი
 კახელს შემოწყრაო,
 ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
 სამ დღეს ულექსა სტატია
 და ძლივს, გამოხრაო,
 ცილს არ ვწამებთ, ბატონებო,
 ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
 მერე დაჯდა და რედაქტორს
 წიგნი მისწერაო:
 აეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
 თქვენი ცისკრის გამოწერა

თუმც მომენტარაო,
პეე-პოო, პეე-პოო.
მაგრამ კახელის სტატიაშ
გულს ისარი მკრაო.

ამ ლექსის მეტრი, რიტმი, რითმა, რეფრენები, ენა ხალხურია. ცხადია, აკაკის ეს ლექსი ასეთი მარტივი, ხალხური ფორმით განზრახ არქაული სალექსო ფორმისა და ენის საპირისპიროდ აქვს შექმნილი. აღსანიშნავია, რომ მგოსანი ამ ხალხური, მარტივი ფორმით დაწერილი ლექსით დასცინის „ძველი თაობის“ წარმომადგენლებს, რომლებიც ლექსის ხალხურ ფორმას, ენას მწერლობისათვის შეუფერებლად თვლიდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტი ლექსის ავტორად განზრახ ცნობილ მესტვირე ბლიაძეს აცხადებს და ძველი თაობის დაცინვისათვის იყენებს იუმორისტულ „გლესურ ანდაზებს“.

ასეთი იყო პეტერბურგიდან თერგდალეულთა მიერ ი. ჭავჭავაძის მოწინავე აზრების დასაცავად გამოგზავნილი წერილების ძირითადი აზრი. ამ წერილებმა ძველი თაობის ჩამორჩენილი აზრების მხილებაში თავისი წვლილი შეიტანეს.

ანტონ ფურცელაძემ ძველი თაობის მიმართ თავისი პოზიცია ჯერ კიდევ სამოციან წლებში გამოხატა. იგი თავისი რადიკალური შეხედულებებით მკაცრად დაუპირისპირდა „ძველის მესობტზე“ მწერლებს. „ცისკრის“ 1862 წლის მეთორმეტე ნომერში მან გამოაქვეყნა სატირული ხასიათის სტენები „ხორო უაზრო მწერლობისა“, რომელშიაც მკაცრად დასცინა „ცისკარში“ მოკალათებულ გონებრივად ჩამორჩენილ ან, როგორც თვით უწოდებს, „უაზრო მწერლებს“.



ძველისა და ახლის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი აკაკი წერეთლის შემოქმედებისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი. იგი ამ საკითხს ხშირად ეხება.

„ცისკრის“ 1862 წლის მეექვსე ნომერში აკაკი აქვეყნებს ლექსს „ფარისეველს“, ქვესათაურით „ბოემიდგან „რუსეთუ-მე“ ლექსი დაწერალია პეტერბურგში 1862 წლის 6 იანვარს. როგორც ქვესათაურიდან ირკვევა, აკაკის ეს ლექსი თავდაპირ-ველად პოემა „რუსეთუმეში“ ჰქონია ჩართული და შემდეგ კი ცალკე გამოუქვეყნებია. აღსანიშნავია, რომ აკაკის „ჩე-პი ნაწერების“ I ტომში ეს ლექსი ქვესათაურის გარეშეა გამოქვეყნებული, ჩანს ავტორს ლექსისათვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიუნიჭებია. ლექსი თემატიკურად პოემა „რუსეთუმეს“ ნაწყვეტების რკალში ტრიალებს. აქაც ფაქ-ტიურად იმ წინააღმდეგობებზეა ლაპარაკი, რომელიც „ძველ-თაობასა“ და ეგრეთ წოდებულ თერგდალეულებს შორის არსებობდა. „ფარისეველი“ იმ დროს დაიბეჭდა, როდესაც „ცისკარში“ თაობათა შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. ლექსში გამოსახულია ფარისეველი მებატონე. იგი თავის ყმების შემბრალებს ასალებს, სინადვილეში კი:

აბა სინჯეთ — ერთხელ გარეთ
სადმე ჩუმად შეპარეთ,
მაშინ ნახავთ, რომ იმავე მუჟს
გლებჯაცს ურტყამს თავში მწარედ!

ფარისეველი მემამულე რუსეთში ნასწავლ ახალთაობას ურწმუნო ადამიანებად ნათლავს. როგორც აკაკი აღნიშნავს, იგი „მიზეზს ადებს თერგის წყალს“. რატომ სძულს ფარი-სეველს ახალი თაობა? ფარისეველს ეშინია ახალი თაობის მამხილებელი ძალის. მან კარგად იცის რომ ახალი თაობა, „თერგდალეულები“ მის ნამდვილ ზრახვებს ფარდას ახ-დიან და სააშკარაოზე გაპოიტანენ. ამიტომაც იგი ხალხზე ახალ თაობას თავისი ეროვნების მოღალატეებად, „რუსე-თუმებად“ სახავს.

ვინ არის ფარისეველში განსახიერებული? ლექსს „ფა-რისეველს“ მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. აკაკი ამ ლექსის შენიშვნაში წერს, რომ ეს ლექსი „ყველამ ეფთ-ვიმე წერეთელს მიაწერა“. ეს არც იყო მაშინ გასაკვირვე-

¹ „ცისკარი, № 6, 1862.

ლი, რადგან ილია ქავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული ეფთვიმე წერეთლის წერილი „ცისკრის“ 1862 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა და აკაკის „ფარისეველი“ „ცისკრის“ ამავე წლის მეექვსე ნომერშია დაბეჭდილი. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იმას, რომ მაშინდელმა მკითხველმა საზოგადოებამ „ფარისეველში“ თერგდალეულთა მოწინააღმდეგე ეფთვიმე წერეთელი დაინახა.

კირილე ლორთქიფანიძის ცნობით კი ამ ლექსში ძველი თაობის პროტოტიპად პოეტს თვისი მამა როსტომი ჰყავდა წარმოსახული. ესეც შესაძლებელია. მაშინ ასეთი მაგალითი სხვაც იყო; ცნობილია, რომ გიორგი წერეთელი თავისი მამის ეფთვიმეს ჩამორჩენილი შეხედულებების წინააღმდეგ მკაცრად ილაშქრებდა. ისე რომ შვილები ამ შემთხვევაში მამებს არ ინდობდნენ. თვით აკაკი წერეთელი მიუთითებს, რომ მას ამ ლექსის დაწერისას კერძო პიროვნება მხედველობაში არ ჰყოლია, რადგან ფარისეველი მაშინ საზოგადო ტიპი იყო და მეც „ფარისეველში“ ეს ზოგადი ტიპი გამოვხატეთ. ამაში პოეტს უნდა ვერწმუნოთ, ოღონდ ეს ზოგადი არ გამორიცხავს კერძოს და, სავსებით შესაძლებელია, რომ ფარისევლის ამ ზოგად სახეში ეფთვიმე წერეთელი, გინდ როსტომ წერეთელი, როგორც ძველი თაობის წარმომადგენელი, არიან განსახიერებულნი. მითუმეტეს, როდესაც აკაკი არ უარყოფს, რომ „ფარისეველში“ ძველი თაობის „საზოგადო ტიპი“ არის გამოსხატული და ხალხმაც მასში ეფთვიმე წერეთელი დაინახა. რომ ფარისეველში აკაკი ძველი თაობის წარმომადგენელს ხატავდა, ეს მტკიცდება აკაკის სხვა ნაწარმოებიდანაც. მაგალითად, ლექსში „კოლო-ბუზების პასუხი“, რომელიც გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთას“ საპასუხოდ აქვს აკაკის დაწერილი, ძველი თაობის წარმომადგენლებს ფარისევლებს უწოდებს.



„ცისკრის“ 1862 წლის მეცხრე ნომერში თერგდალეულის ფსევდონიმით კირილე ლორთქიფანიძემ დაბეჭდა წგ-

ჩილი „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ“. წერილი იწყება პუშკინის სიტყვებით: „На холмах Грузии лежит ночная мгла“. პუშკინის ამ სიტყვებით კ. ლორთქიფანიძე ახასიათებს მაშინდელ ჩამორჩენილ მდგომარეობას. კირილე ლორთქიფანიძე მიმოიხილავს „ცისკრის“ ნომრებს და მათში მოთავსებულ ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აქებს მოლაყბეს, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“, ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“, რ. ერისთავის „მთხოვნელა მსაჯულისადმი“ და ილია ჭავჭავაძის, მ. ლერმონტოვის, ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანის ნაწარმოებებს. კ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ესენი ბრწყინავდნენ ჩვენს ჟურნალში“. სამაგიეროდ მას ა. სულხანიშვილის ნაწარმოებები, რომლებშიაც საუბარია „ევროპიელების განათლებაზე“ და „ყრმათა აღზრდაზე“, „ცისკრის“ დამაბნელებელ ნაწარმოებებად მიაჩნია.

ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ თერგდალეული ერთმანეთს უპირისპირებს იდეურად მოპირისპირე ნაწარმოებებს და ხოტბას ასხამს იმ მწერლებს (დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.), რომელთა ნაწარმოებებშიაც თავადაზნაურული, ბატონყმური ცხოვრების უარყოფა ან კრიტიკა იყო მოცემული. ეს იმიტომ, რომ სწორედ ასეთი მხატვრული ნაწარმოებები ეგუებოდა „ახალი თაობის“ პროგრესულ შეხედულებებს.

წერილში აღნიშნულია, რომ ჟურნალს თავისი საკუთარი მიმართულება უნდა ჰქონდეს, მისი კარები პროგრესული აზრებისათვის ყოველთვის ღია უნდა იყოს. „ცისკრის“ რედაქცია ასე როდი იქცევა. კ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ცისკარი“ უკვე ექვსი წელია რაც არსებობს, „მაგრამ გაზრდით კი არ გაზრდილა არც ფიზიკურად და არც ზნობრივად“. ან კი რა გაზრდიდა, როდესაც მას საკუთარი მიმართულება არასოდეს არ გააჩნდაო. მის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა იდეურად სუსტი, უაზრო ნაწარმოებები და პროგრესული ხასიათის ნაწარმოებები კი იდეგნებოდაო.

ისე რომ, აღნიშნავს კ. ლორთქიფანიძე, კაცი ვერ გაარჩევს „რედაქცია მეოთხე საუკუნეში განისვენებს თუ მეცხრამეტეში მოქმედობს“.

კ. ლორთქიფანიძე ამ წერილში იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველი ინტელიგენცია ჯგუფებად დაიყო, რომ ეს ჯგუფები ერთმანეთთან მტრულად არიან განწყობილნი და ერთმანეთს ებრძვიანო. ამას გარდა, ბრძოლა წარმოებს არა მარტო ჯგუფებს შორის, არამედ ზოგჯერაც მამასა და შვილს შორისაცო. კ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ამ უთანბროებას საფუძვლად პირადი ზრახვები არ უნდა დაედვას, არამედ „ჩვენი პირადი ინტერესები უნდა დაჩუმდეს საზოგადო ინტერესის წინ“.

მაგრამ ჟურნალი „ცისკარი“, — მიუთითებს კ. ლორთქიფანიძე, — ვერ იცავს ამ საზოგადოებრივ პრინციპს და თავის ფურცლებზე „მოპირდაპირე სტატიებს“ არ ბეჭდავსო. ამიტომ საჭიროა დაარსდეს ახალი ჟურნალი, რომელსაც თავისი საკუთარი, ახალი მიმართულება ექნება და „ცისკარს“ ამ „მოპირდაპირე სტატიებისაგან“ გაანთავისუფლებსო. კ. ლორთქიფანიძე ქართველ საზოგადოებრიობას მოუწოდებს, რომ „მეორე ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ ფეხზედ დაყენებას“ ხელი შეუწყონ.

ამგვარად, კ. ლორთქიფანიძის ამ წერილში დაპირისპირებულია ორი მსოფლმხედველობა, მოწინავე და ჩამორჩენილი, ამ უკანასკნელის ბუდედ იგი ჟურ. „ცისკარს“ თვლის. ამასთან ერთად იგი აღნიშნავს, რომ ვინაიდან „ცისკარში“ მოწინავე, კრიტიკულ აზრებს ადგილი აღარ ეთმობა, ახალი, მოწინავე აზრებისათვის საჭიროა მეორე ჟურნალის, „საქართველოს მოამბის“ დაარსებაო.



სარდიონ მესხიშვილის საპასუხოდ ილიას დაუწერია წერილი და გამოსაქვეყნებლად გადაუცია „ცისკარის“ რედაქციისათვის. ამის გამო ჟურნალის რედაქტორი „ცისკარის“

1861 წლის მეათე ნომერში მკითხველთა საყურადღებოდ წერდა: „ილია ჭავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია „უფ. მესხი-ევის ანტიკრიტიკული უსტარის „პასუხად“, რომლის დაბეჭ-დვა ვერ მოვახერხეთ ამ ნუმერში, შემდეგ წიგნში უეჭვე-ლად დაიბეჭდება“, მაგრამ ილიას წერილი „ცისკრის“ ფურ-ცლებზე არ გამოქვეყნებულა. ეს წერილი ჯერხნობით და-კარგულად ითვლება. მაგრამ ილია ჭავჭავაძის მიერ „ცის-კარში“ წარდგენილი ვრცელი კრიტიკული წერალის მოკლე კონსპექტის შავი დაცულია სახელმწიფო მუზეუმის ხელნა-წერთა განყოფილებაში¹.

ამას გარდა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელ-ნაწერთა განყოფილებაში ჩვენ მივაკვლიეთ უსათაურო და ხელმოუწერელ ხელნაწერს, რომელიც გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის მიერ სარდიონ მესხიშვილის კრიტიკის გამო დაწერილი წერილის სარედაქციო შენიშვნებზე, იმგვარივე ხასიათისა, როგორც „ცისკრის“ რედაქციამ დაურ-თო ილია ჭავჭავაძის „პასუხს“. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერი-ლობის წიგნიდან ჩანს, რომ ეს ხელნაწერი დაცული ყოფილა სარდიონ მესხიშვილის ხელნაწერებში და მუზეუმისათვის გადაუცია დავით ანდრონიკაშვილს. შენიშვნების ავტორად მუზეუმის აღწერილობათა წიგნში ჩაწერილია იაკინთე მეს-ხიშვილი². ირკვევა, რომ „ცისკრის“ რედაქციას ილია ჭავჭა-

¹ ეს კონსპექტი სათაურით „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის მეოთ-ხე ტომში. გვ. 369, 1927.

² იაკინთე მესხიშვილი იყო თბილისის გენერალ-გუბერნა-ტორის კანცელარიის დირექტორი, მმა სარდიონ მესხიშვილისა, რომელმაც ილიას წინააღმდეგ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „უსტარი ანტიკრიტიკული“. იაკინთე მესხიშვილი თაობათა შორის უთანხმოებისას ძველ თაობას ემხრობოდა, იგი იცავდა ენის საკითხში „სამი შტილის თეო-რიას“ და თითონაც არქაული ენით წერდა ნაწარმოებებს. მას „ცისკარში“ დასაბეჭდად წარუდგენია არქაული ენით დაწერილი ნაწარმოები, მაგრამ იგი რედაქციას არ დაუბეჭდავს. სამაგიეროდ ლ. არდაზიანს მოლაკმის ფსევდო-ნიმით ამ ნაწარმოებზე „ცისკარში“ პაროდია გამოუქვეყნებია (იხილე, ა. გა-ჩეჩილაძე. „ნარკვევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის

ვადის კრიტიკული წერილი: „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ მოუმზადებია დასაბეჭდად, თან ამ წერილისათვის დაურთავს ის ვრცელი სარედაქციო შენიშვნები, რომელიც ამჟამად მუზეუმშია დაცული და რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. როგორც ჩანს, რედაქტორი სარედაქციო შენიშვნებს თვითონ არ წერდა. მისი შედგენა მას დაუვალეზია არქანისტ იაკინთე მესხიშვილისათვის. არაა სწორი თითქოს რედაქციამ არ დაბეჭდა სარდიონ მესხიშვილისადმი ილიას პასუხი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ რედაქცია ამ სარედაქციო შენიშვნებსაც გამოსაქვეყნებლად არ მოამზადებდა და ჟურნალში იმასაც არ აღნიშნავდა, რომ შემდეგ ნომერში ილია ქაჯქავაძის საპასუხო სტატიას „უქველად დაბეჭდავთო“. ცხადია, ცენზურამ რედაქციას არ მისცა საშუალება ეს წერილი გამოექვეყნებინა. მართალია, შენიშვნები დაწერილია იაკინთე მესხიშვილის მიერ, მაგრამ ვინაიდან იგი დასაბეჭდად რედაქციას მოუმზადებია, ამიტომ ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც ი. ქაჯქავაძის წერილის „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ სარედაქციო შენიშვნებს.

ეს სარედაქციო შენიშვნები საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ, თუ რა ხასიათისა იყო ი. ქაჯქავაძის ის წერილი, რომელიც სარდიონ მესხიშვილის წერილის „უსტარი ანტიკრიტიკულის“ გამო ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყო და რომლის კონსპექტმაც ჩვენამდე მოაღწია. სარედაქციო შენიშვნები აგრეთვე საშუალებას გვაძლევს გავიგოთ,

ისტორიიდან“ (გვ. 218) სათაურით „ბოლო მოუღებელი კომედია, სიქსტი მეხუთე“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია იაკინთე მესხიშვილის მიერ რუსულიდან ქართულად არქაული ერთ ნათარგმნი ნაწარმოებები: „სასიამოვნო მოთხრობა, მიმოსვლისათვის ქერუოსისა და კალღირიოსის“.

იაკინთე მესხიშვილს ახლო მეგობრობა ჰქონდა გრიგოლ ორბელიანთან. გაზეთ „დროების“ 1883 წლის № 176 გამოქვეყნებულია იაკინთე მესხიშვილისადმი მიწერილი გრ. ორბელიანის ორი წერილი, რომელიც აგრეთვე ეხება ქართული ენის საკითხებს. ამ წერილებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ გრ. ორბელიანის ენობრივი შეხედულებების შესწავლისათვის.

ილია ჭავჭავაძის წერილის მიმართ რედაქციამ როგორი პოზიცია დაიჭირა. ყოველივე ეს კი დაგვესმარება ბრძოლის განვითარება უფრო თანმიმდევრულად გავაშუქოთ.

თავდაპირველად გავეცნოთ ილია ჭავჭავაძის პასუხს — „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“, იმ მასალათა საფუძველზე, რომელიც აშკამად ჩვენ ხელთ არის. ამ წერილში ილია სარდიონ მესხიშვილის მიერ უცილობელ ჭეშმარიტებად აღიარებულ თეორიას, რომ წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი, უარყოფს, როგორც უსაფუძვლო შეხედულებას. ილია ამის გამო წერს: „სრულიად არ ვიცოთქვენა მზემ, შემიტყვია კი, რომ ძველს რიტორიკებში ბაგრიგად ჰყოფდნენ ენასა, რომელიცა ერთი უნდა იყოს ლიტერატურაში და არა სამგვარი. გონიერი და ჭკვის მისაღება საფუძველი მიჩვენეთ, რომ დავიჭერო ეგრეთი განყოფა მისი, რაც ბუნებით განუყოფელია“.

აქვე ილია აღნიშნავს, რომ ენის ასეთი დაყოფა დაფუძნებულია შეხედულებაზე, თითქოს „ქვეყნად არსებობენ სამგვარნი საგანნი: მაღალი, საშუალო და მდაბალი, რომელთა გამოსახატავად უნდა იყოს კიდევცო სამგვარი ენაო; მაღალ საგნისათვის — მაღალი, საშუალო საგნისათვის — საშუალო და მდაბალისათვის — მდაბალი“. მაგრამ ქვეყანაზე, აღნიშნავს ილია, არავითარი სამგვარი საგანი არ არსებობს, „ყოველი საგანი მაღალია თავის კვალობაზე“, ძველი თაობა ენას ხელოვნურად ანაწილებს, ყოფს მას რანგებად. ამისი საფუძველი საზოგადოებაში სრულიად არ არსებობს, რადგან შეუძლებელია მისი დანაწილება, რაც ბუნებით განუყოფელია — აღნიშნავს ილია.

აქვე ილია მიუთითებს, რომ „ყოველი საგანი ღირსია ერთნაირად გამოთქმისა“, ამიტომაც მწერლობის ენაც ერთიანი და განუყოფელი უნდა იყოს, მას საფუძვლად ერთიანი ხალხური ენა უნდა დაედოს.

„სამი შტილის“ თეორიას ილია ჭავჭავაძე წარსული დროის გადმონაშთად თვლიდა. სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს თეორია წარსულში „რკინის სალტესავით ავიწროებ-

და კაცის მეტყველებას“. რა საჭიროა, რომ ლიტერატურული ნაწარმოები ხალხისათვის გაუგებარი „საღვთო წიგნების“, „მაღალი შტილის“ ენით იწერებოდეს, ეს იყო წარსულის შეცდომა და იგი თანამედროვეობამ აღარ უნდა გაიმეოროს.

საერთოდ, ილია მკაცრი მოწინააღმდეგეა ეროვნული ენის რანგებად დანაწილებისა. აქედან გამომდინარე იგი ილაშქრებს არა მარტო „სამი შტილის“ თეორიის წინააღმდეგ, არამედ სარდიონ მესხიშვილის მიერ ქართული სიტყვების მაღალ და დაბალ სიტყვებად დაყოფის წინააღმდეგაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარდიონ მესხიშვილმა ილია ჭავჭავაძეს უსაყვედურა, რომ მან „მაღალ სიტყვას ნაცვალსახელ „იგი-ს“ შეუფარდა „მდაბიო სიტყვა“ „როცა“, რომელსაც გლეხები ხმარობენო. ილია ამის საწინააღმდეგოდ დაცინვით შენიშნავს: „სადაც „იგია“, იქ რატომ „როცა“ არ ითქმის, „ოდეს“ მაგიერად, როცა ეს ორი სიტყვა ერთს მნიშვნელობისაა. განა ენაშიაც არის ღენერლობა და სალდათობა?“.

ამ წერილშიაც ილია ჭავჭავაძე ასაბუთებს, რომ ასოები **ჭ, ზ, ჟ, ქ, ჯ** ქართული ენისათვის საჭიროებას არ წარმოადგენენო. სარდიონ მესხიშვილის შეხედულებაზე, რომ თითქოს ამ ასოების გარეშე შეუძლებელია ზოგიერთი სიტყვის (ხელი — ქელი და სხვ.) მნიშვნელობის სწორი გაგება, ილია უპასუხებს: „...განა ასო აძლევს აზრსა სიტყვასა? თუ ეგრე არის, მაშ „დაარიგე“ (ქალაღის დარიგება) და „დაარიგე“ (დარიგების მიცემა) სხვადასხვა „დ“-ებით უნდა დაიწეროს. „ააგე“ (ააშენე) და „ააგე“ (ვთქვათ, მწვადი ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს. „გავეცი“ (მითამ სხვას მივეო) და „გავეცი (ხმა ამოვიღეო) სხვადასხვა ასოებით უნდა იწეროს. ესე რომ მივყვეთ, ათასს სხვა მაგალითს გიჩვენებთ, მაშასადამე, თქვენის თეორიით ათასი სხვადასხვა ასო უნდა შემოვიტანოთ, და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლობელნი იქნებიან“.

ამ წერილშიაც ილია ჭავჭავაძე ქართული სალიტერატურო ენის გახალხურებისა და გამარტივების პრინციპს იცავს.

„ძველი თაობის“ ენას, როგორც ეს სარედაქციო შენიშვნებშიდანაც ირკვევა, ილია „მკვდარ-მეტყველებას“ უწოდებდა.

ილია აქაც იმეორებს სანტიმენტალური მიმართულების შესახებ თავის მოსაზრებას, რომ ამ სკოლის მწერლები „მეტად სკიმავდნენ გრძნობას და ძალად ტიროდნენ“, რის გამო ისინი ცხოვრების სინამდვილეს დაშორებული იყვნენო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიას ამ საპასუხო წერილის დედანი დაკარგულია. ჩვენ განვიხილეთ ამ დაკარგული წერილის შავი, რომელიც ილიას მიერ „ცისკარში“ წარდგენილი წერილის მხოლოდ ნაწილს შეიცავს. ჩვენ მიერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მიკვლეული სარედაქციო შენიშვნები გვიჩვენებს, რომ ილიას წერილში საუბარი ყოფილა მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაზედაც.

სარედაქციო შენიშვნების ავტორს მეექვსე მუხლში მოჰყავს ილიას აღნიშნული წერილიდან შემდეგი ციტატი: „გარეგანი მხარე საგანში მხოლოდ საცმელია მისი, რასაც კაცის ჰკვა და საჭიროება მოითხოვს, გარეგნობის განხილვა, განვიმეორებ, თვალის და ბავშვის საქმეა“. შენიშვნების ავტორი ამავე დროს ეკამათება ილიას იმის გამო, რომ იგი „საგნისათვის საზოგადოდ უფრო შინაგან მხარესა ჰრაცხს, ვიდრე გარეგანს და მხოლოდ იმას მიაწერს სარგებლობას“ და სხვ.

როგორც აქედან ჩანს, ილია თავის წერილში ასაბუთებდა ნაწარმოების ფორმასთან შედარებით შინაარსის უპირატესობას. იგი წერდა, რომ საგნის გარეგანი მხარე სხვა არაფერია, თუ არა ფორმა იმისა, „რასაც კაცის ჰკვა და საჭიროება მოითხოვს“. ამით ილია ასაბუთებდა ხელოვნების უტილიტარულ გაგებას, რომელიც მესამოცე წლებში რუსთა რევოლუციონერმა დემოკრატებმა განავითარეს რუსეთში.

ილია ჭავჭავაძის ამ მესამე წერილისათვის „ცისკარის“ რედაქციას მოუშუადებია 73 სარედაქციო ხასიათის შენიშვნა, რომლებშიაც მკაცრად არის გაკრიტიკებული ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები. უნდა შევნიშნოთ, რომ ხელნაწერს მიახ-

ლოებით აკლია 22 შენიშვნა. სხვა შენიშვნები ხელნაწერში უკლებლივ დაცულია. ზოგიერთი შენიშვნა ერთი თუ ორი სტრიქონისაგან შედგება, ზოგიც ვრცელია. ზოგჯერ შენიშვნა ილიას მიმართ მხოლოდ ლანძღვას შეიცავს. მაგალითად, პირველი შენიშვნა ასეთი ხასიათისაა: „საოცარი თავისმოყვარე მწერალი გამოგვიჩნდა? თავადის ქავჭავაძის თხზულებათა წინასიტყვაობა ყოველთვის ბაქიბუქობით იწყება და ფუჟადვე სრულდება...“. ჩვენ ასეთ შენიშვნებს ქვემოთ არ შევევხებით, რადგან ისინი საყურადღებოს არაფერს შეიცავენ და მხოლოდ თავიანთი უხეშობით არიან აღსანიშნავნი.

რედაქცია ამ შენიშვნებით ისევ ძველი თაობის მსოფლმხედველობას იცავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია სარდიონ მესხიშვილის საპასუხოდ წერდა, რომ ქვეყანაზე არ არსებობს მაღალი, საშუალო და დაბალი ენა, ისე როგორც არ არსებობს მაღალი, დაბალი და საშუალო საგნები. „ყოველი“ საგანი მაღალია თავის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა. მაშასადამე ყოველი საგანი ღირსია ერთნაირად გამოთქმისაო“. ილია ქავჭავაძე ამ წერილში ავითარებს საგანთა თანასწორობის იდეას, რომელიც მას სპინოზას მატერიალური ფილოსოფიის ზეგავლენით უნდა ჰქონდეს შემუშავებული. ამ ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ნიადაგზე ილია ასაბუთებს „სამი შტოლის თეორიის“ უსაფუძვლობას. ასაბუთებს რა საგანთა თანასწორობის პრინციპს, აღნიშნავს, რომ თუ ქვეყანაზე საგნები თანასწორნი არიან, მაშინ „ყოველი საგანი ღირსია ერთნაირად გამოთქმისა“.

რედაქცია იცავს საგნების მაღალ და მდაბალ ნაწილებად დაყოფას და რომ ყველა საგანი ერთგვარი ენით შეიძლება გამოიხატოს, რადგან მაღალი საგნისათვის მაღალი სტილია საჭირო და მდაბალისათვის მდაბალი სტილიო. 54-ე მუხლში რედაქცია შენიშნავს: „ამ ხარისხამდინ არ ვიცოდით თქვენი უმეცრება გირჩევთ წაიკითხოთ სარიტორო და საფილოსოფოსო წიგნები და ჩვენი საღმრთო წერილი, მაღალის ენის საცნობად, საშუალო ენისათვის წაიკითხეთ ყა-

რამანიანი, ამირანიანი¹, ვისრამიანი და სხვები და უმდარეს-
სის ენისათვის საჭეთ თქვენი თხზულების გამო“. როგორც
ამ ამონაწერიდან ჩანს, ძველი თაობა ქართულ მწერლობას
უყენებს „სამი შტილის“ თეორიას; სასულიერო ხასიათის
ნაწარმოებებს რედაქცია თვლის „მდლალი შტილით“ დაწე-
რილ ნაწარმოებებად, საერო ხასიათის ნაწარმოებებს, რო-
გორც არის ყარამანიანი, ამირანიანი და ვისრამიანი „სა-
შუალო შტილის“ ნაწარმოებებად. ხოლო ახალი თაობის მიერ
შექმნილს, კერძოდ ილია ჭავჭავაძისას, მდლალი ენით დაწე-
რულ ნაწარმოებებად აღიარებს. თანაც ილიას მიერ ხალხური
ენით დაწერილ ლექსებს დაცივით უმდარესს უწოდებს.

როგორც ამ სარედაქციო შენიშვნებიდან ირკვევა, ილი-
ას თავის წერილში აღნიშნული ჰქონია, რომ „გარეგანი თვი-
სებანი საგნისა არის გამომჩვენებლობა თვით შინაგანთა იმის
თვისებათა და შეკავშირებულნი არიან ურთიერთთან“. იმის
საილუსტრაციოდ, რომ ხელოვნების ნაწარმოები ადამიანს
მაშინაც გვრას ესთეტიკურ სიამოვნებას და ხასიათდება
ფორმისა და შინაარსის მთლიანობით, როდესაც იგი ცხოვ-
რების უარყოფით, მახინჯ მხარეებს ასახავს. ილიას მოტანი-
ლი ჰქონია მახინჯის მხატვრული სურათის მაგალითი. ამით
ილია ჭავჭავაძე თეორიულად ასაბუთებდა კრიტიკული რეა-
ლიზმის შემოქმედებით პრინციპებს, რომ მხატვრული ლი-
ტერატურის საგანი სავესებით შეიძლება იყოს ცხოვრების
მახინჯი მხარეების გამოხატვა, მესამოცე წლებში ი. ჭავჭა-
ვაძემ თავისი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ საგნად ცხოვ-
რების უარყოფითი მხარეების ასახვა დაისახა მიზნად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე თავის სა-
პასუხო წერილში ახასიათებდა ბუნებაში არსებული საგნე-
ბის თანასწორობას და აქედან გამოჰყავდა თავისი შეხედუ-
ლება, რომ „ყოველი საგანი ღირსია ერთნაირად გამოთქმის“
რომ სტილი უნდა იყოს შესატყვისი საგნისა.

¹ მხედველობაშია მ. ხონელი „ამირ. ნ.-დარეჯანიანი“.

ამ გზით ილია ჭავჭავაძე „სამი შტილის თეორიის“ უსაფუძვლოებას ასაბუთებდა და ერთიანი ენის პრინციპებს იცავდა. ამის გამო სარედაქციო შენიშვნების მეხუთე მუხლში ილიას წინააღმდეგ ვკითხულობთ: „მაგ სახედ ესმოდათ საგანი წარღვნის წინ პატრიარხებს. სპირიტუალიზმი დიდი ხანია გაქრა და გაჰყვა დეკარტისა და ლეიბნიცის სულს. ახლა მატერიალიზმობას მისდევენ, ესე იგი თვალსაჩინო საქმეს. ბუნებაში მხოლოდ ორგვარი საგანნი არიან, რომელნიცა შეადგენენ ორს სამეფოს, სამეფოს ორღანობითსა და უორღანოსა და არა სულიერსა და უსულოსა...“

ილიას მიერ საგნების შესახებ გამოთქმულ შეხედულებას რედაქცია რატომღაც უკავშირებს სპირიტუალიზმს, რომელიც სრულებით არ შეეფერება ილიას მსოფლმხედველობას. ამ შემთხვევაში რედაქციას, შესაძლებელია, მხედველობაში ჰქონდა ილიას სიტყვები: „ყოველი საგანი მალაღია თაყის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა“. ცხადია, აქ „დიდი სული“ სპირიტუალისტური გაგებით არ არის ნახმარი, ილია ამით აღნიშნავს, რომ ყოველი საგანი, მოვლენა, არის კერძო სახე ერთი დიდი არსისა. ამ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე უახლოვდება სპინოზას მატერიალისტურ მსოფლმხედველობას.

რაც შეეხება რედაქციის მსჯელობას მატერიალიზმისა და ბუნებაში არსებული საგნების ორგანიულად და არაორგანიულად დაყოფას, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ამ შემთხვევაში ეწვლგარული ბუნებისმეტყველური მატერიალიზმის ნიადაგზეა შემუშავებული და თანაც მეტად პრიმიტიულად.

რედაქცია ამ შემთხვევაშიაც ილაშქრებს ხალხური სიტყვიერების, გამოთქმების წინააღმდეგ. შენიშვნების მეცხრე მუხლში იგი, ესაოჩნება რა სარდიონ მესხიშვილის შეხედულებას, აღნიშნავს, რომ „სადაც „იგი“ ბრძანდება, იქ სწორედ ადგილი არა აქვს გლეხუკას „როცას“, რომლისაც ამხანაგი არის ის“.

რედაქციას არ მოსწონს, როდესაც ილია ჭავჭავაძე, მა-

თი აზრით, მაღალი სტილის სიტყვას — „იგის“ უფარდებს მდაბიო სიტყვას „როცას“. აღსანიშნავია, რომ რედაქცია სიტყვას — „როცა“ დაცინვით უწოდებს „გლებუქას“, ე. ი. გლებურ, ხალხურ გამოთქმას და თვით ილია ჭავჭავაძეს კი უწოდებს „მდაბიურად მოლაპარაკეს“.

რედაქცია მიმართავს ილიას: „თქვენი მოწყალებითა ქართველები უნდა ვიმედულობდეთ, რომ ჩვენ უფრო ახალი და სრული ლექსიკონი შეგვიდგება მოკლეს დროში უცხო ქვეყნიერების სიტყვებისა და მამა-პაპეული განისვენებს“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შემთხვევაში რედაქცია ცოტა სხვაგვარ ფორმებში იშვორებს იმას, რაც ბარბარე ჯორჯაძემ და სარდიონ მესხიშვილმა ამ საკითხის გამო ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ აღნიშნეს. რედაქციამ, ისე როგორც ბ. ჯორჯაძემ და ს. მესხიშვილმა, ვერ გაიგო, რომ საყოველთაოდ მიღებული ინტერნაციონალური სიტყვების შემოტანა და დამკვიდრება თვით ქართული ენის განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

რედაქცია არ ეთანხმება ილია ჭავჭავაძეს სანტიმენტ-ალიზმის შეფასებაში და აღნიშნავს, რომ სანტიმენტალური მიმართულების მწერლებს არ ახასიათებს ქარბი მგრძობელობა და სანტიმენტალიზმისათვის არ არის დამახასიათებელი „ძალად გრძნობა და ტირილი“, როგორც ეს ილია ჭავჭავაძეს ჰგონიაო.

აღსანიშნავია, რომ რედაქცია თავის შენიშვნებში არაადროს არ ეყრდნობა ხალხს, ხალხის შეხედულებებს, პირიქით იგი ზოგჯერ დასცინის ხალხურ ენას და მას უპირისპირებს მწიგნობრულ, არქაულ ენას.



ლ. არდაზიანი მონაწილე იყო იმ ბრძოლისა, რომელიც სამოციან წლებში თაობათა შორის წარმოებდა.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ჩვენ მივაკვლიეთ ლავრენტი არდაზიანის მიერ 1862 წლის მაისში დაწერილ წერილს „ახალნი მნათობნი“, რომელიც ძველსა და

ახალ თაობას შორის გამართული პოლემიკის გამო არის დაწერილი. ეს წერილი ავტორს მოუშადა „ცისკარში“ დასაბეჭდად, მაგრამ რატომღაც არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად იმისა, რომ წერილი ავტორის მიერ საბოლოოდ არ არის დამუშავებული. მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პოზიციის გასარკვევად, რომელიც ლ. არდაზიანმა, როგორც „ცისკრის“ უახლოესმა თანამშრომელმა, დაიჭირა ახალი თაობის მიმართ.

ლ. არდაზიანი შეფასებას აძლევს „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ეფთვიმე წერეთლის წერილს და ძირითადად ეხება ჩახრუხაძისა და რუსთაველის შემოქმედების შეფასების საკითხს.

ეფთვიმე წერეთლის წერილის შესახებ ლ. არდაზიანი წერს: „წინააღმდეგ თ. ილია ჭავჭავაძისა, ვინმე ზემოურა იმერელი გორისელი წერეთელი ეფთვიმე (გიაბოსთ მკითხველო, ესეც ახალ მნათობთაგანია) გამოესარჩლა არა თუ ჩახრუხაძესა, სხვათაც მრავალთა და შეაზავა ასეთი ფაშარი და მძალე დომხალი, რომ იმისის ჭამით ყელი ამოგვეხანძლა“. ცხადია, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ავტორს“ ვერ დააკმაყოფილებდა ეფთვიმე წერეთლის ჩამორჩენილი შეხედულებები და იგი ამიტომაც მის წერილს სამართლიანად „მძალე დომხალს“ უწოდებს.

ლ. არდაზიანი თუმცა ეკამთება ილია ჭავჭავაძეს ჩახრუხაძის შემოქმედების გაგებაში, მაგრამ ძირითადად მათი შეხედულებები თითქმის ერთგვარია. ლ. არდაზიანიც იმასვე აღნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოსათვის ჩახრუხაძე არ არის დიდი მგოსანი და მისი შედარება ამ მხრით ისეთ დიდ პოეტებთან, როგორიც რუსთაველია, უსაფუძვლოაო. აქვე ლ. არდაზიანი არ ეთანხმება ილია ჭავჭავაძეს და აღნიშნავს, რომ ასეთია ჩახრუხაძე-ჩვენს დროში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩახრუხაძე ასეთსავე შეფასებას იმსახურებდა თავის ეპოქაში, მეთორმეტე საუკუნისათვის იგი სახელოვანი მწერალი იყო. ამიტომ საჭიროა, — აღნიშნავს ლ. არდაზიანი, — მწერლის შემოქმედებას ისტორი-

ული თვასაზრისით მივუდგეთ. ამავე დროს იგი მოითხოვს, მწერლის შემოქმედების საზომად ხალხის, საზოგადოების თვალსაზრისი უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ხალხი მხოლოდ ქეშმარიტ პოეტს სცემს პატივს და მის ხსოვნას ინახავს. აქ უეჭველად მოჩანს ილია ჭავჭავაძის გავლენა ლ. არდაზიანზე. ილიაც ხომ ქეშმარიტების საზომად ხალხს ასახელებდა.

ლ. არდაზიანი ამ შეხედულებათა საფუძველზე ერთმანეთს აღარებს რუსთაველსა და ჩახრუხაძეს. იგი რუსთაველის შესახებ წერს: რაც სასმენელი გამესსნა, მას აქეთ ყოველ დღე და საათს, შინ და გარეთ, ქუჩაში, ბაზარში, გზაში, სოფლებში ქალაქებში, ბარათ თუ მთაში მესმოდა და მესმის ქება რუსთაველისა დიდისაგან და პატარისაგან, ქალისაგანა და ვაჟისაგან, მოხუცისაგან და ახალგაზრდისაგან, სონისაგან და ქართველისაგან. ყველამ იცოდა და იცის ზეპირ უკვდავი პოემა უკვდავის რუსთაველისა. იმისი ტკბილი და მშვენიერი მაღალი ფილოსოფიით სავსე ლექსები იხმარებოდა ანდაზათ, მაგალითად სიმღერაში, შესაქცევად. ყველას უყვარს, ყველა პატივისცემით მოიხსენიებს რუსთაველსა; ყველა ქართველს აქვს აგებული თავის გულში საზოგადოარი რუსთაველისა, თითქმის თანასწორათ დავით აღმაშენებელს და თამარ მეფესი. აი თუ ქართველებმა არ იციან ღირსეულად დაფასება ნამდვილის ტალანტისა!“

ასეთია ხალხის თვალსაზრისი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. ამის შემდეგ ლ. არდაზიანი ეხება ჩახრუხაძის შემოქმედებას და აღნიშნავს: „ჩახრუხაძეზედ რაღა გამიგონია? — არაფრისთანა არაფერი, არც ქება, არც ძაგება. ჩახრუხაძის სახელი ჯერაც არ მეცოდინებოდა თუ პლატონ იოსელიანსა არ დაებეჭდა იმისი თამარის ქება... სად არის ხმა საზოგადოებისა ჩახრუხაძეზე?“ იმ პირთა მისამართით კი ვინც ჩახრუხაძის შემოქმედებას თანამედროვეობაში ხოტბას ასახამს, ლ. არდაზიანი აღნიშნავს: „და თუ ერთი და ორი უკან ჩამორჩენილან, შემეცდარან ლიტერატურის ტყეში და სწორ გზაზე ვეღარ გამოსულან, ეს კიდევ არა

ნიშნავს, რომ მთელს საზოგადოებას ახსოვდეს ჩაბრუნაძე-
ერთი და ორი ბეცი საქმეში არ შეადგენენ საზოგადოებას“
ხალხი, აღნიშნავს არდაზიანი, კარგად ასწავებს ჩაბრუნაძე-
სა და რუსთაველს და მხოლოდ ამ უკანასკნელს თვლის დიდ
პოეტად.

ამავე წერილში ლ. არდაზიანი კონკრეტულად აღნიშ-
ნავს ჩაბრუნაძის შემოქმედების ზოგიერთ დადებითსა და სუსტ
მხარეს. ქართული მწერლობის წინაშე მის ისტორიულ დამ-
სახურებად ლ. არდაზიანს მიაჩნია ის, რომ მან ქართულ ლექ-
სთწყობაში შემოიტანა სრულიად ახალი ფორმა ლექსისა —
ჩაბრუნაული. მაგრამ იქასაც აღნიშნავს, რომ ჩაბრუნაძის
შემოქმედების ენა ბუნდოვანია, მას „ჰყვარებია ძნელის
სიტყვებით გამოთქმა აზრისა“. სწორედ ამის გამო ჩაბრუნა-
ძის შემოქმედება გაუგებარი შეიქნა ხალხისათვის, იგი დაივი-
წყა ხალხმა და მას ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნე-
ლობა გააჩნიაო. „მთელი ხალხის განჩინება — წერს ლ. არ-
დაზიანი — შეუცთოველი და შეურყვველია“.

აქვე ანტონ კათალიკოსის სამწერლო ენას ლ. არდაზიანი
იმავე დახასიათებას აძლევს, რაც მან ჩაბრუნაძეს მისცა.
ლ. არდაზიანი შენიშნავს, რომ ენის საკითხში ანტონ კათა-
ლიკოსი „იმავე სენით არის დაავადებული“, როგორც
ჩაბრუნაძეო. ლ. არდაზიანის აზრით ანტონ კათალიკოსი
„ასირებულად აქებს ჩაბრუნაძეს“. იგი ქების ღირსი ამჟამად
არ არის, რადგან თანამედროვე საზოგადოებისათვის ჩაბ-
რუნაძე მკვდარი პოეტიაო.

ასეთია მოკლედ ამ ხელნაწერის ძირითადი აზრი. რო-
გორც აქედან ჩანს, ლ. არდაზიანი არ ეთანხმება ილია ჭავჭავა-
ძეს იმაში, რომ თითქოს თანამედროვე საზოგადოებაში „ჩაბ-
რუნაძეს დიდი პოეტის სახელი ჰქონდეს დავარდნილი“. ამანვე
წერილში იგი აკრიტიკებს ანტონ კათალიკოსის და ეფთვიძე
წერეთლის შეხედულებებს და ჩაბრუნაძის შემოქმედების შე-
ფასებაში არც მათ ეთანხმება. ისე რომ ლ. არდაზიანი თავი-
სი შეხედულებებით ახალი თაობის მხარეზე დგას.

ლ. არდაზიანმა უფრ. „ცისკრის“ 1862 წლის შექვესე ნო-

შერში გამოაქვეყნა დრამატული სცენები — „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“. მასში, როგორც ეს დამახასიათებელია დრამატული ხასიათის ნაწარმოებისათვის, დიალოგის ფორმაში გადმოცემულია რეალისტური, საცოცხლით აღსაქსე სურათები მაშინდელი თბილისის ცხოვრებიდან.

ძველსა და ახალ თაობას შორის უთანხმოებისას ლ. არდაზიანის ადგილის გარკვევისათვის ამ ნაწარმოებს, აგრეთვე ამ წერილებს, რომლებიც ამ ნაწარმოების დაბეჭდვამ გამოიწვია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ჩვენც მათ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ.

მწერალი მოგზაურობს მაშინდელი თბილისის ქუჩებში და ამ მოგზაურობის დროს ნახულს გადმოგვცემს დრამატულ ნაწარმოებში — „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“. ნაწარმოები ლ. არდაზიანის მიერ ისეა აგებული, რომ ყველა სურათში (სცენაში) თბილისის მაშინდელ მოქალაქეთა უარყოფითი მხარეების გამკიცხავის როლში გამოყვანილია დაბალი სოციალური ფენის, გლეხობის წარმომადგენელი და იგი სცენებში იწოდება „ქალაქის ბიჭად“.

ნაწარმოები იწყება შესაყლით. მწერალი აღნიშნავს რა პერიოდული პრესის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ნაწარმოების შესავალში მწუხარებით წერს, რომ თბილისში ქართული გაზეთი არ გამოდის. ავტორი ამაში ბრალს სდებს მაშინდელი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც „უბრალო ნივთისათვის და ლოტოსათვის“ ფულს ფლანგავს, ხოლო ჟურნალს კი არ იწერს. ლ. არდაზიანი სიხარულით აღნიშნავს, რომ საქართველოში მალე ორი ჟურნალი იქნება: „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“. ნაწარმოების მოქმედი პირის მეშვეობით მწერალი ასე მოუწოდებს მაშინდელ ქართველ საზოგადოებას: „უფ. ი. ჭავჭავაძე და ი. კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ — ვნახავთ რამდენი ხელის მომწერი ეყოლებათ! ორივე უნდა შევიმადგროთ, თორემ თუ ერთი იმათგანი დაეცა, — დაეცემა უთუოდ ჩვენის მიზეზით, მაშინ ქართული ლიტერატურა წარმატებას ვეღარ ვპოვებს“.

მწერალი წინასწარვე გვაფრთხილებს, რომ „თბილისის

ტროტუარზე ნახავთ ჰეკიან, დარბაისელ ხალხს, კარგად გან-
ვითარებულსა. ამათგან მრავალ ნამდვილ ახალ ამბავს შეიტ-
ყობთ, მრავალს რასმე ისწავლით“. მაგრამ აქვე არიან „ცრუ-
მეცნიერები, გამოუსვლელნი და იმათი ტაკიმასხარები; ეს
ხალხი სტკეპნის და სცვითავს ტროტუარსა, ყურებს გაგი-
ჰედს ყოველგვარი სიცრუითა, მკვეხარობითა, განკიცხვითა,
სხვაზედ დაცინვითა, თუმცა თვითონ არიან სასაცილონი და
ინას ვერა ხედავენ“.

ნაწარმოები შეიცავს ცხრა სცენას. ჩვენ ამ სცენებადან
მხოლოდ ზოგიერთზე შევჩერდებით, რომელთაც თაობა-
უთანხმობების შესწავლისათვის მნიშვნელობა აქვთ. ამ მხრით,
განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ნაწარმოების მესამე სუ-
რათზე, რომელმაც მაშინ დავა გამოიწვია.

მეორე და მესამე სურათში ლ. არდაზიანი იძლევა „ცრუ
განათლებულების“ პორტრეტებს. მესამე სურათში ურცხვა-
ძის სახით მწერალი წარმოგვიდგენს უსაქმურს, ცრუსა და
ურცხვ ადამიანს, რომელიც თვით უვაცია და სხვებს დასცი-
ნის, როგორც გაუნათლებელს. ურცხვაძე თავხედურად მსჯე-
ლობს, იგი ვითომ ამასხარაებს რუსეთში ნასწავლ ახალ
თაობას — „წვეროსნებს“, თითქოს ისინი სწავლის ნაცვლად
„რუსეთში წვერს გამოუშვებენ“ და უცოდინარნი ბრუნდე-
ბიან საქართველოში.

ურცხვაძე თბილისში უსაქმოდ დაეხეტება და ყველას
არწმუნებს თავის მეცნიერებაში, რომ მას ევროპის გამოჩე-
ნილ მეცნიერებთან ვითომ დიდი მიწერ-მოწერა აქვს. ჩა-
მორჩენილი ადამიანები რომ მოატყუოს, უცხოური გვარე-
ბის კორიანტელს აყენებს: „გოტლიბ შტერნი — ფრანკ-
ფურტიდან, იოდან კლეინ ფიხტე — ბერლინიდან, მარტან
შაბლაუზენი — ლეიფცილიდან“, აი, თურმე ვისთან აქვს მას
მიწერ-მოწერა გამართული.

ლ. არდაზიანი ურცხვაძეს დასცინის, მას უპირისპირებს
გონიერ პიროვნებას დარბაისლოვს, რომელიც ამხელს მას,
როგორც ცრუსა და ახალგაზრდობის მოძულეს. დარბაისლო-

ვი ახალი თაობის მხარეზეა და ახალგაზრდობის მისამართით ურცხვადის დამცინავ სიტყვებს ასე უპასუხებს: „მე და შენ ძველი ცნებებისანი ვართ, რუტინისტები, ყმაწვილკაცები ახლანდელის დროის ცნებებისანი არიან. კიდეც გეტყვი, წვერი მოდაა და, არა მგონია, იმათ სწავლა იმოდენი არ მიეღოთ, რამდენიც ნიქი აქვთ, ამას კი გეტყვი, რომ ჩვენზე ნაკლები სწავლა მათ არ ექნებათ“.

„ქალაქელი ბიჭი“, რომელიც ნაწარმოებში ავტორის აზრს გამოხატავს, ამხელს და დასცინის ურცხვადის უვიცობას. თავისმხრით ურცხვადე, როგორც მოძულე მშრომელი გლეხობისა, ასე მიმართავს „ქალაქელ ბიჭს“, „ჰკეუა არა ვაქვთ, წადი იმუშავე, ტალახი ზილე და პური ისე ქამე“.

ლ. არდაზიანი ოსტატურად ხატავს ურცხვადის მახინჯ სახეს, ისე რომ ამ სურათში მისი სიმპათიები მშრომელა გლეხობისა და ახალი თაობის მხარეზეა.

ამ ნაწარმოებმა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში დიდი დავა გამოიწვია. ბევრმა მასში თავისი თავი დაინახა. ამავე დროს ახალი თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ეს ნაწარმოები „მამათა“ ბანაკიდან გამოლაშქრებად მიიღო. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კირილე ლორთქიფანიძემ რუსეთიდან „საქართველოს მოამბეში“ ამ ნაწარმოებზე მოათავსა წერილი.

ამ წერილში ლ. არდაზიანის ნაწარმოების აზრი კ. ლორთქიფანიძემ სწორად ვერ გაიგო. მან ახალი თაობის მიმართ დაცინვა, რომელსაც ნაწარმოებში უარყოფითი პერსონაჟი (ურცხვადე) გამოთქვამს, მწერლის მოსაზრებად მიიღო, რაც, ცხადია, არ იყო სწორი. ლ. არდაზიანი ურცხვადეს, როგორც მისი გვარიც გვიჩვენებს, დასცინის, ამათრახებს, როგორც ახალგაზრდობის მოძულეს. ეს ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, როდესაც ლ. არდაზიანის ნაწარმოებზე — „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“ ვლაპარაკობდით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ამავე ნაწარმოების შესავალში ლ. არდაზიანი ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს „საქართველოს მოამბეს“ გავრცელებას ხელი შეუწყონ, როგორც დიდ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეს.

ლ. არდაზიანის დამოკიდებულება ახალი თაობისადმი კიდევ უფრო ნათელი შეიქმნა, როცა თვით ლ. არდაზიანმა „ცისკარში“ კირილე ლორთქიფანიძის საპასუხო წერილში „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“ თვით გაარკვია ნაწარმოების აზრი და გამოამქლავნა თავისი თანაგრძნობა ახალი თაობის მიმართ. ამ წერილში ლ. არდაზიანი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ მის ნაწარმოებში ახალი თაობა ცუდი მხრით არ არის დახასიათებული, როგორც ეს „თერგდალეულს“ ჰგონიაო და მოჰყავს თავის ნაწარმოებიდან ამის დამადასტურებელი მაგალითები. იგი სავესებით ემიჯნება იმ პირებს, რომლებიც, როგორც თითონ აღნიშნავს, „უხინდისოთ და შეუსაბამოთ იხსენიებენ ყმაწვილ კაცებსა“.

ლ. არდაზიანი წერს, რომ „თერგდალეულს“, ე. ი. კირილე ლორთქიფანიძეს, ისე გაუგია „ვითამ უფ. ბიძია თონიკე დასცინის უფ. ქაჯქვაძეს. ასე შეიძლება იფიქროს მხოლოდ თერგდალეულმა. მიზეზი რომ არა ჰქონოდა, საიდან დაბადა ეს უმსგავსი აზრი, მიკვირს ჰეშმარიტად! არა, ნუ იფიქრებთ, უფ. თერგდალეულო, რომ უფ. ბიძია თონიკე უფ. ქაჯქვაძე არ იცნობდეს თქვენზე უკეთესათ კარგის მხრით. თქვენ კი ცილსა სწამებთ და სხვა მხრით მიგილიათ... ბიძია თონიკეს სიტყვები...“

ლ. არდაზიანი კ. ლორთქიფანიძის საყურადღებოდ ასეთ დასკვნას აკეთებს: „როგორ ვერ ხედავთ, რომ უფ. ბიძია თონიკე (ლ. არდაზიანი.—ა. გ.) თქვენკენ არის, და თქვენ კი ეშმაკებისაკენ!... არ არის კარგი განუსჯელად რომ აწყინეთ უფ. ბიძია თონიკესა! გეტყობათ საჭირო ყოფილა თქვენთვის კომენტარიები“.

ლ. არდაზიანის ამ ნაწარმოების იდეური მრწამსის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკი წერეთლის წერილს კირილე ლორთქიფანიძისადმი. აკაკი წერს: „ბულვარზედ მოგზაურობა“ დაბეჭდამდის ჩემ ხელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია. ვიზედაც არის, ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარგებს, ღირსნი არიან, ტროსტიჩებით ეძებენ ტროტუარზე ჰეშმარიტების ნამსხვრევებს, არ იციან რაო, იმას ამბობენ, მაგრამ ქართული არ იც-

იანო. თორემ ჩვენზე როგორ გაბედავენ რამეს დაწერას. ეს სტატია არდაზიანის არის, იმან დასწერა, კი დაეწერათ ჩვენ-ზედაც პასუხი ვილაცებებს, მაგრამ იქვე ეთქვათ, მოგდომიათ ტყავის გაძრობა და ეგ არისო და შიშით უკანვე წაეღოთ¹.

აკაკის ამ წერილიდან ირკვევა, რომ ლ. არდაზიანს თავისი ნაწარმოები „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“, ალბათ შემოწმების მიზნით, აკაკისათვის გადაუცია. აკაკი წერეთელი ზემოაღნიშნულ წერილში სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლ. არდაზიანის ამ ნაწარმოებში მაშინდელი გაუნათლებელი და უსაქმო ადამიანები არიან გამოხატულნი და იგი ახალი თაობის წინააღმდეგ არაა მიმართული.

ზედმეტი არ იქნება, თუ აქ იმასაც აღვნიშნავთ, რომ მაშინ თვით რუსეთში ნასწავლი ახალგაზრდობიდან ყველას ერთგვარად არ აფასებდნენ. „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ წერილში — „შინაური მიმოხილვა“ ე. თულაშვილი რუსეთში ნასწავლი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს გვიხასიათებს, როგორც ქართველი საზოგადოებისათვის მიუღებელ პიროვნებებს. ასევე წერდა ამის შესახებ აკაკი წერეთელი.

ლ. არდაზიანმა „ცისკრის“ 1864 წლის მეოთხე ნომერში მოლაყბის ფსევდონიმით გამოაქვეყნა „ბოლომოუღებელი კომედია მრავალ მოქმედებად, სიქსტი მეხუთე“, რომლითაც არქაისტებს მკაცრად დასცინა. ამ მხრით ეს იყო პირველი მხატვრული ნაწარმოები.

მისი ისტორია ასეთია: ცნობილ არქაისტ იაკინთე მესხიშვილს, რომელიც მაშინ თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის დირექტორად მსახურობდა, არქაული ენით დაუწერია ნაწარმოები „სიქსტი მეხუთე“, რომლის გამოქვეყნებაზედაც „ცისკრის“ რედაქციას უარი უთქვამს. ამის გამო იგი უკმაყოფილო ყოფილა რედაქტორის, ივანე კერესელიძისა. ამაზე ადრე იაკინთე მესხიშვილი, როგორც ეს ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, შემდგენელი იყო იმ სარედაქციო

¹ ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი, ტ. I, გვ. 399.

შენიშვნებისა, რომელიც მიმართული იყო ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა წინააღმდეგ.

ლ. არდაზიანს, რომელიც მაშინ ჟურ. „ცისკარში“ განყოფილებას განაგებდა, იაკინთე მესხიშვილის ნაწარმოებზე — „სიქსტი მეხუთე“ დაუწერია პაროდია — „ბოლო მოუღებელი კომედია, სიქსტი მეხუთე“, რომელშიაც არქაულ ენის მოტრფიალე ჩინოვნიკი იაკინთე მესხიშვილი იოაკიმ მასხარაძის როლში გამოუყვანია.

ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს ლ. არდაზიანის შესახებ ვთქვათ, რომ იგი თაობათა შორის უთანხმოებისას ახალი თაობის მოწინავე აზრებს იცავდა. ლ. არდაზიანი კრიტიკულ-რეალისტურ მიმართულებას ნერგავდა მწერლობაში.



ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს „ცისკარი“ აღარ ბეჭდავდა. საკირო იყო გამოცემა ახალი ჟურნალისა, რომელიც საზოგადოებაში ახალი თაობის აზრებს გაავრცელებდა. ამ მიზნით ახალი თაობა შეძლებისდაგვარად „ცისკრის“ ფურცლებზე თავიანთ წერილებში პროპაგანდას ეწეოდა და ნიჟარადგან ამზადებდა „საქართველოს მოამბის“ გამოცემისათვის. სამაგიეროდ, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ, ძველი თაობის წარმომადგენელი ცდილობდნენ ახალი ჟურნალისათვის სახელი გაეტეხათ.

„საქართველოს მოამბის“ მომავალ რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს ახალი ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით „ცისკრის“ რედაქციისათვის გადაუცია გამოსაქვეყნებლად განცხადება, რომელიც „ცისკრის“ 1862 წლის ოქტომბრის ნომერშია დაბეჭდილი. ილია ჭავჭავაძე, აქვეყნებს რა „საქართველოს მოამბის“ პროგრამას, ბოლოს აცხადებს: „რაც შეეხება ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებას, იმაზედ არაფერს ვიტყვი. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსტყვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჟობინება ყოველ წინასიტყვაობას, ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ

და გამოვადგეთ; ამისთვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ქეშმარიტი, და თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისიც ემაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შევიძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰკიდია“. ამ განცხადებაში ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქართველოს მოამბის“ მიზანი ხალხის სამსახური უნდა გახდეს და, თუ ამას ჟურნალი ნაწილობრივ მაინც შეასრულებს, მისი მიზანიც მიღწეული იქნება.

ჟურნალს უნდა გაეგრძელებინა ახალი თაობის ის იდეური ხაზი, რომელიც „ცისკრის“ ფურცლებზე იძულებით იქნა შეწყვეტილი.

თავდაპირველად „ცისკრის“ რედაქციამ თავის მკითხველებს მოწოდებითაც კი მიმართა, რომ ხელი შეუწყონ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. თანაც შეშინებული ი. კერესელიძე რ. ერისთავს სწერდა: „ი. მამაცაშვილი და გ. ლობერიძე ქუთაისში ძლიერა ცდილობენ ჭავჭავაძისათვის. ჯერ 40 თუმანი გამოუგზავნიათ... მაგრამ რაც უნდა კარგი რამ იყოს, ისეთი ხმა დაუგდეს ჭავჭავაძის პარტიამ იმათ მომავალ ჟურნალს, რომ ჩვენი ჟურნალი სულ გაჰყინა“. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის გამოსვლისთანავე აშკარა შეიქნა, რომ ეს ორი ჟურნალი დაპირისპირებული იდეების შემცველი ორგანოები იყვნენ.

1863 წლის იანვრიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსვლა დაიწყო ახალი თაობის ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“, რომელმაც თავის ფურცლებზე მოწინავე დემოკრატიული იდეების ქადაგებას მიჰყო ხელი. ჟურნალის პირველ ნომერში ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა პროგრამული შინაარსის წერილი — „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიაც უფრო ღრმად და ნათლად განავითარა ის აზრები, რომლებიც მან გაკვრით ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოთქვა.

ამ ღრმააზროვან წერილში ჟურ. „საქართველოს მოამ-

ბის“ პროგრამასთან ერთად მოცემულია პროგრამა ახალი თაობისა.

ეს ვრცელი პროგრამა, რომელიც ამ წერილშია ილიას მიერ განვითარებული, შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. ცხოვრება არის პირველადი და იგი განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერებას.

2. ცხოვრება დიალექტიკურად იცვლება და ვითარდება. ყოველი მოვლენა „თუმცა ბერდება მაგრამ ამ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდება, მიდის წინ“. ცხოვრება ამ პროცესებისაგან შედგება. ის რაც ერთ დროს მოწინავე და პროგრესული იყო, შემდეგ შეიძლება იგი თავის დანიშნულებისათვის შეუფერებელი და შემფერხებელი აღმოჩნდეს. ძველი, დაბერებული კვდება, მაგრამ ეს სასიკვდილოდ განწირული ძველი თავისთავში ატარებს ახალს, რომელიც დროის შესაფერისად წარმოაშობა და ვითარდება.

3. ცხოვრებას აქვს თავისი საკუთარი კანონები, რომლებიც ადამიანზე არ არიან დამოკიდებულნი, მათ თვით „ცხოვრება აღმოშობავს“, გენიოსი „ისეთივე ნაყოფია თავისი ღრობისა, როგორც სხვანი. მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულაა, დამწიფებულია... გენიოსი მხოლოდ გვიხსნის მას რაც ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში“.

4. მეცნიერებასა და ხელოვნებას ცხოვრებისათვის თვით ცხოვრება წარმოშობს. ცხოვრების გარეშე დაყენებული შეგნება მეცნიერებასა და ხელოვნებას ვერ წარმოშობს.

5. მეცნიერებასა და ხელოვნებას ცხოვრება ზადებს და ანვითარებს, მაგრამ თავის მხრით ისინიც მოქმედებენ ცხოვრებაზე, წინ მიჰყავთ ცხოვრება. მეცნიერებისა და ხელოვნების მიერ შემუშავებული აზრები „გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხს მდგომარეობასა და ცხოვრებას“.

ჟურნალმა უნდა მისდიოს ანდაზას: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. გამოსწორების მიზნით „ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარო“.

6. მეცნიერება და ხელოვნება ხალხს უნდა ემსახურებოდეს. მათ მიერ შემუშავებული და დამტკიცებული აზრებისა და ცნობების ხალხში გატანის გაადვილება არის მიზანი „საქართველოს მოამბისა“. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ჟურნალი გასაგები ენით ესაუბრებოდეს ხალხს.

მესამოცე წლებში ილია ჭავჭავაძე მატერიალისტური ფილოსოფიის პრინციპებზე დგას. ამავე წლებში ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში მთავარ როლს მეცნიერებასა და ხელოვნებას, განათლებას, ცხოვრების ნაკლოვანებათა მხილებას აკუთვნებდა. ამ შემთხვევაში ილია, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, განმანათლებლის პოზიციაზე იდგა და მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს ავითარებდა. ეს პრინციპები კიდევ უფრო ნათლად გამოხატული „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის ვარიანტებში.

ილია ამ წერილშივე გვაცნობს იმ „სამარცხვინო მტრობის“ შესახებ, რომელიც „ცისკარმა“ თავიდანვე გამოიჩინა „საქართველოს მოამბის“ მიმართ. ილია წერს: „დაე რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულმა და გონება-გამოცლილმა „ცისკარმა“, ჩვენ კი ამას ვეტყვი, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაც ძმის დაბადება იმიტომ სწყინს და გულს უხეთქამს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზედ გამიყოსო. ტყუილად შიშობს „ცისკარი“. ჩვენ ფიქრდაც არა გვაქვს არავის საცხოვრებლის შუა გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

გ. წერეთელმა „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა წერილი „ცისკარს რა აკაკანებს?“, რომელშიაც მოკლედ დაახასიათა „ცისკრის“ განვლილი მუშაობა. თავდაპირველად იგი ლაპარაკობს ჟურნალის დანიშნულების შესახებ. ისე როგორც ილია ჭავჭავაძე. გ. წერეთელიც აღნიშნავს, რომ ჟურნალი ხალხის ცხოვრების უარყოფით მხარეებს უნდა ამჟღავნებდეს, იგი მუსრს უნდა ავლებდეს „იმ ნაკლოვანე-

ბებს, რაც რომ წინ უდგება ცხოვრების კეთილ მდგომარეობას“. ამასთან ერთად, უურნალში გამოხატულებას უნდა პოულობდეს მეცნიერების მიღწევები, რომლებიც ცხოვრების ვაჯანსაღებისაკენ არის მიმართული.

გ. წერეთელს ამ წერილში იმ დროისათვის საკმაოდ რადიკალური შეხედულებები აქვს გამოთქმული. იგი წერს: „რამდენიმე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშუალებაც ვეღარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებას. ამჟამად, რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავისი საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ“.

აქ არაპირდაპირი გზით, რადგან მაშინ ეს სხვაგვარად შეუძლებელი იყო, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მაშინდელი სახელმწიფოებრივი წყობილება მოძველდა და ვეღარ აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებას. ამიტომ იგი „ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ“. ამას გ. წერეთელი ასაბუთებს საზოგადოებრივი ფორმაციების განვითარების საერთო კანონით, რომ ისტორიაში მოძველებული საზოგადოებრივი ფორმაცია ყოველთვის იცვლება ახალი ფორმაციით. ლიტერატურის დიდი დანიშნულება სწორედ იმაში გამოიხატება — აღნიშნავს გ. წერეთელი — ამხალს ძველი, უვარგისი და გზა გაუყაფოს ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

როგორც ცნობილია, „ცისკრის“ რედაქციამ „თერგდალეულთა“ წინააღმდეგ გამოუშვა ახალი ტიპის მოლაყბე, რომელმაც საზოგადოების ნაკლოვანებათა მხილების ნაცვლად მაშინდელი ჩამორჩენილი ცხოვრებისადმი შერიგება ურჩია ყველას და მათ შორის თერგდალეულებსაც. გ. წერეთელი მას მწერლის დანიშნულების გაგების საკითხში არ ეთანხმება. ჯერ „მოლაყბის“ პრეტენციოზული ტონის გამო დაცინვით შენიშნავს, რომ „მან უჩვენა სწავლულთ ქვეყანას პოეზიისა და ლიტერატურის სფეროში იმგვარი კანონები, რომლების მსგავსი არა წარმოთქმულა რა არც ლესინ-

გის „ლაოკონში“ და არც ჰეგელის „ესთეტიკაში“. მოლაყბემ აღნიშნა, რომ მწერალი ხალხის მამა არისო. ხალხის მიმართ მწერლის როლის ასეთი გაგება გ. წერეთელმა ხალხის დამცირებად მიიჩნია, რადგან, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ, ახალი თაობა მწერლისა და მისი შემოქმედების შემქმნელად ხალხს, ცხოვრებას აღიარებდა. გ. წერეთელი მოლაყბის შეხედულების საწინააღმდეგოდ წერს, რომ „ხალხი კი არ არის შვილი მწერლისა, არამედ თვით მწერალი არის შვილი საზოგადოებისა, მის წევრთაგანი, საზოგადოების ტანჯვისა და შვების თანამგრძნობელი“.

როგორ ამართლებდა ჟურ. „ცისკარი“ თავის დანიშნულებას? გ. წერეთელი ამ კითხვაზე უპასუხებს: — მიუხედავად იმისა, რომ „ცისკარი“ უკვე შვიდი წელია რაც გამოდის. იგი მაინც ერთსა და იმავე ადგილზე დგას და წინმსვლელობა მას არ ეტყობათ. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებრივ ნაკლოვანებებზე წეროს, „ცისკარი რიტორიკული სტილით „შვიდი წლის განმავლობაში სულ იმაზედ გვატარებინებს დროებას ან ღამე როგორია, ან დღე რა რიგის სინათლით მოიცავს არემარეს, თუ დილა კაცის გულში რა რიგის ტკბილს გრძნობებს აღძრავს, ან თუ საღამო რა რიგის სიმშვენის მორთავს ბუნებას და სხვა ამ გვარებით... ნამდვილის ცხოვრების თვისების მაგივრად ფანტაზიაში შედგენილ სურათებზედ გვატყუებინებდა“. ჟურ. „ცისკარი“ რეალური საზოგადოებრივი ცხოვრების გამომხატველი არ არის, იგი მიწიერი ცხოვრების ნაცვლად ზეცაში დაფრინავს, ფანტაზიორობს — აი, რა არის, გ. წერეთლის აზრით, ჟურნალის მთავარი ნაკლი.

გ. წერეთელი ასახელებს კიდევ თვით ივანე კერესელიძის მიერ „საძაგლად გადაკეთებულსა და თავისად უსირცხვილოთ მითვისებულ“ ნაწარმოებს — „შვილი უმანკოებისა“. გ. რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილის“, გ. ერისთავის „მამისაგან შვილის დარიგებას“ და სხვას, როგორც არარეალისტურსა და ხალხისათვის მიუღებელ ნაწარმოებს.

ვინაიდან ახალი თაობის მსოფლმხედველობის დახასია-

თებისათვის გ. წერეთლის ამ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სანიმუშოდ საჭიროა გავარკვიოთ, რას წარმოადგენს გ. წერეთლის მიერ დაწუნებული გიორგი ევსევის ძე ერისთავის ნაწარმოები — „მამისაგან შვილის დარიგება“, რომელიც „ცისკარშია“ დაბეჭდილი. ნაწარმოების სათაური ასეთია: „ღენერალ ოტინფანტერს გიორგა ერისთავს თავისი შვილი ზაქარია ჰკითხავს: მამაო, რით უნდა მოიგოს ამ სოფელს ბედნიერება, რომ საუკუნოთ დიდებაც იმისთვის მზათ იყოს?“.

გენერალი გიორგი ევსევის ძე ერისთავი თავის შვილს ზაქარიას ამ კითხვასთან დაკავშირებით აძლევს ვრცელ დარიგებას, რომელსაც ქრისტიანული რელიგიის დოგმებზე უდევს საფუძვლად.

დარიგება თეოლოგიური მოძღვრებისათვის დამახასიათებელი დიდაქტიკით იწყება: „კეთილ მოქმედება, სიმშვიდე, სიწყნარე, სიწმინდე, ღვთისმოყვარეობა კაცთმოყვარეობა, ამ სოფელსაც ბედნიერი იქმნება დასაქებარი, და იმ სოფელსაც საუკუნო მზათ ექმნება.“

სწავლა, თუ კეთილმოქმედება შეერთებული აქვს, ამ სოფელსაც ბედნიერი იქმნება, და იმ სოფელშიაც კეთილი ცხოვრება ექმნება და თუ კეთილი მოქმედება არა აქვს შეერთებული სწავლასა, ის იქმნება ბოროტმოქმედი არიოზ და ივლიანე განდგომილი, ამ სოფელსაც შერცხვენილი იქმნება და იმ სოფელსაცა“.

შესაძლებელია, რომ გენერალი გ. ერისთავი იმ „ბოროტმოქმედებს“ შორის, რომლებიც სწავლასა და კეთილმოქმედებას ერთმანეთს შორის ვერ ათავსებდნენ, გულისხმობდა მაშინდელ მებრძოლ ახალ თაობას.

შვილი ზაქარია მამას, გ. ერისთავს უსვამს კითხვებს: 1. როგორ უნდა გავიგოთ, რომ „ნატურალისტები იტყვიან ღმერთია ნატურაო“, 2. „როგორ უნდა ვაცნობო, ვინც ვერ იცნობს ყოვლისა შემძლებელსა ღმერთსა“, 3. „გთხოვთ, რომ მიბრძანოთ მეორეთ მოსვლისათვის“, 4. „გთხოვთ, რომ

ესეც განმიპარტო, ხელმწიფე ანუ მთავარი, ვითარი უნდა იყოს?”.

ამ კითხვებზე გ. ერისთავი რელიგიური ხასიათის განმარტებებს აძლევს. იგი შვილს ასწავლის, რომ „ნატურალისტების აზრს, რომ ღმერთია ნატურაო“ მიყუყუართ პანთეიზმამდე, რაც მრავალღმერთიანობის აღიარებას ნიშნავსო. მისი აზრით „ღმერთი ერთი უნდა იყოს, დაუსაბამო და პირველი მიზეზი ყოველისა“... გ. ერისთავი აცხადებს, რომ „მეორეთ მოსვლა“ იქნება, რომლის დროსაც კეთილმოქმედნი განსვენებას მიეცემიან, ხოლო ბოროტის მოქმედნი საუკუნის ტანჯვას“. ამავე დროს გ. ერისთავი აცხადებს, რომ (ხელმწიფე ღმერთთან შუამაჯალიაო და თავის შვილს მოუწოდებს „შვილო, ემსახურე დიდს იმპერატორსა შეძლებისამებრ შენისა, და იქნები ბედნიერ და სახელოვანი“, ხოლო როდესაც შვილი შეგეძინოს დილასა და საღამოს დააყენე და ალოცე, იმ ყრმასა ჩვეულებათა აღნაგებათ შეექმნება ღვთის სიყვარული და ვისაც ღვთის სიყვარული აქვს, კეთილი კაცი იქნება“. აი მოკლედ რას წარმოადგენს გ. ერისთავის „მამისაგან შვილის დარიგება“, რომელიც გ. წერეთელმა „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე სხვა ნაწარმოებებთან ერთად დაასახელა, როგორც უვარგისი ნაწარმოები. გ. ერისთავი ქართველ ახალგაზრდობას უნერგავს ღმერთისა და იმპერატორისადმი შიშსა და მორჩილებას, ხოლო „ბოროტმოქმედ“ ურჩებს „მეორეთ მოსვლით ემუქრება“. გასაგებია, თუ ახალმა თაობამ და მისმა ორგანომ „საქართველოს მოამბემ“ რატომ დაგმო გ. ერისთავის ეს „დიდაქტიკური შეხედულებები“. გ. წერეთელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი ხასიათის სხვა ნაწარმოებებსაც ასახელებს, რომლებმაც „ცისკრის“ ფურცლებზე თავიანთი გამოხატულება პოვეს. ასეთი ნაწარმოებები „ცისკარში“ არ უნდა იბეჭდებოდეს — აღნიშნავს გ. წერეთელი.

სამაგიეროდ ამ წერილში გ. წერეთელი კირილე ლორთქიფანიძის მსგავსად აღნიშნავს დ. ჭონჭაძის „სურამის ციხის“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილის“,

ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების. დ. ყიფანის „ზვიმას“ და სხვათა დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ამ წერილში გ. წერეთელმა „ცისკრის“ რედაქციას, ქართულ სალიტერატურო კრიტიკას, სხვა საკითხებთან ერთად, წააგონა „სურამის ციხე“. გ. წერეთელი, აკრიტიკებს რა „ცისკრის“ მუშაობას, წერს: „ცისკარი არ იყო, ილია ჭავჭავაძეს რომ ქვის სროლით შეხვდა? სად გვიჩვენა მან ის ორი ხასიათი ქალისა და ვაჟისა, რომელიც ასე ღრმად და საკვირველად არიან გამოხატული „სურამის ციხეში“? სად განიკვლია მან ის მიზეზები და გარემოება, რომელმაც შექმნა ეს ხასიათები, ამისთანა ბოლოს ღირსნი, როგორც ამ რომანშია ნაჩვენები? სრულებით ამგვარ რამეს 1857 წლიდან რომ დავიწყოთ და ბოლო ნომრიდან გადავშალოთ, მაინც ვერაფერს მასში ვერ ვპოვებთ... ვეჭობ, „ცისკარს“ „სურამის ციხის“ აზრი სრულებით არ გაუგია, ამიტომ რომ, როდესაც „თერგდალეულმა“ გაიხსენა „სურამის ციხეზედ“, როგორც ერთ კარგ თხზულებათაგანზე, რაც რომ „ცისკარში“ დაბეჭდა, მხოლოდ მის შემდგომ გამოვიდა მასზედ ფურცელაძის რეცენზია და მერე როგორი! განა ამას რეცენზია ერქმის?“ გ. წერეთელს არ აკმაყოფილებს ა. ფურცელაძის მერ „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სურამის ციხის“ კრიტიკული ანალიზი. მისი აზრით, ანტონ ფურცელაძე სწორად ვერ აფასებს „სურამის ციხეს“. იგი მოითხოვს ამ რეალისტური ნაწარმოების უფრო ღრმად შესწავლას.

ასე მაღალ შეფასებას აძლევდა ბატონყმურა ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ „სურამის ციხეს“ არა მარტო გ. წერეთელი, არამედ საერთოდ ახალი თაობა და კერძოდ მათი იდეური ბელადი ი. ჭავჭავაძე, რომელიც ხელმძღვანელი იყო ეურნალისა, რომელშიაც გ. წერეთლის ზემოთ განხილული წერილი დაბეჭდა. ამ წერილში გამოხატული აზრები არამცთუ ეგუებოდა ილია ჭავჭავაძის იდეურ მიმართულებას, არამედ მისი ამ დროის მსოფლმხედველობის ძლიერი გავლენითაც იყო დაწერილი. ილია ჭავჭავაძე ბატონყმური

ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებებს თუ რა მალაღ შეფასებას აძლევდა, ამას მოწმობს მისი სიტყვები რ. ერისთავის ლექსზე „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელიც „ცისკარში“ დაიბეჭდა. ილია ამ ლექსის შესახებ წერს: „ჯერ ბატონყმობის გადავარდნის ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დღეა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რად ბატონოჲს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: „ვისი უბყრია ძალიო“. ეს პირველი ხმა იყო ჩვენში, სამწუდ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფ. ერისთავამდე ეს მწვეავი ჩივილი ყნობით გაუბატოურებულ ღმრთის კერძო აღამიანისა არავის გაუთვალისწინებია. არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს მართლა-და ჰეინესი არ იყოს „დაწყველილი საკითხი“: „ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს“¹.

„ახალი თაობის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ისინი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით იბრძოდნენ ბატონყმობის მოსპობისათვის. ამიტომაც ახალი თაობას წარმომადგენლები კრიტიკის დრ-ას ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებებს ჯანსაყუტრებით კარგ შეფასებას აძლევდნენ.

გ. წერეთელი, „ცისკარში“ გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან, როგორც საუკეთესოს, ასახელებს აგრეთვე ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილსა“ და დ. ყიფიანის მიერ გადმოკეთებულ ნაწარმოებს „ზვიმას“. ლ. არდაზიანის აღნიშნულ ნაწარმოებს გ. წერეთელი, ცხადია, აქებს, როგორც კუშმარიტ რეალისტურ ნაწარმოებს, რომელშიაც შესანიშნავად არის გადმოცემული ჩვენი მაშინდელი ცხოვრების კაპიტალიზაციის პროცესი. შემთხვევით არც დ. ყიფიანის მიერ გადმოკეთებული ნაწარმოები „ზვიმა“ არის აქ დასახელებული. ეს ნაწარმოები დაწერილია ხალხური ენით, რომლის „ცისკარში“ დანერგვისათვის ახალი თაობა იბრძოდა.

გ. წერეთელი, და საერთოდ „საქართველოს მოამბის“

¹ ი. ჭავჭავაძე, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. ტ. IV. 1927, გვ. 246.

ჯგუფი, ილიას ხელმძღვანელობით, ხოტბას ასხამდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის, ბატონყმობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

„საქართველოს მოამბე“ ახალი თაობის დემოკრატიული იდეებისათვის მებრძოლ ორგანოს წარმოადგენდა. მისი საბრძოლო დროშის ლოზუნგი ხალხურობა იყო, ამ სიტყვის ფართო გაგებით. რედაქცია, მიზნად ისახავდა რა ხალხის სამსახურს, ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური წერილების თუ თარგმანების მეშვეობით იბრძოდა ბატონყმობის, თვითპყრობელობის და საერთოდ მონობისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ლ. არდაზიანი ჟურ. „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ, მაგრამ მათ მიერ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებები ახალი თაობის იდეურ მიმართულებას სავსებით შეეფერებოდნენ. ისინი ისევე იბრძოდნენ ცხოვრების განახლებისათვის, როგორც „საქართველოს მოამბის“ ჯგუფი. მართალია, ანტონ ფურცელაძე ზოგჯერ იჩენდა ერთგვარ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას „საქართველოს მოამბისადმი“, მაგრამ მისი მსოფლმხედველობა ძირითადად განახლებული. თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლი მსოფლმხედველობა იყო.

დავით ყიფიანმა „საქართველოს მოამბის“ მეხამე ნომერში ვრცელი წერილი მოათავსა სათაურით „გრამატიკის შესამუშავებელ მასალად“. ამ წერილში დავით ყიფიანი, მოითხოვს რა ახალი ქართული გრამატიკის შედგენას, იცავს ქართული ენის ერთიანობის პრინციპს და ასაბუთებს, რომ „ლიტერატურის ენად უნდა შესდგეს მდებიური ხალხის ენა“. „ცისკრის“ ფურცლებზე „ულოლიკოს“ ფსევდონიმით ანტონ ფურცელაძემ საკმაოდ ვრცელი წერილი მოათავსა. ა. ფურცელაძე ეკავათება რა დ. ყიფიანს ანტონ კათალიკოსისა და სოლომონ დოდაშვილის გრამატიკის შეფასებაში, წერს: „აქ მე ვიცი უ. ყიფიანი თვალებს დამიბრიალებს და შემომ-

ჰყვივლებს: — მაშ შენ ავტორიტეტები გინდა, ავტორიტეტების პატივისცემა და არა გადევნა! მაშ შენ „სოვრემენიკი“ არ წაგიკითხავს! მაშ შენ ჩერნიშევსკისა არა წაგიკითხავს რა! მაშ შენ დობროლუბოვის წიგნებში არ ჩაგიხედნია!... — ნელა ნელა ბატონო, ნელა. მე ვიცი, რომ ჩერნიშევსკისაც წაგიკითხავს და დობროლუბოვისაც. მე ვიცი, რომ „სოვრემენიკისაც“ ყოველთვის „კითხულობ“. მაგრამ, აღნიშნავს ფურცელაძე, დავით ყიფიანი სწორედ ვერ იყენებს „სოვრემენიკის“, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის შეხედულებას ავტორიტეტების უარყოფის შესახებო.

ამ ამონაწერიდან ჩანს, თუ ახალი თაობა ეურ. „სოვრემენიკს“, ნ. ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის როგორ დიდ პატივს სცემდა. ეს შემთხვევითი არაა. ცნობილია, რომ საქართველოს ახალი თაობის წარმომადგენლები რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებზე აღიზარდნენ და მათი გავლენაც განიცადეს.

„ცისკრის“ რედაქციამ უარყო კრიტიკა. იგი „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილებზე კრიტიკულ შეხედულებებს თითქმის აღარ აქვეყნებდა. ანტონ ფურცელაძის (ქერელი ბექა) კრიტიკულ წერილზე დ. თუმანიშვილს კრიტიკულა წერილი დაუწერია. „ცისკრის“ რედაქციამ იგი არ გამოაქვეყნა. ამ წერილის გამო „ცისკრის რედაქტორი ეურნალში ირონიულ განცხადებას აქვეყნებს: „ბრწყინვალე კნიაზს დიმიტრი თუმანიშვილს. თქვენგნით გამოგზავნილი პასუხი „ცისკრის“ რედაქციაში ქერელი ბექას კრიტიკაზედ არ დაიბეჭდება, რადგანაც მეორე ეურნალი გამოდის ახლა ქართულს ენაზედ, და „ცისკრის“ თანამშრომლებზედ „მოამბეში“ დაიბეჭდება. აქვე ვკითხულობთ: „ბრწყინვალე თავადს ირაკლი ლორთქიფანიძეს. თქვენგნით გამოგზავნილი სტატია არ იბეჭდება ამავე მიზეზით“. ასეთი მაგალითები სხვაც შეიძლება მოგვეყვანა, მაგრამ ესეც გვიჩვენებს, რომ „ცისკრის“ რედაქცია კრიტიკას გაუბროდა, რითაც თავის შეცდომებს ხელს აფარებდა და ამით ეურნალის ჩამორჩენას უწყობდა ხელს.

„ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. „ცისკრის“ რედაქციამ 1863 წლის აგვისტოს ნომერში „საქართველოს მოამბეზე“ შეიღობულ მუხლისაგან შემდგარი დაცინვითი წასიათის წერილი გამოაქვეყნა. აი, ამ წერილის ბოლო მუხლები:

5. „მოამბე“ ჰგონებია, რომ „ცისკარი“ კაკანებდეს და იმას ვაჯობო, ყრო... დაუწყია.

6. „მოამბე“ მეტრსმეტი სიკაპასით გოჯანახევიარილა დაჩენილა და ქლექათ ჩავარდა. ამბობენ ვითომც უღლეური ყმაწვილი იყვენს.

7. „მოამბეს“ სიზმარში უნახავს, რომ „ცისკარზედ“ ხელს არავინ აწერს და ცხადლივ ვგონებ თითონ აუხდეს“.

„ცისკრის“ რედაქცია იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყოს ახალი, პროგრესული იდეებია მატარებელი ჟურნალის წინსვლისათვის, სიხარულს გამოხატევენს იმის გამო, რომ „საქართველოს მოამბეზე“ ხელს არავინ მოაწერს და ჟურნალ დაიხურება. აი როგორი ქვენა აზრებით იყო „საქართველოს მოამბის“ მიმართ „ცისკრის“ რედაქცია განწყობილი.

მართლაც, როდესაც „საქართველოს მოამბე“ იძულებული შეიქნა თავისი არსებობა შეეწყვიტა, ამის გამო გახარებული „ცისკრის“ რედაქცია „საქართველოს მოამბის“ შესახებ მკითხველებს აუწყებდა:

„დიდის ქექა-ქუხილით დაიბადა ქვეყანაში და იმ წანსვე გაპენტა „ცისკარი“. მიწასთან გავასწოროვო, ჩვენ კ სრულეებით ხმაც არ გავეცია. რადგანაც დარწმუნებულნი ვიყავით. ის ქექა და ქუხილი ქარი იყო და ქარივე წაიღებდა“. აქვეყნებს რა განცხადებას „საქართველოს მოამბის“ დახურვის გამო, ბოლოს ი. კერესელიაჲ ირონიულად შენიშნავს: „დიდადა ვწუხვართ, რომ ასე უდროოდ გამოაკლდა „მოამბე“ ამ ჩვენს დაუდგომელს წუთისოფელს“.

ასეთი სულმდაბლობა გამოიჩინა „ცისკრის“ რედაქციამ „საქართველოს მოამბის“ მიმართ. მან ვერ გაიგო, ან არ უნდოდა გაეგო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი საქართველოსათვის იმ მოწინავე დემოკრატიულ იდეებს,

რომლის მკადაგებელიც „საქართველოს მოამბე“ იყო. მართალია, ჟურნალმა თავისი ფიზიკური არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ მოწინავე იდეების სიკვდილს. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სატყეები, რომელიც მან „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ გამოთქვა: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის-დღეში არა; მისი აღმოსრობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად“. მართლაც, „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ იმ იდეებმა, რომელიც ამ ჟურნალის ფურცლებზე იყო წამოყენებული, უფრო განვითარებული სახე მიიღო გაზეთ „დროებაში“. ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

რაც შეეხება ძველსა და ახალ თაობას შორის წინააღმდეგობას, იგი „საქართველოს მოამბის“ დახურვასთან ერთად არ შეწყვეტილა, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. ეს წინააღმდეგობანი ცოტად თუ ბევრად თავს იჩენდა ხოლმე „ცისკრის“ ფურცლებზე, ხოლო 1866 წლიდან, როგორც აღვნიშნეთ, გაზეთმა „დროებამ“ იკისრა „საქართველოს მოამბის“ იდეური ხაზის გაგრძელება.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ „ცისკარში“ კვლავ იბეჭდება ახალი თაობის წინააღმდეგ მიმართული წერილები. „ცისკრის“ რედაქცია თავის ჩამორჩენილ აზრებს კვლავ ებლაუჭება. „ცისკრის“ 1864 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებულია წერილი „ჩვენი ნაცარქექიები“, რომელშიაც ახალი თაობა ნაცარქექიას როლშია გამოყვანილი. საყურადღებოა ისიც, რომ „ცისკრის“ 1865 წლის მეთორმეტე ნომერში მოთავსებულ წერილში „შინაურული მიმოხილვა“ აღნიშნულია, რომ „ბლიაძე მესტვირეებს, რომლებიც პოეტობას ჩემულობენ“, მხოლოდ მავნებლობა მოაქვთ საზოგადოებისათვის. ბლიაძეში იგულისხმება გამოჩენილი მესტვირე ბლიაძე, რომელიც ხალხურ ჰანგზე შეთხზულ ლექსებს ამღერებდა სტვირზე. ამ მესტვირე პოეტებში კი წერილის

ავტორი აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს უნდა გულისხმობდეს, რომლებიც ხალხური ისიდადებით წერდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. გავიხსენოთ აკაკის სიტყვები:

სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის
ქამანჩა ქებაძისათ.

„ცისკარის“ ამავე წლის ნომერში მოთავსებულია მღვიმელის წერილი „ჩვენი დროების მწერლები“. ავტორი ამ წერილში ეხება პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ქრესტომატიას. იგი აღმფოთებულია იმით, რომ ქრესტომათიაში დ. ჩუბინაშვილმა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ნაწარმოებები, რომლებშიაც ხალხის ინტერესებია გამოხატული, არ შეიტანა.

დიმიტრი ჯანაშვილი კი წერილში „მახე“ აკრიტიკებს მღვიმელის ამ სწორ მოსახრებებს, იგი ძველ ქართველ მწერლებს სამართლიანად ხოტბას ასხამს, ხოლო აკაკიზე და ილიაზე აცხადებს: „ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთელს არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ ჩვენი ხალხისათვის“, მომავალში რას გააკეთებენ, ვნახოთო. ასეთი უპასუხისმგებლო გამოხდომები „ცისკარში“ არცთუ იშვიათი მოვლენა იყო.

მაშინდელი ახალი თაობის საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თავის მოგონებაში გიორგი წერეთელი, რომელიც თვით იყო თაობათა შორის ბრძოლის მონაწილე. მართალია, მთლიანად ამ მოგონებას ტენდენციური ხასიათი აქვს, მაგრამ იმ ნაწილში, სადაც გ. წერეთელი „ცისკარზე“ და „საქართველოს მოამბეზე“ ლაპარაკობს, სინამდვილე მიახლოებით სწორად არის გადმოცემული. გ. წერეთელი წერს: „ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის წინა წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც თ. ილია ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მომქმედ პირებად იყვნენ თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ჰუმან-

ნიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზ-
ბეგი, ივ. პოლტარაკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ.
ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხეილ ჩიკვაძე, ილ-
წინამძღვარიშვილი და ვ. თულაშვილი.

ამათ შემოიღეს კერძო კრებები, საცა კითხულობდნენ
რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჰაბუკი ილ. ჰავკავაძე
თავისი ახალ დაწერილი ლექსების და „გლახის ნაამბობის“
თავების კითხვით ამხნეებდა, ასულდგმულებდა თავის სა-
კუთარ წრეს და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნო-
ბას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ თ. ილია ჰავკავაძის
შეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წელს.

ეურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკე-
თესო მწერლებმა, სხვათა შორის დიმ. ყიფიანმა, გრ. ორბე-
ლიანმა, გ. ერისთავმა (გლუხარჩმა), მიხ. ყიფიანმა, დავ.
ყიფიანმა, ვახტანგ თულაშვილმა, გ. ჩიქოვანმა და ივ. ბერი-
ძემ. კორექტორად იყო გიმნაზიის ახალი კურსდამთავრებუ-
ლი პეტრე უმიკაშვილი.

პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ
ეურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა
კ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წე-
რეთელმა თავისი ჭერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც
მოაწვდინეს ჰუმანიტარული მიმართულების ახალ წრეს.

„საქართველოს მოამბემ“ დაჰგმო ძველი ბატონყმური
დამოკიდებულება, სანტიშენტალურად შეხედა მან თავის
მწერლობაში გლეხის დაჩაგრულს ბედს და შემდეგ ესევე
გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც. სამწუხაროთ ამ ცოც-
ხალმა მოძრაობამ მხოლოდ ერთი წელიწადი გასტანა¹.

ამ მოგონებაში ახალი თაობის იდეურ ბელადად ილია
ჰავკავაძე სამართლიანად არის მიჩნეული. მისი ინიციატივით
ახალი თაობა მართავდა „კერძო კრებებს“, რომელზედაც
ილია ჰავკავაძე თავისი ნაწარმოების კითხვით ამხნეებდა
და ხულს უდგამდა მებრძოლ ახალ თაობას. ამავე მოგონე-

¹ „კვალი“, № 46, 1897.

ბაში გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ახალი თაობის წრის წევრებს „მაშინ საშიშ ლიბერალებათ იხსენიებდნენ“. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ახალი თაობა იმ დროისათვის რევოლუციონურ-დემოკრატიული იდეებით შეკავშირებული ჯგუფი იყო. ეს ჯგუფი ი. ქავჭავაძის ხელმძღვანელობით შეკრებებსაც მართავდა და „საქართველოს მოამბეს“ გამოცემა ახალი თაობის ამ ჯგუფს მოუშზადებია.

„საქართველოს მოამბის“ ირგვლივ შემოკრებილი ახალი თაობა, იცავდა რა ფილოსოფიაში მატერიალიზმს, ხელოვნებაში ავითარებდა კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს. ახალი თაობა ეურნალის ფურცლებზე დაუხდობლად იბრძოდა როგორც ბატონყმობის, ისე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.



სამოცდაათიან წლებში ძველსა და ახალ თაობას შორის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამწვავდა. ახლა ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი პირები. ამ წლებში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი გადაიქცა უთანხმოების საბაბად.

ძველმა თაობამ სახალხო საქმეს უღალატა და ხელისუფალთ ნაცვლად უნივერსიტეტის გახსნისა კადეტთა კორპუსის გახსნა მოთხოვეს. სახალხო საქმისადმი ღალატის ეს შემთხვევა შეიქნა საბაბი ამ უთანხმოებისა, მაგრამ მას კიდევ უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა; ახალი თაობის მეტწილი დემოკრატიზმი ვერ ურიგდებოდა ძველი თაობის კონსერვატიზმს, მეფის მთავრობის პოლიტიკასთან შემარიგებლობას.

ისე როგორც სამოციან წლებში, ბრძოლა ახლაც ახალი თაობის იდეურმა ბელადმა ი. ქავჭავაძემ დაიწყო. შემდეგ ბრძოლაში ახალი თაობის სხვა წარმომადგენლებიც ჩაებნენ. ილიამ სახალხო საქმის მოღალატეთა წინააღმდეგ პამფლეტები — „გამოცანები“ დასწერა, რომლებშიაც ძველი თაობის წარმომადგენლები, მათ შორის გრიგოლ ორბელიანიც, არის გაკიცხული. „გამოცანები“ რუსულ ენაზედაც იყო თარგმნილი და მას ახალი თაობა ქართულსა და რუსულ ენაზე ავრცელებდა. პეტერბურგში ქართველი ახალგაზრდო-

ბა თავიანთ სადგომებზე „გამოცანების“ სპეციალურ განხილვასაც კი აწყობდა.

ვინაიდან პამფლეტები ბობოლა, ჩინოსან მოხელეებს ეხებოდა და მათი დაბეჭდვის ნებას არ იძლეოდნენ, ამიტომ სამოცდაათიან წლებში, როგორც აკაკი აღნიშნავს, „გაიშალა უცენზურო მწერლობა“; პამფლეტებს ალეგორიული ხასიათი ჰქონდათ და ხალხში ხელნაწერის სახით საიდუმლოდ ვრცელდებოდა. ისე რომ ცენზურას მათი აკრძალვის საშუალება წართმეული ჰქონდა. პამფლეტების ავტორის ვინაობა თუ რამდენად საიდუმლო იყო, ამას მოწმობს აკაკისადმი ს. მესხის წერილი. ს. მესხი აკაკის სწერს: „...თითქმის იმავე დროს გამოვიდა აქ „პასუხის პასუხი“. მშვენიერი რამ არის, მაგრამ კაცმა არ იცის — ვისია. თუ მანდ არ არის, მომწერე, დაგიწერ და გამოგიგზავნი. ამას ქუთაისშიაც ექნება ინტერესი“.

ჩვენი ფიქრით, ს. მესხმა კარგად იცოდა, რომ „პასუხის პასუხის“ ავტორი ი. ჭავჭავაძე იყო, მაგრამ იგი წერილში ილიას განზრახ არ ასახელებს, რადგან პამფლეტებს თავისებური პოლიტიკური პროკლამაციის ხასიათი ჰქონდა, ისინი ეხებოდნენ თანამდებობის პირებს, მათი საქმიანობის გაკიცხვა კი მეფის მთავრობის პოლიტიკური საქმიანობის გაკიცხვა იყო. ამ დროს არამცთუ პამფლეტები, არამედ მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც მეფის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, ხალხში უმთავრესად ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ამგვარად, „მაშინ განმტკიცდა უცენზურო მწერლობა“.

როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად ხალხში გავრცელდა ილია ჭავჭავაძის ალეგორიული ხასიათის სატირა — „გამოცანები“.

„გამოცანებში“ მარშალ რევაზ ანდრონიკაშვილზე აღნიშნულია, რომ „ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა იმას ფეხებზე ჰკიდია“. ამ შემთხვევაში ილიას მხედველობაში აქვს რევაზ ანდრონიკაშვილისა და მისი თანამოაზრეების თვითნებური შოქმედება, როდესაც მათ სახალხო საქმეს უღალატეს და

უნივერსიტეტის ნაცვლად ხელისუფლებას კადეტთა კორპუსის გახსნა მოთხოვეს.

ქართველ თავადაზნაურთა ეს უღირსი მოქმედება ი. ჭავჭავაძის სხვაგანაც აქვს აღნიშნული. 1871 წელს დაწერილ ნაწარმოებში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“, რომელშიაც მეცხრამეტე საუკუნეში თავადაზნაურთა მოქმედების ერთგვარი ისტორია არის მოცემული, ილია წერს:

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

ჩაიხიო-ბა გვასწავლეთ,—

მთავრობას ვეხეწებოდით.

სენატორ გიორგი მუხრანბატონზე „გამოცანებში“ ნათქვამია, რომ „თვით მაღლა ზის — ქვეყნის საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდია“. მაშინდელ წრეებში გავლენიანი თავადი, დიდი მემამულე ივანე მუხრანბატონი ისეთ პიროვნებად არის წარმოდგენილი, რომელიც ყველასა სძულს — „მაგრამ ყველა იმას ფეხებზე ჰკიდია“. ცნობილი ისტორიკოსი, „ძველის მცოდნე“, არქაისტი პლატონ იოსელიანი დახასიათებულია, როგორც კარიერისტი და „ყლაპია“. სახელმწიფო საბჭოს წევრი დიმიტრი ჯორჯაძე წარმოდგენილია, როგორც ქვემძრომი. ბესარიონ ლოღობერიძეზე, რომელიც ახალ თაობას გადადგომია, ილია აღნიშნავს:

ახლის აღთქმის კაცი იყო,

ესლა ქვემძრომი ხელიკია.

ახლისა და ძველის შუა

ის ჩატეხილი ხიდა,

ამ ტყუილ ბრძენსაც ქვეყანა,

ძმაო, ფეხებზედ ჰკიდია.

ბოლოს „გამოცანებში“ დახასიათებულია გუბერნიის სამმართველოს წევრი იასე ჭავჭავაძე და ყოფილი მეფის ნაცვალი, ინფანტერიის გენერალი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. თუმცა „გამოცანებში“ გამოყვანილი ყველა პირი ისეთებად არიან წარმოდგენილნი, რომელთაც მეტ-ნაკლებად „ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდიათ“, მაგრამ იასე ჭავჭავაძისა

და გრიგოლ ორბელიანზე აღნიშნულია, რომ მათ თავიანთი ქვეყანა გულთ უყვართ, მაგრამ რეალურად ქვეყნის სასარგებლოს არაფერს აკეთებენ. ხალხისათვის თავს არ იწუხებენ. გრიგოლ ორბელიანზე ილია წერს:

მთხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, ვულმბურვალე,
სიტყვატკბილი, კვეა მაღალი,
ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთევი ხილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია.

ილია ქვეყანაზე გრიგოლ ორბელიანს ასასიათებს, როგორც „კვეა მაღალს“ და „საქმით წმინდა“ ადამიანს. ილიას აზრით, ძველი თაობის ადამიანებად გრიგოლ ორბელიანი და დარჩენილა „გრძნობით სავსე, გონიერი“, იგი შემაერთებული ხიდის როლს ასრულებს ძველსა და ახალ თაობას შორის.

ლექსის მეორე ნაწილში კი გრიგოლ ორბელიანს საკმაო სიმკაცრით არის გაკიცხული. იგი დახასიათებულია როგორც მერყევი, „გაუბედავი“ პიროვნება, რომელსაც ზოგჯერ ქვეყნის ინტერესები „ფეხებზე ჰკიდია“.

ასეთია ილია ქვეყანას დახასიათებით გრ. ორბელიანის პორტრეტი. როგორც ჩანს, ილია ამ პერიოდში მას ასხვავებდა ჩამორჩენილი ძველი თაობისაგან და მას მაღალი კულის ადამიანად თვლიდა.

საერთოდ, ილია დიდი პატივისმცემელი იყო გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭის; ილიას ნაწარმოებებში ხშირად არის გრ. ორბელიანის ნაწარმოებებიდან ადგილები ციტირებული.

რატომ ასხვავებდა ამ დროს ილია ქვეყანაზე გრიგოლ

ორბელიანს ძველი თაობის ისევე წარმომადგენლებისაგან? ამ კითხვაზე სწორ პასუხს მივიღებთ, თუ განვიხილავთ ილიას „გამოცანების“ გამოხვედრად გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულებას ახალი თაობისადმი. ცნობილია, რომ თაობათა ბრძოლის პირველ საფეხებზე გრიგოლ ორბელიანს მონაწილეობა არ მიუღია, პირიქით, როგორც ეს აკაკის ფელეტონიდან, „ასმედ-ფაშა კასაბერი“ ირკვევა, იგი ამ დროს ახალ თაობას თანაუგრძნობდა. ახალი თაობაც მისი „თანამგზავნი“ და მასსახეობელი იყო“. გრიგოლ ორბელიანი მაშინ ახალი და ძველი თაობის შერეულობას ცდილობდა. ამიტომაც ილია მას „ძველისა და ახლის შემაერთებელ ხიდს“ უწოდებს. ილია და აკაკი გრ. ორბელიანს აფასებდნენ, როგორც ავტორს ლექსისას „ჩემს დას ეფემიას“, დევილ პოეტს, რომელიც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სამშობლოდან გაძევებული იყო. მართალია, შემდეგ იგი მეფის მთავრობის დიდი ჩინოსანი მოხელე გახდა, მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, რომ იგი სინამდვილეში თავისი ქვეყნის მოყვარულ, პატრიოტ პოეტს წარმოადგენდა.

შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ეჭვს „კრებულის“ 1871 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა გრიგოლ ორბელიანის პოემის „სადღეგრძელო“ სრული რედაქცია, რომელშიაც ნათლად გამოჩნდა გრიგოლ ორბელიანის იდეური სახე. ამავე წელს ეჭვს „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელაძემ, რომელიც თავით უშუალოდ მონაწილე იყო თაობათა ბრძოლის და ძველი თაობის მხარეზე იდგა. ცალკე წიგნად გამოსცა პოემა „სადღეგრძელო“. ამ პოემაში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი მონარქის ნიკოლოზ პირველის ქებას. პოეტი ნიკოლოზ პირველს მიმართავს:

თამარის დღენი,
დიდების დღენი,
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..
ღმერთო. გვისმინე,
მეფეს მოჰჟინე
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!

ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად.
მეფე გეიციოცხლე მრავალ-ჟამიერ!

1871 წლის „ცისკრის“ მეორე ნომერში რედაქციამ „ბაძაა დონიკის“ ფსევდონიმით გრ. ორბელიანის პოემა „სადღევრძელოზედ“ გამოაქვეყნა რეცენზია. რეცენზენტმა განსაკუთრებით შეაქო პოემის ის თავი, სადაც გრ. ორბელიანი რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს სოტბას ასხამს.

საერთოდ კი „გამოცანებში“ გამოხატული ძველი თაობის წარმომადგენლები ყველანი თვითმპყრობელობის ერთგული, დანსახურებული ჩინოსნები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა მხრით ხელს უწყობდნენ საქართველოში თვითმპყრობელობის პოლიტიკური სისტემის განმტკიცებას. ამას გარდა, მათ უკან მსხვილ მემამულეთა ინტერესები იმალებოდა, სინამდვილეში ისინი მათი ინტერესების დამცველნი იყვნენ. აი, ამ ძველი თაობის მეთაურის როლში გამოდის სამოცდაათიან წლებში გრ. ორბელიანი.

ესადა, რუსეთის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ახალი თაობა, „თერგდალეულები“, რომლებიც მეფის მთავრობის პოლიტიკურ სისტემას ებრძოდნენ, ამას ვერ შეურიგდებოდნენ.

გრ. ორბელიანმა თავს იღვა ილიას „გამოცანებში“. წარმოდგენილი ძველი თაობის დაცვა. როგორც ჩანს, მას არ ესიაპოვნა ილიას მიერ უნივერსიტეტის უარყოფლების გაკიცხვაც. მან დაწერა „გამოცანების“ პასუხი, რომელშიაც ახალი თაობის წარმომადგენლები, კერძოდ ილია ქავქავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი ყოველგვაროზომიერების დაცვის გარეშე არიან გალანძღული.

ეს ახალი თაობის მაგინებელი პამფლეტიც თავდაპირველად ზეპირად ვრცელდებოდა, მაგრამ შემდეგ გრ. ორბელიანმა იგი შეასწორა და „ძველი სემინარისტის“ ფსევდო-

ნიმიტ ეურ. „ცისკრის“ 1874 წლის ივლის-აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა. ამჯერად მან ეს თავისი შესწორებული პოლემიკური ლექსი დაასათაურა „პასუხი უღირსთა შუალებთა“. ლექსის ზეპირი ვარიანტი და ნაბეჭდი იდეური მიმართულებით, მხატვრული ფორმით ერთმანეთისაგან არა სეპიითად არ განსხვავდება, ოღონდ „ცისკარში“ განოქვეყნებულ ლექსში პოლემიკა შედარებით უფრო ზომიერ ფარგლებში მიმდინარეობს. აქ აღარ ვხვდებით ახალი თაობის მისამართით ასეთ უხეშ გამოთქმებს: „კოლო ბუშებო“, „ქკუიო გლაზებო“, „კატის კნუტებო“, „ვირი წავიდა, ვირი მოვიდა“, „გოგრა ცარიელ“, „უღონოებო, უსაქმურებო“, „თქვე ქაჩებო“, „ქიანველებო“ და სხვ., ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზეპირ ვარიანტში დასახელებული ახალი თაობის წარმომადგენლები ი. ქაქავაძე („ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“), აკაკი წერეთელი („აკაკიები, ბაკაკიები“), ნ. ნიკოლაძე („რიონელები“), გ. წერეთელი („გოგეტელები“) „ცისკრის“ ნაბეჭდ ვარიანტში აღარ არიან წარმოდგენილნი. ამათ ნაცვლად „ცრუ ლიბერალებსა“ და „ცრუ პოეტებს“ შორის პერსონალურად დასახელებულნი არიან გაზეთ „დროების“ რედაქტორი ს. მესხი, „დროების“ გამომცემელი სტეფანე მგლიჭიშვილი („მელიქ აღები“) და „დროების“ თვალსაჩინო თანამშრომელი დავით მიქელაძე („მეველე“). რა თქმა უნდა, ეს პოლემიკური ლექსი საერთოდ ეხება ახალ თაობას, „შვილებს“, და პირველ რიგში ილია ქაქავაძესა და აკაკი წერეთელს, როგორც ამ თაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი გრიგოლ ორბელიანს აშკარად, ბეჭდვით ორგანოში „ცრუ პოეტებად“ და „ცრუ ლიბერალებად“ ვერ გამოუცხადებია და მთელი სიმძიმე გაზეთ „დროების“ რედაქციაზე გადაუტანია. გრ. ორბელიანიც ახალ თაობას „ცრუ ლიბერალნი“ და „ცრუ პოეტები“ უწოდა, ხოლო მათი ქართველი ხალხის აწმყოსადმი „დახელმწიფება“ საქართველოს დამცირებად მიიჩნია.

ასეთი იყო ძველი თაობის პოზიციები ახალი თაობის მიმართ. როგორც ცნობილია, ამას მოჰყვა ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“. ამავე დროს ამ ლექსში ი. ჭავჭავაძე იქ-ლევა ახალი თაობის, „შვილების“ მსოფლმხედველობას. ლექსი დაყოფილია ხუთ თავად. პირველ თავში „ძველი თაობა“, „მამები“ დახასიათებული არიან, როგორც ქვეყნის ორგულები, რომლებმაც ქვეყნის ინტერესები თანამდებობაზე, ჩინებზე გაცვალეს... ილიას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ მის მიერ „გამოცანებში“ და „კიდევ გამოცანებში“ გაციცხული ძველი თაობის წარმომადგენლები მეფის მთავრობის დამსახურებული ბოზოლა მოხელენი იყვნენ, ისინი სამშობლოს, ხალხის თავისუფლებისათვის კი არ ზრუნავდნენ, არამედ საქართველოში თვითმპყრობელობის პოლიტიკას ამტკიცებდნენ. ამიტომაც ილია მათზე წერს:

ჩვენი ქვეყანა
მკვდარი თქვენგანა.
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია;
ლიბერალობა,
პატრიოტობა
საღანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული /
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდა.

მეორე თავში „მამები“ და „შვილები“ დაპირისპირებულ ძალებად არიან წარმოდგენილნი; „მამები“ თანამდებობებზე დაწინაურდნენ, როგორც მეფის მთავრობის ერთგულები. საქვეყნო საქმეებისათვის ისინი თავს არ იწუხებენ და განცხრომით ცხოვრობენ. სამაგიეროდ, სახალხო საქმეებზე ზრუნვა თავს იღვა. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ანლად გამოსულმა თაობამ, „შვილებმა“. ამიტომ გასაგებია, რომ პირველნი „გაბლენძილები“ არიან, ხოლო მეორენი „მოკუნტულები“.

ასეთი პასუხი გასცა ახალი თაობის სახელით ი. ჭავჭავაძემ ძველი თაობის შეთაურს გრ. ორბელიანს. როგორც

აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“, „კიდევ გამოცანე-
 ბი“, „პასუხის პასუხი“ ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა.
 ცენზურამ ი. ჭავჭავაძეს საშუალება არ მისცა ამ ლექსების
 გამოქვეყნებისა. ეს აშკარად ჩანს ცენზორის წარწერიდან. აღ-
 ნიშნული ლექსები მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ გა-
 მოქვეყნდა. სამაგიეროდ, გრიგოლ ორბელიანი და მისი თა-
 ნამოაზრეები დიდა თავისუფლებით სარგებლობდნენ. მეფის
 ცენზურა მათ მხარს უჭერდა, ჟერ. „ცისკარის“ რედაქტორი
 ივანე კერესელიძე, რომელიც თავიდანვე ძველი თაობის მხა-
 რეზე იღვავდა. ორბელიანის ნაწერებს, აზრებს „ცისკარის“
 ფურცლებზე თავისუფალ გასაქანს აძლევდა. მართალია, გრი-
 გოლ ორბელიანის ლექსი „პასუხი უღირსთა შვილთა“ თავ-
 დაპირველად ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, მაგრამ მან
 იგი „ცისკარის“ 1874 წლის ნომერში თავისუფლად გამოაქვე-
 ყნა. ამ გარემოებას თაობათა ბრძოლის დახასიათებისათვის
 გარკვეული მნიშვნელობა აქვს. „ახალ თაობას“ მეფის ცენ-
 ზურა ზღუდავდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილია ჭავჭა-
 ვაძის ლექსი „პასუხის პასუხი“, როგორც ეს გრიგოლ ორბე-
 ლიანის გამოქვეყნებულ ლექსის „პასუხი უღირსთა შვილ-
 თას“ პირველ ვარიანტთან შედარებამ გვიჩვენა, პასუხია
 არა „ცისკარში“ გამოქვეყნებული, შესწორებული ლექსისა.
 არამედ თავდაპირველი. ზეპირი ვარიანტისა — „გამოცანების
 პასუხი“, რომელშიაც გრიგოლ ორბელიანს ილია ჭავჭავაძე და-
 კავი წერეთელი პირადად ჰყავს მოხსენებული. შემდეგ ილიას
 ახალი არაფერი დაუწერია, არც „პასუხის პასუხი“ შე-
 უსწორებია, ისე უცდია მისი გამოქვეყნება, მაგრამ, როგორც
 აღვნიშნეთ, მან ამ მიზანს ვერ მიაღწია.



თაობათა შორის უთანხმოების ამ საფეხურზედაც აკაკიმ
 აქტიური მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში. იგი ამ დროს ქუ-
 თაისში ცხოვრობდა და იქიდან თანამშრომლობდა გაზეთ
 „დროებაში“, რომელიც მაშინ ახალი თაობის ორგანო იყო.

გაზეთ „დროების“ შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი-
ამჟამად კი სამოცდაათიან წლებში გამართულ თაობათა
ბრძოლაში აკაკის მონაწილეობის შესახებ აღვნიშნავთ.

თაობათა შორის უთანხმოების გამომხატველმა ლექსებმა
გავრცელება ჰპოვეს მთელ საქართველოში, კერძოდ ქუთაის-
შიაც. ამ ბრძოლაში აკაკი ქუთაისიდან ჩაება. მან 1872
წელს ძველი თაობის ნეთაურის გრ. ორბელიანის წინააღმ-
დეგ დაწერა ლექსი „ხარაბუზა ლენერალს“, ამ ლექსში
მძაფრ სატირულ ფორმაში დაფარულად გადმოცემულია გრ.
ორბელიანის პიროვნება. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ
დაბეჭდილა, მაგრამ იგი ზეპირად ვრცელდებოდა და თავის
დროზე იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რომ,
როგორც პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, ეს
ლექსი ნახევარი საუკუნის შემდეგ ზეპირად ცოდნია ვალე-
რიან გუნიას, კოლა ერისთავს და ს. მერკვილაძეს და მათგან
ჩაუწერია¹. ამ ლექსის პოპულარობას მოწმობს აგრეთვე
ანტონ ფურცელაძის 1879 წლის 30 ნოემბრის წერილი, რო-
მელშიაც აკაკისთან კამათის დროს ანტონი წერს: „აიღეთ
ახლა ნეორე ლექსი, რომელიც თუმცა არ დაიბეჭდა, მაგრამ
დაბეჭდილზედ უფრო გავრცელება მიეცა, ლექსი „იარანალ
ხარაბუზა“.

„ხარაბუზა ლენერალში“ იგულისხმება პოეტი-გენერალი
გრ. ორბელიანი. იგი ამ ლექსში დახასიათებულია, როგორც
ორპირი, გაორებული პიროვნება, რომელსაც ერთი მხრით
პოეზიაში სამშობლოს პატრიოტად მოაქვს თავი, ხოლო
მეორე მხრივ „სპარსულ კაბას“ იცვამს და „მოლას“ როლში
გამოდის, საქმით თვითმპყრობელობას ემსახურება. გრ.
ორბელიანის სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება. აკაკი
გრ. ორბელიანზე წერს:

ჩვენთან რკბილო, ვით შაქარო,
ტკბილ ლექსე'ის ფეიქარო!
აკაცა ხარ, იქაც ხარო,
გულფუტურო და თავქარო!

¹ „ლიტერატურული გაზეთი“, №5, 1935.

ორბევი, ვით დამკნარი ბზა,
იარანალ ხარაბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
ბზხუ, ბზხუ, ბუნა-ბუნა!

აკაკი წერეთელმა ამ ლექსში ხმა აღიმალა გრ. ორბელიანის პასუხის პირველ ვარიანტში შეურაცხყოფილი ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის დასაცავად-ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ლექსში ერთი თავია გამოყოფილი.

ი. ჭავჭავაძე წარმოდგენილია, როგორც ახალ გზაზე მავალი მეზობლი, რომელმაც დამონებელთა წინაშე გრ-ორბელიანივით ჭედი არ მოიხარა, ანდა. აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, გრ. ორბელიანივით „ვერ წაიკუზა“:

იმ ლიბერალს. ბერძენით მრჯელს,
რად უპრაზნე მრისაწეუ თვალს?
ის იხდის ფალს და თქვენსა კვალს
არ აღირსებს თავის ნაწილს,
თქვენსავეთ ვერ წაიკუზა,
იარანალ ხარაბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
ალაოა გყავს შენი ნუნა!
ბზხუ, ბზხუ, ბუნა-ბუნა!

აკაკიმ 1872 წელს დაწერა და ამავე წელს „მაიათა“ და „შვილთა“ პოლემიკის დროს ქუთაისიდან „მამების“ წინააღმდეგ გაზ. „დროებაში“ გამოაქვეყნა ფელეტონი — „ანმედ-ფაშა კახაბერი“, რომელიც ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებია. მასში მწერალი თითქოს მოგვითხრობს ოსმალეთის მონობაში მყოფ საქართველოს სამთავროს გათათრებული მთავრის „ანმედ-ფაშა კახაბერის“ სამშობლოსადმი მოღალატეობის, მისი ფარისევლური საქმიანობის შესახებ. ნამდვილად კი ფელეტონში საუბარია პოეტ გრიგოლ ორბელიანის „შვილებისადმი“, სახალხო საქმეებისადმი დამოკიდებულებაზე. ამ ფელეტონში აკაკი იყენებს იმ ალეგორიულ ხერხს, რომელიც ცენზურის თვალის ასახვევად მან

უართოდ გამოიყენა მწერლობაში. როგორც აღვნიშნეთ, ა. ჭავჭავაძემ ვერ შეძლო ძველი თაობის წინააღმდეგ დაწერილ პოლემიკური ლექსების გამოქვეყნება; აკაკიმ კი ალევორიული ხერხის წყალობით უფრო მოახერხა შენობვა და „ღრუბაში“ დაბეჭდა ძველი თაობის წინააღმდეგ მიმართული ფელეტონი — „ახმედ-ფაშა კახაბერი“. ვინაიდან ეს ფელეტონი გამოქვეყნდა და გაზეთის საშუალებით საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა, ამიტომ მას მაშინ, ძველი თაობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას გარდა, ამ ფელეტონში, ჩვენი ფიქრით, ალევორიულ ფორმაში გადმოცემულია თაობათა შორის ბრძოლის განვითარების საფესურები; რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამ ფელეტონს ჩვენ ქვემოთ ვრცლად შევცხებით.

თუ ჩვენ ფრჩხილებს გავსვით და ალევორიულ სამისელში გახვეულ ნამდვილ აზრს გამოვამჟღავნებთ. მაშინ ფელეტონის — „ახმედ-ფაშა კახაბერის“ შინაარსი აშკარად წარმოგვიდგება: ფელეტონის დასაწყისში აკაკი გრიგოლ ორბელიანს ახასიათებს, როგორც კარიერისტს, რომელიც „დიდებულის დივანის“ წყალობით „უმადლეს ხარისხამდეა აყვანილი“. მართლაც, ამ დროს გრიგოლ ორბელიანი დიდი ჩინოსანი იყო, დაჯილდოებული იმპერიის თითქმის ყველა ორდენით. „მართალია, — წერს აკაკი, — იგი ამ ორმოცი წლის წინათ მცირე მიზეზის გამო, მოაშორეს სამშობლოს“, მაგრამ შემდეგ „იქიდან დაბრუნებულმა, ისეთი ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა“, რომ „გულუხვად დააწინაურეს თავის ტომში“. ფელეტონის ამ ნაწილში საუბარია გრიგოლ ორბელიანის 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ, რისთვისაც იგი ვასახლებული იყო საქართველოდან. აღსანიშნავია, რომ აკაკის გრ. ორბელიანი არ მიაჩნია 1832 წლის შეთქმულების აქტიურ მონაწილედ, ამიტომაც იგი წერს: მცირე მიზეზის გამო, ის მოაშორეს თავის სამშობლოს და უცხო ქვეყანაში გაგზავნეს“. ამ შესავლის შემდეგ აკაკი

ეხება გ. ორბელიანის ურთიერთობას ძველ თაობასთან. აკაკი იწყებს იმ დროიდან, როდესაც პირველად სამოციან წლებში გაიშალა უთანხმოება „ძველსა და ახალ თაობას“ შორის. იგი წერს: „როდესაც ახალმა სულთანმა სხვადასხვა ცვლილებები შემოიღო ამ ქვეყანაში, ახალი თაობა აღტაცებით მიეგება იმ ცვლილებებს და, რითაც კი შეიძლებოდა, საქმით თუ სიტყვით, ამ კანონების აღსრულებაში ზოყვანას სცილობდა, მაშინ, როდესაც ძველი თაობა, გულდაწყვეტილი ამ ცვლილებებზედ, ცხადად რომ ვერ აცხადებდა თავის უკმაყოფილებას გულში იკლავდა და ეძებდა შემთხვევას, რომ როგორმე თავისი ნაღველი წამოენთხია და გულისბუხარი ვისმეზედ ამოეყარა“.

ისმება კითხვა, სამოციან წლებში, როდესაც ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის პირველად დაიწყო ბრძოლა, საქართველოში რა ცვლილებები მოხდა, რა კანონები გატარდა ისეთი, რომელსაც „ახალი თაობა აღტაცებით მიეგება“, ხოლო „ძველ თაობაში“ უკმაყოფილება გამაიწვინა? უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია საგლეხო რეფორმებზე, რომლის გატარება საქართველოში 1864 წელს დაიწყო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი თაობა მოითხოვდა ნაგლეხობის განთავისუფლებას მიწით. რის გამო ისინი რეაქციონერების ბანაკში უკმაყოფილებას ბადებდნენ.

ამ შემთხვევაში, რაზედაც აკაკი წერეთელი მიუთითებს. იმას ნიშნავს. რომ ძველი თაობა ბატონყმობას იცავდა, თუმცა ისინი თაობათა ბრძოლის დროს თავიანთ წერილებში, რომლებიც ახალი თაობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამას აშკარად არ გამოხატავდნენ. მაგრამ მათი საერთო პოზიციებიდან ეს ბუნებრივად გამომდინარეობდა. საერთოდ, ბ. ჯორჯაძე, ა. ორბელიანი, დ. ბერიძე (ბერიევი), გ. ბარათაშვილი ბატონყმობას იცავდნენ.

როგორ მოიქცა ძველი თაობა ახალი თაობის მიმართ? აკაკი წერს: „ჩვეულებრივის ფაროსეველობით, იმათ პირ-ღრმილით მიიღეს ეს კანონები, მაგრამ ახალი თაობის დაუძი-

ნარას მტერობითა და შურით კი აღივსო. მაგრამ რა ექნა? როგორ უნდა მოქცეულიყო? იმას ხომ ვერ იტყოდა, თუ ამისათვის ვსდევნი ახალ თაობასო, და მიზეზები გამოიგონა: 1. ვითომც ახალ თაობას სარწმუნოებაზედ ხელი აეღოს, რადგანაც იცოდა, რომ ამ ცილისწამებით მღაბალ ხალხს მოატყუებდა და ახალ თაობაზედ ნდობას დაუკარგავდა; 2. ამტკიცებდა უსინდისოდ, რომ ახალი თაობა მმართველობის განკარგულებას ეწინააღმდეგებო და სხვანი“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ძველ თაობას ახალი თაობის მიმართ პირდაპირ ვერ წამოუყენებია ბრალდება, რომ ისინი ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძვიან. მაშინ საერთო სიტუაცია ისეთი იყო, რომ ეს მათ არ შეეძლოთ, ხალხის ეწინოდათ. სამაგიეროდ, სხვა მათთვის უფრო ხელსაყრელი ბრალდებები განიოუნახავთ; ძველი თაობა ასაბუთებდა, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები ურწმუნოები არიან და მეფის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძვიანო. ამგვარი გზით დაუწყეს „დევნა მოუსვენრად ახალ-თაობას სიტყვით თუ საქმით“. როგორც აკაკი აღნიშნავს, ახალი თაობა არ შედრკა: „...მოთმინებით წინააღმდეგ იმ დევნას და არ შესცვალა გზა თავის პატიოსნურ მსვლელობისა. თუ რა ტანჯვა გამოიარეს იმათ, იმას ნულარ მოვიგონებთ, რადგანაც მოგონებაც კი კმარა გულის ასაძგერებლად“.

როგორი პოზიციები ეჭირა გრიგოლ ორბელიანს თაობათა ბრძოლის ამ პირველ საფეხურზე? აკაკი აღნიშნავს — თუმცა მას „საქმით არაფერი გაუკეთებია, მაგრამ სიტყვით კი თანამგრძობი იყო ახალი თაობის, სხვებსავით გზაშე მტერად არ უდგა მას“, და ახალგაზრდობაც გრიგოლ ორბელიანს დიდად აფასებდა.

მართლაც, მესამოცე წლებში, ახალ თაობასა და ძველ თაობას შორის ბრძოლის პირველ ეტაპზე, გრ. ორბელიანი უფრო ახალ თაობას თანაუგრძობდა. მაგრამ საქმით იგი მესამოცე წლებში ვერ ბედავდა ახალი თაობის გამოსარჩელებას და ამ ორი მოწინააღმდეგე თაობის შერიგებას ცდი-

ლობდა. ი. მეუნარგიას გადმოცემით იგი იტყოდა ხოლმე: ჩვენი უთანხმოების შესახებ „ზევით არ უნდა გაიგონ თორემ ჩვენთვის არ ივარგებსო“. ამიტომ იყო, რომ ახალი თაობის იდეერმა ბელადმა ი. ჭავჭავაძემ გრიგოლ ორბელიანს თავის „გამოცანებში“ „ძველსა და ახლის შუა შემაერთებელი ხიდი“ უწოდა. ამასვე ამბობდა გრ. ორბელიანზე აკაკი.

მაგრამ გრიგოლ ორბელიანი ყოველთვის ამ პონიციუბზე არ დარჩენილა. სამოცდაათიან წლებში, — აღნიშნავს აკაკი, — მან ბოროტად გამოიყენა ახალთაობის ნდობა, გადაუდგა მათ და სახალხო საქმეს უღალატა.

ამ შემთხვევაში აკაკის მხედველობაში აქვს ძველი თაობის, კერძოდ გრიგოლ ორბელიანის, არასწორი მოჭმელება, როდესაც მან, როგორც ზენით აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის ნაცვლად სამხედრო სასწავლებლის გახსნა მოითხოვა. სახალხო საქმისადმი ორგულობამ ახალი თაობა დაუპირისპირა გრიგოლ ორბელიანს.

აკაკი წერს, რომ ამის შემდეგ ახალი თაობა განსაკუთრებით ააღელვა გრიგოლ ორბელიანის „ეპისტოლეში ახალგაზრდობისადმი“. ამ შემთხვევაში აკაკის მხედველობაში აქვს გრ. ორბელიანის „გამოცანების პასუხი“ მიმართული ახალი თაობის წინააღმდეგ, სადაც აკაკიც იყო მოხსენებული. ახალმა თაობამ „გამოიტირა თავისი სასოებაბერი“, ე. ი. გრიგოლ ორბელიანი და დაუნდობლად აჩხილა იგი.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ფელეტონიდან ჩანს, ახალ თაობას თავიანთ შეკრებაზე განუხილავს ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“ და გარდა ორი პიროვნებისა ყველა დამსწრე თანახმა გამხდარა „იმ პასუხისა“, რომელიც ახალი თაობის სახელით ი. ჭავჭავაძემ გასცა გრიგოლ ორბელიანს. ამ შეკრებაზე ახალი თაობიდან ერთ პიროვნებას შემონებია ძველი თაობის წარმომადგენლების, როგორც დიდი ჩინოსნებისა, და განუცხადებია: „მე სრულიად თანახმა ვართქვენნი, მაგრამ რადგანაც მე სამსახურში ვარ და მაღალი

ადილი მიჰკირავს, მეშინია ცხადად თანაგრძნობისაო... ჩვენის ფიქრით ეს პიროვნება, რომელიც გადადგომია ახალ თაობას, ბესარიონ ღოღობერიძე უსდა იყოს. ამას ადასტურებს ფელეტონის ის ადგილი, სადაც პირდაპირ აღნიშნულია, რომ ბესარიონ ღოღობერიძემ ახალ თაობას უღალატა და „ძველ თაობას“ მიუდგაო, აგრეთვე ილია ქაეკვაძის „გამოცანებას“ ის ადგილი, სადაც ბ. ღოღობერიძე ძველსა და ახალ შორის ჩატეხილ ხიდად არის წოდებული. ორივე მოღალატე ახალ თაობას გაუძევებია კრებიდან.

ამის შემდეგ ფელეტონს ბოლოში თან ერთვის სატირა — ლექსი „ფარშავანგი“, რომელშიაც კვლავ ალევგორიულ ფორმაში გამოხატულია გრ. ორბელიანი. ამ ლექსის შესახებ გაზ. „დროების“ რედაქტორი ს. მესხი აკაკის სწერდა ქუთაისში: „აკაკი, თუ ძმა ხარ, მალე გამომიგზავნე ერთი ისეთი ფელეტონი, რომ შენი მშვენიერი ლექსი (დათვი ორბელიანი) მოვაბა ზედ...“ როგორც ჩანს, აკაკის გაზ. „დროებისათვის“ ჯერ ლექსი „დათვი ორბელიანი“ გაუგზავნია გამოსაქვეყნებლად, შემდეგ აღნიშნული ფელეტონი, რომლისთვისაც ბოლოზე დაურთავს ლექსი „დათვი ორბელიანი“, ანუ იგივე „ფარშავანგი“.

ლექსი „ფარშავანგი“, ისე როგორც ამ ფელეტონის პროზაული ნაწილი, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გრიგოლ ორბელიანი ალევგორიულ ფორმაში წარმოუდგენილია ფარშავანგის სახით, რომელსაც „კარგი გულისათვის“ ყველანი უმღეროდნენ. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. ეს საარაკო ფრინველი, ე. ი. გრ. ორბელიანი, შეიცვალა. ფარშავანგის ნაცვლად ახალგაზრდობას „დათვი ორბელიანი“ მოევლინა. პოეტი ასეთი მიმართვით ამთავრებს ლექსს:

გვასწავლეთ, საით გაფრინდა
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი
და ნოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორბელიანი.

ასე დაახასიათა სამოცდაათიან წლებში აკაკიმ ფელეტონში: — „ახმედ-ფაშა კახაბერი“ „ძველი თაობა“ და მისი მეთაური გრ. ორბელიანი.

აკაკის ამ ნაწარმოების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია შემდეგი ხასიათის დასკვნები გავაკეთოთ: თაობათა ბრძოლის პირველ საფეხურზე, სამოციან წლებში თაობათა შორას წინააღმდეგობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ბატონყმობის საკითხი იყო. ახალი თაობა მხარს უჭერდა ბატონყმობის მოსპობას, ყმა-გლეხობის მიწით განთავისუფლებას. ამის გამო „ძველი თაობა“, რომლის უკან მაშინ მსხვილ ნიჭ ბატონეთა ინტერესები იმალებოდა, თუმცა ახალი თაობის წინააღმდეგ გალაშქრებას აშკარად ვერ ბედავდა, მაგრამ სხვა მხრით ამის გამო მათ დევნიდა; იმისათვის, რომ ხალხში ახალი თაობისათვის ნდობა დაეკარგათ, ძველი თაობა მათ აცხადებდა ურწმუნოებად, ხოლო მეფის მთავრობა რომ ახალი თაობის წინააღმდეგ წაექეზებინათ, „ამტკიცებდნენ“ ახალი თაობა „მმართველობის განკარგულებას ეწინააღმდეგებო“.

თაობათა უთანხმოების ამ საფეხურზე გრ. ორბელიანი, თუმცა საქმით აქტიურად არ ჩაბმულა ამ ბრძოლაში, მაგრამ, როგორც აკაკი აღნიშნავს, იგი „გულით“ და „სიტყვით“ ახალი თაობის მხარეზე იდგა. სამოცდაათიან წლებში გრ. ორბელიანი ახალ თაობას გადუდგა და ძველი თაობის მეთაურობა იკისრა.

გაზ. „დროების“ 1875 წლის იანვრის ნომერში აკაკიმ გამოაქვეყნა ვრცელი ლექსი „ძველი და ახალი წელი“. ლექსში შეფასებულია განვლილი 1874 წელი და მომავალი 1875 წლის მიმართ სურვილებია გამოთქმული. ეს ის დროა, როცა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის უთანხმოება ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი. ამ ლექსში აკაკი განვლილი წლის შემფასებლად, ისე როგორც ეს დამახასიათებელია მისთვის, წარმოგვიდგენს ხალხის წარმომადგენელს, მესტიერეს, რო-

შელიც მეფის მოხელეებს გვიხატავს პირუტყვების: „ბატონი
შელას“, ძაღლების, მგლების და დათვების სახით.

შვიდი მგელი კიდევ სხვა გვყავს,
თითო თითოს მაზრებშია,
ყველა ერთად ბოდიშს იხდის
ქუთასა და აზრებშია!
მათი ნაშრომ-ნაღვაწევი
ბევრჯერ ვნახეთ ბაზრებშია,
ერთი მათშიც ურევია
კარგი, როგორც ფაზრებშია!..

აი ამ „შვიდი მგლის“ დახასიათების შემდეგ, რომელ-
შიაც, ჩვენი აზრით, მაშინდელი შვიდი მაზრის უფროსი
უნდა იგულისხმებოდეს, აკაკი ცალკე წარმოგვიდგენს
„დათვს“:

გაჩუმდებით, არას ვიტყვით
იმ ერთ დათვის ნახლებზედა,
როელსაცა იმედი აქვს
დღესაც კარის ძაღლებზედა,
და უძახის: „გეში! გეში!“
თითს უშვერს მათ სახლებზედა,
და ძველებთან გადასული
კბილს იღესავს ახლებზედა!..

ვინ იგულისხმება „დათვი“, რომელსაც დიდი იმედი
აქვს იმ „კარის ძაღლების“, რომელთაც ის უსისინებს ახალ
თაობას. ჩვენ ფელეტონის „ახმედ-ფაშა კახაბერის“ განხილ-
ვისას ვნახეთ, რომ აკაკი „დათვს ორ-ბელიანს“ უწოდებდა
გრ. ორბელიანს. მასვე იგი ამ დროს თვლიდა ახალი თაობის
მოწინააღმდეგედ. ისე რომ გრ. ორბელიანი, რომელიც ამ
დროს კარიერის უმაღლეს მწვერვალზე იყო ასული, ამ ნა-
წარმოებში წარმოდგენილია, როგორც ახალი თაობის წი-
ნააღმდეგ მეფის მთავრობის ერთგული მოხელეების წამქე-
ზებელი. ხალხი მესტვირის პირით იმედს გამოთქვამს, რომ
ახალი წელი მათ გასული წლის წყლულებს მოუშუშებს.

ამგვარად, 1874 წლის შეფასებისას აკაკიმ არ დაივიწყა

ქველი თაობა, განსაკუთრებით გრ. ორბელიანი და მას მეფის მთავრობის სხვა ბობოლა მოხელეებთან ერთად გაჰკრა თავისი სატირის ბრწყალეები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრ. ორბელიანმა თავისი პოლემიკური ლექსი „გამოცანების პასუხი“ შესწორებული სახით 1874 წელს „ცისკარში“ გამოაქვეყნა. გაზ. „დროების“ რედაქტორი ს. მესხი 1874 წლის 15 ოქტომბერს ქუთაისში აკაკის სწერდა: „გიგზავნი გრ. ორბელიანის ახალს, მაგრამ ძველ კილოზე დაწერილს ლექსს ჩვენზე და შენ იცი, როგორ მახვილსა და შხამიან პასუხს დაუწერ და გამოგზავნი. ეს ლექსი უკანასკნელ „ცისკარში“ იბეჭდება“. ს. მესხის თხოვნა აკაკი წერეთელმა შეასრულა. გაზ. „დროების“ 1875 წლის 8 იანვრის ნომერში გამოაქვეყნდა აკაკის სატირული ხასიათის ფელეტონი „პატრიოტის აღსარება“, მიმართული კვლავ ძველი თაობის წინააღმდეგ. ეს ფელეტონიც ალეგორიული ხერხითაა დაწერილი. მასში დაფარულად არის გადმოცემული ძველი თაობის მისწრაფებები და ახალი თაობის პოზიცია ამ მისწრაფებათა მიმართ. ფელეტონის პროზაულ ნაწილში აკაკი ოსტატურად ააშკარავებს ძველი თაობის შენიღბულ სახეს. ისინი ქართველ საზოგადოებას თავს აჩვენებდნენ პატრიოტებად, სინამდვილეში კი მხოლოდ თავიანთი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, „ჭამა-სმაზე“ ზრუნავდნენ. ეს ვითომ პატრიოტები სუფრაზე ღვინით შეზარხოშებულნი ცარიელი სიტყვებით იჩემებენ სამშობლოს სიყვარულს. აკაკი გრ. ორბელიანის დასახსრათებლად ოსტატურად იყენებს თვით გრ. ორბელიანის ლექსის „იარალის“ იმ ნაწილს, სადაც პოეტი მწუხარებას გამოთქვამს ძველებური ღვინის დაკარგვის გამო. აკაკი ფელეტონში ურთავს ლექსს „ბობოლების ბაიათი“, რომელშიაც გადმოგვცემს ძველი თაობის, ან როგორც აკაკი მათ უწოდებს, „ბობოლა“ ჩინოსნების მიმართვას ახალი თაობისადმი. როგორც აქედან ჩანს, ძველი თაობა ახალ თაობას ურჩევს, მიჰბაძოს „მამებს“, ბრძოლას თავი დაანებონ, უხეშ

„ძალას დაემონონ“ და სამშობლოს მონურ მდგომარეობას შეეგუონ.

„შვილები“ წინააღმდეგენ „მამებს“. ფელეტონს ბოლოში ერთვის „მამებისადმი“ „შვილების“ პასუხი, სათაურით: „კოლო-ბუზების პასუხი“. აქაკი ამ მიმართებით ხასიათის ლექსში აღნიშნავს, რომ „მამებისა“ და „შვილების“ მსოფლმხედველობა სხვადასხვა გზით მიიმართება, რომ მათ საერთო არაფერი აქვთ:

შენ რომ გზა გაგივლია,
ის ჩვენ აღარ გვარგია;
და ის ჩვენთვის ცუდია,
რაც რომ თქვენთვის კარგია!

კოლო ვართ, თქვენ ბობოლა!
მამ ჩვენ ვინ გაგვატოლა?
ჩვენ ბზუილი შეგუშვენის,
თქვენ გვერდზე წამოწოლა.

თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა,
არა გვაქვს რა საერთო
მის მეტი, რომ ჩვენ კენესას,
თქვენგან ცილიც დაერთო!

ძველი თაობა მოქმედების ნაცვლად „გვერდზე წამოწოლილა“, „ბობოლები“ გამხდარან, „სხვას უქსოვენ სამოსელს“. ახალი თაობა, გმობდა რა ძველი თაობის ასეთ საქციელს, შეუდრეკლად იდგა ქართველი ხალხის ცხოვრების განახლებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე. მათ სწამდათ გამარჯვება:

ჩვენ, ქუდმოხდილ-ფეხშიშვლებს,
არ გვიდრკება გულები,
სანამ თვალწინ გვიდგიან
პირველმოციქულები,
ხლაპრად თქმულა, რომ დიდ ღოგს
კოლო არ შეუშინდა
და კიდევ დაამარცხა
ცხვირში რომ შეუფრინდა!

და ბობოლას ომი კი
არვის გაუგონია!..
ის სხვას უქსოვს სამოსელს
და მით თავმომწონება!“

ცხოვრების ვითარებას ჩამორჩენილი ძველი თაობა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზიდან უნდა გავიდეს, მან გზა უნდა დაუცალოს ხალხის მომავლისათვის მებრძოლ ახალ თაობას:

მიმავალნო მშვიდობით!
გზა გვიტოვებ მომავალს!
რად სწუხდებით რჩევისთვის?
ჩვენ ვპოვებთ ჩვენს გზა და კვალს...

ასეთი იყო სამოცდაათიან წლებში აკაკის დამოკიდებულება „ძველი თაობისადმი“. იგი მათ დაუნდობლად ამხელდა, როგორც ცრუ პატრიოტებს.

იმის გამო, რომ თავადაზნაურობის ბობოლა წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის ნაცვლად სამხედრო სასწავლებლს გახსნა და ვალების პატიება მოითხოვეს, ანტონ ფურცელაძეს ოთხმოციან წლებში დაუწერია მათი მამხილებელი „ტრაგიკომედია“ „ვითხოვოთ“!.. ნაწარმოებში სასაცილოდ არის აგდებული თავადაზნაურთა კრება, მათი წარმომადგენლები, რომლებიც მაშინ ქართველი ხალხის ინტერესების მოლალატის როლში გამოვიდნენ. ანტონ ფურცელაძემ, მსგავსად ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლისა, ამ ნაწარმოებში სააშკარაოზე გამოიტანა მათი უღირსი საქციელი.

მეოთხე მოქმედებაში ა. ფურცელაძე სატირულ-კომიკურ ფორმაში წარმოგვიდგენს თავადაზნაურთა იმ კრებას, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თუ ქართველ თავადაზნაურობას რა უნდა ეთხოვა საქართველოში ჩამოსული იმპერატორისათვის. ამიტომაც ამ პიენისათვის ა. ფურცელაძეს შეუტყმევია „ვითხოვოთ!“.

კრებას ხსნის მათი წინამძღოლი გორჯასპი, რომელიც თავის შესავალ სიტყვაში თავადაზნაურთა გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ წარყენილი ენით ლაპარაკობს.

გორჯასპი: „მე ჩემი რეჩი უნდა მოგახსენოთ ამ ჩვენს ობზრესტ-ენი ნუჟდებზედ. დიდს განსაცდელში ვართ, თუ ჩვენს თავს სპასენიე არ-აღმოუჩინეთ. თითო სემეისტვოს ათასი ნუჟდა გვაქვს. თითო სემეისტვოს. რომ ჩეავერი ობლულჩენიე მიცვტო, ესეთი ზასლულა იქნება, რომ პროს-ტო ჩუდო... ჩვენს ნაციას, ჩვენს სასლოვიეს, დიდათ ბლალოსკნოლათ უყუ-რებენ... მნოლოე, მნოლოე ობეშჩანო.

ხელიკიკო: ჩვენი მრავალქამიერი მათ დიდათ იამათ. იმათი ობეშ-ჩანიები ხომ ჩვენ უფრო გვიამა. ჩვენ უმღერეთ, მათ იამათ, დაგვიბრდნენ და ჩვენც გვიამა, სხვა რალა გინდათ.

ასეთ ფორმაში მიმდინარეობს თავადაზნაურთა კრება. მდივანი კრებას აცნობს იმ მოთხოვნილებებს, რომელიც თავადაზნაურთ სურთ თხოვნის სახით წარუდგინონ ხელისუფალთ. ზოგი რას თხოულობს და ზოგი რას, სახალხო ინტერესები მათთვის არ არსებობს.

თავადაზნაურთა ერთი ჯგუფი მოითხოვს, რომ კატორ-ლიდან გაანთავისუფლონ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ვადები. ორატორი კიკო ივანეს უდანაშაულობას „ფილოსოფიურად“ ასაბუთებს“, მისი აზრით, „ქვეყნად თუ ყველაფერი მოჩვენება ყოფილა, და არა ნამდვილი, მაშინ ივანე მტარვალი რათ უნდა იდევნებოდეს ამ საქმისათვის, რომელიც არის მოჩვენება და არა ნამდვილი. ამის გამო ჩვენ გვაწევს ჩვენი პატრიოტული გრძნობა, რომ ვითხოვოთ, დაუბრუნონ ჩვენს დაობლებულ ქვეყანას ჩვენი სახელოვანი და დაუფიწყარი კნიაზი ივანე“. კრების სხვა წევრებიც მოითხოვენ ივანეს განთავისუფლებას.

კრებაზე პროგრესულად გამოიყურება „სტრიკულისტ-თა“ ჯგუფი, რომელშიაც რეაქციონერი თავადაზნაურობა „ახალ თაობას“ უნდა გულისხმობდეს.

ისინი მოითხოვენ „ზემსტვოს“ (ადგილობრივი თვით-მმართველობა ერისა) შემოღებასა და სასწავლებლების გახ-

სნას, ამავე დროს ამხელენ „ძველი თაობის“ უნადაგო გამოსვლებს.

კრების დიდი ნაწილი უარყოფს „ზემსტვოს“ შემოღებას, რადგან ფიქრობენ, რომ ეს მათ გლეხებთან თანასწორობამდის მიიყვანს. ერთი თავადი გაიძახის: „მაშინ წახდა ქვეყანა, როცა მე და წვიმიტაძე ერთს ხაზზე დაგვყენეს, ახლა უნდათ წვიმიტაძის ყმაც ჩემი ტოლი გახადონ“.

თავადი კიკო კიდევ უფრო შორს მიდის: „არ გვინდა ზემსტვო, მან დალუპა რუსეთის მებატონენი, სადღა არიან ისინი, რომელთა სახლში ნადიმი გაუთავებელი იყო“, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ თავადი კიკო ასე მსჯელობს: „სტრიკულთ ჯერ ითხოვეს ზემსტვო, ახლა... ახლა სწავლა განათლებას, ეს კარგია, მაგრამ სად? იქ სადაც თვითონ მშობლები არიან ნასწავლნი? ჩვენში ანბანიც არ იციან მშობლებმა. ჯერ უნდა ისწავლონ მშობელთა, და მერე დაზარდონ შვილები. ამას თხოულობს ჩვენი საზოგადო ინტერესი.“

ახელიკიკო: მაშ ვითხოვთ, რომ მშობლები დიაკეს პანსიონში მიგვიღონ და ჩვენმა შვილებმა თითოში 40 თუმანი ძლიონ ჩვენი სასწავლებელი.

კრება: ვითხოვთ! ვითხოვთ!

გორჯასპი: ვაპროს ისჩერპან. სწავლა-განათლება შვილების ედინოვლასნო ოტვერლი. მშობლების განათლებაზე შეადგინონ პროექტი და სმეტა, ჩვენმა ბანკმა ამ საქმისათვის მისცეს 100,000 მანეთი“.

„ახალი თაობის“ პროგრესულ წინადადებებს რეაქციონურად განწყობილი თავადები დევნიან და აიძულებენ მათ კრება დასტოვონ.

დიდგვაროვან თავადებს შემოაქვთ თხოვნა, რომ ვინაიდან ვალების გადახდის საშუალება აღარ გააჩნიათ, ამიტომ მათ ხელისუფლებამ აპატიოს ეს ვალები. მათ შორის არის ვასილ მედიდურაძის თხოვნაც. ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ „სტრიკულისტნი“ (ახალგაზრდობა), ამის გამო მათზე ამხედრდება კრება, ჩაფარ ქაჩუა იძრობს ხანჯალს და თან გაიძახის: „გამიშვით! გამიშვით! უნდა დაეჩეხო, ლუკმა-ლუკმა (რაკი არავინ იქერს ხანჯალს ისევ ჩააგებს).“

ორატორი კიკო კი კრებას „ახალი თაობის“ შესახებ ასე მიმართავს: „ბატონებო, ყველა დავეკარგეთ, წარსული, აწმყო, მყობადი, ნაჰყო და სამყო. ერთი სახელი დავგრჩენია ჩვენთა სახელოვანთა მამათაგან ჩაბარებული, ცხრაკლიტულში ჩაქეტილი, ცხრა ბეჰდით დაბეჰდილი, ჩირქმოუცხებელი... დღეს ამართულა ჩვენზედ მტერი ძლიერა, ბტერი საშინელი, რომელსაც სახელიც კი ეწოდება ზარის დამცემი... აღძრულან ჩვენზედ სტრიკულისტნი და უნდათ ჩვენი დედამიწასთან გასწორება. ამის გამო მოვიშორით ეს მტრობა, რომელიც საშინელი რისხვით ემუქვრის ჩვენს საბოლოოს, ვაცნობოთ ვისდამიც ჯერ არს, რომ ეგენი ინახამენ ფრანგულ ენაზედ ტურგენევის რომანებს და კითხულობენ ბელინსკის თხზულებას...“

აქ შემთხვევითარ არის ბელინსკი დასახელებული. ი. ჰავაძეს ჯერ კიდევ სამოციან წლებში „ძველჲა თაობამ“ წაუყენა ბრალდებად, რომ იგი საქართველოში ბელინსკის წიგნებით შეიარაღებული მოვიდა. რაც შეეხება ფრანგულ ენაზე ტურგენევის რომანების შენახვას, ამ შემთხვევაში, თავად კიკოს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის დიდი თანაგრძნობა, რომელიც ახალ თაობაში გამოიწვია პარიზის კომუნამ. როგორც ჩანს, მას ამ მხრით სხვა ვერაფერი მოუნახავს და „ახალ თაობას“ ტურგენევის ნაწარმოებთა ფრანგული თარგმანების შენახვასაც კი ბრალდებად უყენებს. თავადი კიკო და მისი ამყოლი თავადები ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ როგორმე „ახალი თაობა“ გზიდან ჩამოიცილონ.

კრებაზე მრავალი სხვა წინადადებები შეაქვთ, ზოგი რას თხოულობს და ზოგი რას; „მზარიპარიას“ (ასე უწოდებენ თავადები) წინადადება შეაქვს მოითხოვონ ღვარდია და ვალების პატიება, 363 ზულუსი თხოულობს „კონვერსიას“. თრატორი კიკო „მაიორატს“, მაგრამ არცერთ მათგანს არ ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. მათ ისე გაიგეს, რომ „კონვერსია“ თითქოს ნიშნავდეს ვალების ნაწილობრივ პა-

ტიებას, ამიტომ ისინი მოითხოვენ „კონვერსიის“ უარყოფას, ვალები სულ უნდა გვეპატიოსო. თავადაზნაურთა ერთა ჯგუფი მოითხოვს აიკრძალოს გაზეთები, წიგნები, მწიგნობრები, რომელთაც არ სწამთ მათი ახირებული აზრები. ორატორი კიკო უმატებს: „ყველა დიდებული საქმე დევნილია მწიგნობრისაგან, ისინი ქადაგებენ თავისუფლებას, თან: სწორობას“.

კრებაზე აღმოჩნდნენ ისეთი მოხუცი თავადები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ბატონყმობის გაუქმება ქვეყნის წინაშე დანაშაული იყო და მისი აღდგენა ვითხოვოთო. გორჯასპს ამასთან დაკავშირებით წინადადება შეაქვს: „ეკითხოს ბანკსა შეუძლიან თუ არა გადიხადოს ბატონყმობის ფული და მოხსენდეს კრებას“. გადამდგარი პოლკოვნიკი თავად დავიწყებული იმასაც კი აღნიშნავს, რომ „მამულები „უღელს“ მივყიდოთ და ჩვენ რუსეთში გადავსახლდეთო, რადგან აქაური მამულები გროშად არა ღირს“ და სხვ.

კრებაზე წინადადებით შემოდის ოთარაანთ არჩილი, რომლის აზრითაც ქვეყნის ხსნა ტირილსა და ცრემლის ღვრაშია. მოვიყვანოთ ეს ადგილი ნაწილობრივ.

ოთარაანთ არჩილი: „ბატონებო, მრავალი აზრი ისმის მწერლობაში, საზოგადოებაში, ამ ჩვენს კრებაში, და თვით ჩენი განათლებული ევროპა ეძებს უპოვოს ძარღვი და ხსნა დღევანდელს აწეწილს მღვთმარეობასა, მოშლილს მეხანიზმს, სოციალურ ბოროტს და კაცთა სიწინებდრეს. ისმის ათასი რჩევა, ათასი სწავლა ამის საშველათ, — მაგრამ ყოველივე ამაოდ! მხოლოდ მარტო მე და ნეტარმან ამბროსი ნეკრესელმან უპოვეთ ხსნა, არამცთუ ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელს ევროპას, მთელს ქვეყნიერებას. ეს გახლავთ ცრეპლი. უნდა ვიტყვიოთ და ვღვაროთ ცრემლი დაუსრულებელა, ვიდრე ცრემლი იგი არ გადიქცევა ზღვად, არ წაგლეკავს ცოდვიან ჩვენთა და არ ჩაიბრანს უფსკრულსა შინა ოკეანიასა. საცრემლეების სასყიდლად გვაძლიოს ბანკმა ათასი თუმანი წლიურად.“

ორატორი კიკო: დიდი და ღრმა აზრი დევს ოთარაანთ არჩილსა და ნეკრესელის მოხსენებაში... ტირილი ბატონებო, ტირილი ღმერთს გაუჩინია. ყოველი სევდის გასაქარვებლად, ყოველი სენის განსაკურნებლათ.

ოთარაანთ არჩილი: და მაშინ, როდესაც ცოდვიანი ჩვენნი წარიღვრიან ცრემლთა ჩვენთაგან, მაშინ მტრედი იგი ნოეს კიდობნისა მოფ-

რინდება ზეთის ხილის შტოთი და ახარებს ქვეყნიერებას ქვეყნის განახლებას, ერთობას, ძმობას, თანასწორობას...

ო რ ა ტ ო რ ი კ ი კ ო: ბატონებო, რა გვესმის ეს! თანასწორობა! დემაგოგ! о́бмаскаты!.. к прокурору!

დერეიშო: к прокурору! დემაგოგ!.. газетчик!.. книжник... вои книжников...

ზ უ ლ უ ს ნ ი: უბიტ, ზარუხატ!

ჩ ა თ ა რ ი ქ ა ჩ უ ა (იძრობს ხანჯალს) გამიშვით! მოვკლავ! უნდა ლუკმა-ლუკმა ავიჩხო! (რაკი არაფერს იქერს, ხანჯალს ისევ ჩააგებს).

ხ ე ლ ი კ ი კ ო: ბატონებო, თანასწორობას ნუ ვითხოვთ, მარტო ტირილი ვითხოვთ.

კ რ ე ბ ა შ ი: ვითხოვთ! ვითხოვთ!

ხ ე ლ ი კ ი კ ო: და ბანკიდ-მ საცრემლე ფული მივცეთ.

კ რ ე ბ ა: მივცეთ! მივცეთ!

ო რ ა ტ ო რ ი კ ი კ ო: ბატონებო, ტირილისაგან წარმოსდგებაო თანასწორობა. მაშ როგორ უნდა ვითხოვოთ ტირილი ჩვენს დასალუბავათ... არ გვინდა!

კ რ ე ბ ა: არ გვინდა, არ გვინდა!

გ ო რ ჯ ა ს პ ი: ვოპროს ისჩერბან (სეკრეტარს) ტირილი კაკ დემოლო-ლიჩესკოე უჩენიე, ვდინოლლასნო ოტვერდლითქო“.

ჩვენი ფიქრით, ამ შემთხვევაში, ა. ფურცელაძის მიერ გადმოცემული უნდა იყოს ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისადმი“ რეაქციულად განწყობილი თავადაზნაურობის დამოკიდებულება, თუ როგორ გაიგეს მათ „ოთარაანთ ქვრივის“ დედააზრი. გავიხსენოთ „ოთარაანთ ქვრივიდან“ ქვეთავი „დასაწყისი განთიადისა“. ამ თავში ილია ჭავჭავაძე მომავალში თავადასა და გლეხს შორის დამოკიდებულების საკითხს ეხება.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ წინააღმდეგობების შესახებ, რომელიც მაშინ არსებობდა გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის, აგრეთვე ამ წინააღმდეგობების მოხსნის შესახებ. ი. ჭავჭავაძის აზრით, ამ ორ წოდებას შორის ხიდი კვლავ ჩატეხილია და საჭიროა ეს ხიდი გამრთელდეს, გლეხობამ, როგორც ქვეყნის მთავარმა ბურჯმა, წოდებათა შორის თავისი განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიჭიროს.

„ოთარაანთ-ქვრივის“ ამ ქვეთავში კესოს მიერ გიორგის

(გლებობა) მისამართით დაღვრილ ცრემლს, არჩილისა და კესოს სინანულს გლებობის მდგომარეობის გამო გამოწვეულს, ი. ჭავჭავაძე მიიჩნევს „განთიადის“, „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენის დასაწყისად.

ზემოაღნიშნული რეაქციონური ფრთა თავადაზნაურობისა კესოს ცრემლებს, არჩილის სინანულს გულუბრყვილოდ. თავისი პირდაპირი მნიშვნელობით გებულობს. მათ არ შეაწყვეთ უნარი ამ ნაწარმოებში ღრმად ჩაიხედონ. ეს გარემოება ძალიან წააგავს გ. ბარათაშვილის „კრიტიკას“, რომელიც მან სამოციან წლებში აწარმოვა ი. ჭავჭავაძის პოეზიის, კერძოდ ლექსის „გაზაფხულის“ მიმართ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან ამ ლექსის სტრიქონები თავისი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. ი. ჭავჭავაძის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ იყო ახალი.

ჯერ კიდევ სამოციან წლებში როგორი ცუდი, კრიტიკული დამოკიდებულება იყო თავადაზნაურობასა და ი. ჭავჭავაძეს შორის ეს ნათლად ჩანს ანტონ ფურცელაძის მოგონებებიდან. იგი არჩილ ჯორჯაძის წინააღმდეგ დაწერილ სტატიაში წერს: „თქვენ რომ ჩვენი ინტელიგენციის ისტორიის მასალები გცოდნოდათ, არ უნდა გამოგპაროდათ ქრისტეფორე მამაცაშვილის წერილები ი. ჭავჭავაძის შესახებ, სადაც იმას ელოდა ხიფათი თავად-აზნაურთაგან, მისი ყმების განთავისუფლების სარჩლისათვის, რომ მე და ქრისტეფორე მამაცაშვილი ფეხდაფეხ დავდევდით ჭავჭავაძეს, იარაღით ხელში, რომ მისთვის არათფერი ხიფათი არ შეემთხვიათ“¹... ამასვე ი. ჭავჭავაძის შესახებ ადასტურებენ სხვა საზოგადო მოღვაწეებიც. ცხადია, ი. ჭავჭავაძეს ქართველი თავადაზნაურობა „მოსაკლავად დასდევდა“ იმ მოწინავე აზრების გამო, რომლითაც სამოციან წლებში გაქვნილი იყო მისი ნაწარ-

¹ ა. ფურცელაძე, „არჩილ ჯორჯაძის ფანდები“, ლიტერატურული მუზეუმი, № 5919-6, იხილეთ აგრეთვე ა. ფურცელაძის წერილები „ბათუმის გაზეთში“.

შოებები და გამოსვლები, განსაკუთრებით ბატონყმობის წინააღმდეგ.

ბრძოლის ეს პროცესი, რომელიც ჩვენ ამ შრომის მომდევნო თავში განვიხილეთ, „ძველსა“ და „ახალ თაობას“ შორის სამოცდაათიან წლებში მიმდინარეობდა. „ოთარაანთ ქვრივი“ კი უფრო გვიან, 1887 წელს დაიწერა და 1888 წელს გამოქვეყნდა. კომედია „ვითხოვოთ!“, როგორც მისი თავფურცლიდან ჩანს, გადაწერილია 1890 წელს, ცხადია ის უფრო ადრეა დაწერილი. ძირითადი, რაც ამ ნაწარმოებს საფუძვლად დაედო სამოცდაათიან წლებში მოხდა, როგორც ჩანს, შემდეგ ანტონ ფურცელაძემ კომედიაში ახალი სცენა („ოთარაანთ ქვრივთან“ დაკავშირებით) შეიტანა. იმის გასაგებად, თუ როგორ შეხვდა ქართველი თავადაზნაურობა „ოთარაანთ ქვრივის“ გამოსვლას, ამ სცენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

კრების ერთი მონაწილე თავის სიტყვაში სხვათაშორის ახსენებს სიტყვას „რევოლუციას“. ამის გამგონე თავადები ვანგაშს ასტეხენ და ერთმანეთს დაერევიან. თავადი კიკო ჰყვირის: „ბატონებო! რევოლუციაო! ყარაულ!“ და სხვ. ასეთ არეულობაში ეშვება IV მოქმედების ფარდა.

ბოლო მოქმედებაში შემოდის გორჯასპი, რომელიც თავადებს აცნობს მათ თხოვნაზე იმპერატორის პასუხს:

„თანამად ყრილობის თხოვნისა თავად ივანე მტარვალს და სხვათა დანაშაუვთა ეპარხოთ დანაშაული და მიეკეთ ნება თავის ქვეყანაში დაბრუნებისა. მიენიკოთ მიიორატი, თუ გამოარკვევენ აზრს ამ საგნის შესახებ. უდელს ნება მიეცეს იყიდოს თავადთა მამულები, თუ ყიდვა ხელს მისცემს. გაიხსნას სუბუქი და იაფი კრედიტისათვის ბანკი, სადაც დაგირაედეს ყველა ის მამული, რომელზედაც არ ყოფილა, არც არის და არც იქნება დავა. დანარჩენი თხოვნები დარჩენენ უყურადღებოთ, რადგანაც ეხებებიან მთელი სახელმწიფოს ინტერესებს და კანონმდებლობის საფუძვლებს“.

ყველანი: ვინ იყო ჩვენი დამლუპველი! (მიდის გული ქალებს, კაცები ხელებს იშენენ თავში)“.

ასეთი პასუხი მიიღო გალატაკებულმა თავადაზნაურობამ მეფისაგან. ამ კლასმა გაანიავა რა თავისი შეძლება, აღ-

გილ-ჰამული, მეფის მთავრობას მიმართა ხსნისათვის, მაგრამ ამოდ, გალატაკებულ თავადაზნაურობა მაშინ იმპერატორისათვის საკიროებას აღარ წარმოადგენდა, არც შეეძლო მას მათი თავაშეებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

პიესაში კრიტიკული თვალსაზრისი ისეთ ფორმაშია განვითარებული, როგორც იგი დამახასიათებელია კრიტიკული რეალიზმისათვის. მწერალი შეუპოვრად ესხმის თავს ნიადაგგამოცლილ ქართველ თავადაზნაურობას, კოლორიტულ სახეებში გვიჩვენებს მათ ანტისაზოგადოებრივ მისწრაფებებს.

ამ პიესის დაბეჭდვა ანტონ ფურცელაძეს ვერ მოუხერხებია, ისე როგორც ი. ჭავჭავაძემ ვერ შეძლო „გამოცანების“ დაბეჭდვა. როგორც ა. ფურცელაძის არქივში დაცულ ხელნაწერიდან ჩანს 1890 წელს პიესა „ვითხოვოთ!“ გამოსაცემად მოუშადადებია ზაქარია კვიციანიძეს, მაგრამ ვერ გამოუქვეყნებია. ქართველი თავადაზნაურობის სახით ასეთ ფორმებში საქვეყნოდ გამოტანა, როგორც ჩანს, რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

პიესა „ვითხოვოთ!“ მაშინდელ წრეებში, რომ ცნობილი იყო, ეს ნათლად ჩანს ანტონ ფურცელაძის ასულის ივლიტას მოგონებებიდან. იგი წერს: „ერთ საღამოს თბილისში ჩვენსას იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ხიზანიშვილი და კიტა აბაშიძე. მამამ წაიკითხა თავისი პიესა „ვითხოვოთ!“, რომელშიაც აღწერილია ერთ ეპიზოდად თავად-აზნაურთა ქეიფი. ამ ქეიფზე ღვინით შეზარხოშებული ერთი თავადი დაიძახებს: „დაჰკა, მეზურნე!“... მამამ ეს ადგილი ხმამაღლა წაიკითხა... ამ დროს მოქეიფე ხალხი ჩვენი სახლის მახლობლად ზურნით მიდიოდა და მამას ხმაზე „დაჰკა, მეზურნე“-ო. მათაც ზურნა დაუკრეს. ამ შემთხვევამ დიდი სიცილი გამოიწვია იქ დამსწრეთა შორის“.

¹ ივლიტა ფურცელაძე. ანტონ ფურცელაძე (მოგონება მამაჩემზე), „ლიტერატურის მატყანე“, წიგნი 5, ნაკვეთი I, 1949, გვ. 28.

ასეთი გაბედული მებრძოლი კრიტიკით გამოვიდა, ა. ფურცელაძე რეაქციონერი თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ასეთი რადიკალური გამოსვლები საერთოდ დამახასიათებელი იყო მისთვის.



გაზეთმა „დროებამ“ 1866 წლიდან დაიწყო გამოსვლა. გაზეთის პირველსავე ნომერში მოთავსებულ სარედაქციო წერილში რედაქტორი გ. წერეთელი წერს: „ქართულს ენაზედ ჯერ ჩვენ არა გვაქვს ჟურნალი, რომელსაც კი თავისი მნიშვნელობა ესმოდეს. ამ სამის წლის წინ დაწესდა „მომამბე“, კარგის მიმართულებით, მაგრამ საუბედუროდ, ერთის წლის მეტი იმას არ უცხოვრია. გაზეთი აქამომდე სულ არ გამოცემულა“¹. ამ სარედაქციო წერილში „ცისკარი“ სრულიად არ არის მოხსენებული.

გაზ. „დროება“, რომელიც მაშინ ახალი თაობის ორგანოს წარმოადგენდა (მასში მონაწილეობდნენ — გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ა. ფურცელაძე, ნ. ლოდობერიძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მელიქიშვილი, დ. მიქელაძე და სხვ.) უურ. „საქათველოს მოამბის“ იდეურ ხაზს აგრძელებდა. მისი დაარსების იდეა, როგორც ეს გაზ. „დროების“ ათი წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულზე სტ. მელიქიშვილმა აღნიშნა, პირველად ი. ჭავჭავაძემ გამოთქვა.

გაზ. „დროება“ ძირითადში იმ დროისათვის პროგრესულ-დემოკრატიულ იდეებს ქადაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის რედაქციას პოლიტიკური შინაარსის ნაწარმოების ბეჭდვა აკრძალული ჰქონდა და მეფის ცენზურა რედაქტორს ავიწროებდა, გაზეთი მაინც შეძლებისდაგვარად ახერხებდა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას, ოღონდ ძალინ დიდი შენიღბვა იყო საჭირო, რომ თავისუფალი აზრის შემცველი ნაწარმოები გა-

¹ წერილი გამოაქვეყნა ს. ხუნდაძემ (იხ. გ. წერეთელი, გვ. 74).

ზეთს გამოეკეცებინა. ცენზურა თავისუფალ აზრს თუ რამდენად ზღუდავდა, ეს ნათლად ჩანს გაზ. „დროების“ პირველი რედაქტორის გ. წერეთლის მიერ კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ წერილიდან: „მაგრამ ამას კი ძალიან გეხვეწები, წერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბეც კითმამზოვის თვალებს არ შეეჩხიროს, თორემ უეჭველად ამოშლის და სტატიას ძალა დაეკარგება“¹. შემდეგ, როდესაც გ. წერეთელი რედაქტორის თანამდებობაზე ს. მესხმა შეცვალა, მეფის ცენზურა გაზ. „დროებას“ კიდევ მეტი სიმკაცრით აღევნებდა თვალყურს. გაზ. „დროებამაც“ მოძებნა შენიღბვის თავისებური გზა. გაზეთში აზრები, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „შემურვილი“ სახით არის წარმოდგენილი. ამ მხრით განსაკუთრებით დახელოვნდა აკაკი წერეთელი. მისი ფელეტონები სწორედ ამ „შემურვილი“, ე. ი. შენიღბული სახითაა დაწერილი.

მეფის მთავრობა გაზ. „დროებას“ დევნიდა. ეს დევნა რამდენად ძლიერი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სემინარიამი მოსწავლეებს მისი კითხვა აკრძალული ჰქონიათ. გაზეთის რედაქტორს ს. მესხს თავის წერილში „კიდევ ქართული ენის დევნაზედ“ მოჰყავს იმისი მაგალითი, თუ სემინარიიდან როგორ გააძევეს ერთი შეგირდი იმისათვის, რომ იგი გაკვეთილზე გაზ. „დროებას“ კითხულობდა. აქვე ს. მესხი წერს. რომ სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს „უამივით სძულს ის შეგირდები, რომელნიც ქართულ გაზეთებსა და წიგნებს ჰკითხულობენ და ყოვლის ღონისძიებით ცდილობს, რომ რამე მიზეზი მოუწახოს და გამოყაროს ისინი ინსტიტუტიდან“². მეფის მთავრობის მოხელეთა ასეთი დამოკიდებულება გაზ. „დროებისადმი“ გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გაზ. „დროება“ მაშინ ერთადერთი ორგანო იყო, საიდანაც ხალხის გამომაფხიზლებელი ეროვნული, დემოკრატიული იდეები გაისმოდა. საერთოდ,

¹ ს. მესხი, ნაწერები. ტ. I, გვ. 319.

² „დროება“, № 1, 1867.

როდესაც გაზ. „დროებაში“ ძველი თაობის ან მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ მასალებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს მასშინდელი ცენზურული პირობები, რომ კრიტიკულ წერილებში, მხატვრულ ნაწარმოებებში დაფარული აზრი ამოვიკითხოთ. გაზეთი „დროება“ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკის საკითხში აგრძელებს ახალი თაობის მიერ თავიდანვე აღებულ გეზს. გაზეთ „დროების“ რედაქცია კვიცხავს იმ პირებს, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ქება-დიდებას ასხამენ და მოითხოვს დაუნდობლად შვის სინათლეზე გამოიტანონ ცხოვრების ნაკლოვანებები. ანეთი აზრია გატარებული გ. წერეთლის სარედაქციაო წერილში „ძველის წლის ნაყოფი და ახლის წლის კოკრები“¹. გ. წერეთელი წერს, რომ „დროებაზე“ ამბობენ, „ენა რად დაიგრძელა, რომ ჩვენი ნაგვის კარში გამოტანა დააპირაო“, ჩვენ კი იმას ვწუხვართ, რომ „დროებას“ იმდენი ღონე არ ჰქონდა ცხოვრების უმსგავსოება ნათლად წარმოედგინა მკითხველის თვალწინ“.

სამოცდაათიან წლებში „ძველი თაობის“ წინააღმდეგ დაწერილი ნაწარმოებები ან გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა ანდა გამოზნული იყო მასში დასაბეჭდად.

ძველმა თაობამ ბრძოლა კვლავ განაახლა ეურ. „ცისკარში“, რომელიც ამ დროს სულს ღაფავდა და თავისი იდეური მიმართულებით რეაქციონური იყო. ეურ. „ცისკარი“ და გაზ. „დროება“ დაპირისპირებული პერიოდული ორგანოები შეიქმნენ. გრ. ორბელიანმა, რომელსაც მხარს უჭერდა ეურ. „ცისკარის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე, თავისი პოლემიკური ლექსი „პასუხი უღირსთა შვილთა“, როგორც ვიცით, ეურ. „ცისკარში“ გამოაქვეყნა. ამ ლექსში მან გაზ. „დროების“ რედაქტორი ს. მესხი, გამომცემელი სტ. მელიქიშვილი და თანამშრომელი დავით მიქელაძე ცალკე მოიხა

¹ „დროება“, № 1, 1867.

სენია. როგორც „ცრუ ლიბერალნი“ და „ცრუ პატრიოტები“:
გრ. ორბელიანმა გაზ. „დროებაში“ ძველი თაობის იდე-
ური მტერი დაინახა და ამაში იგი არც შემცდარა.

გაზ. „დროების“ რედაქტორი ს. მესხი ძველი თაობის
წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა,
ზოგჯერ იგი ამ ბრძოლის ორგანიზატორის როლშიაც გამო-
დიოდა. ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ აკაკისადმი ს. მესხის წე-
რილი, რომელშიაც იგი სთხოვს, დაწეროს გრ. ორბელიანის
ლექსის „პასუხი უღირსთა შვილთას“ წინააღმდეგ „მხამი-
ანი პასუხი“. მართლაც, გაზ. „დროებამ“ გამოაქვეყნა ძველი
თაობის მიმართ აკაკის მკაცრი სატირა— „პატრიოტის აღსა-
რება“. დროებაში დაიბეჭდა აკაკის ფელეტონი „ახმედ-ფაშა
კახაბერი“ და ლექსი „ძველი და ახალი წელი“, რომელშიაც,
როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ალეგორიულ ფორმაში ძველი
თაობა დაუზოგავად არის გაკიცხული, გაზ. „დროებაში“ უნ-
და დაბეჭდილიყო ილიას „გამოცანები“ და აკაკის ლექსი „ხა-
რაბუზა ლენერალს“, მაგრამ ეს ლექსები ვერ აღმოჩნდნენ
ისე შენიღბულნი, როგორც ზემოთ აღნიშნული აკაკის ნაწარ-
მოებნი, რომლებიც გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდნენ, და ამი-
ტომაც ცენზურას ვერ გააპარეს.

ჩვენ აკაკის ფელეტონის „ახმედ-ფაშა კახაბერის“ გან-
ხილვისას ისიც ვნახეთ, რომ თბილისში ახალ თაობას ჰქონ-
და კრება, რომელზედაც განუხილავთ ილია ჭავჭავაძის პო-
ლემიკური ლექსი „პასუხის პასუხი“. ეს სხდომა, შესაძლებე-
ლია, გაზ. „დროების“ რედაქციაში შედგა, რადგან მაშინ
ახალი თაობა ამ გაზეთის გარშემო იყრიდა თავს.

გაზ. „დროების“ რედაქტორმა ს. მესხმა სპეციალური
წერილი დაწერა სათაურით „ჩვენი მამები და შვილები“.
ამ წერილში ს. მესხი აღნიშნავს, რომ ძველი თაობა ჩამორ-
ჩენილსა და ძველს ებლაუქება, რომ ისინი ქვეყნის განახლე-
ბას წინ ელოდებიან; შვილები ძველ თაობას აბრალევენ
„მროდე საქმეებს, საზოგადო სიკეთეზე დაუდევრობას და

შხოლოდ თავის საკუთარ თავზე ზრუნვას“, ძველს ყოველთა-
ვის ეწინააღმდეგება ახალი, აზრთა კიდის წინ ნიყანს სა-
ზოგადო საქმე, მაგრამ იგი აქვე მიუთითებს, რომ ძველსა
და ახალ თაობას შორის წინააღმდეგობა ქართველი ხალხის
ისედაც მცირე ძალებს ანაწილებს, ქსაქსავს და საჭიროა ეს
„დაუნდობლობა“ მოისპოს, ძველმა თაობამ გზა უნდა და-
უცალოს ახალ თაობას, მომავალს. -

1876 წლის მარტში გაზ. „დროების“ დაარსებიდან ათი
წელი შესრულდა. ეს დღე ზეიმით იქნა აღნიშნული. ღოწიან-
ვე ისტელიგენციამ გაზ. „დროების“ სახალხო ღვაწლს ჯე-
როვანი შეფასება მისცა. დღესასწაულში მონაწილეობდნენ:
ილია ჭავჭავაძე, ს. მესხი, ა. წერეთელი, სტ. მელიქიშვილი,
ნ. ნიკოლაძე, ბ. ლოლობერიძე, გრ. არწუნი, აბგარ იოანესი-
ანი, არტ. ჩიმიშვიანი და სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწე
იუბილეს არ დასწრებია გრ. ორბელიანი. იგი ისე მოიქცა.
როგორც საზოგადო მოღვაწეს არ შეეფერებოდა. მას ამ
ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით დაუწერია პასკ-
ვილი — „დროების ათი წლის იუბილე, ფერხული და ბუქ-
ნა“. ლექსი მაშინ არ გამოქვეყნებულა, მისი ავტოგრაფი
ს. ხუნდაძემ აღმოაჩინა ი. ჭავჭავაძის არქივში. როგორც გა-
მოირკვა ეს ლექსი მაშინ ზეპირად ვრცელდებოდა. ზ. კიკი-
ნაძე და ი. მეუნარგია ამ ლექსზე თავიანთ შრომებში მიუთა-
ობენ. ზ. კიკინაძეს წიგნში „ბესიკი, თ. ალექსანდრე ჭავ-
ჭავაძე და თ. გრ. ორბელიანი“ ამ ლექსიდან ასეთი ადგილი
მოჰყავს:

ვერ ისწავლა მ(ესხმა) წერა, ვერა, ვერა,
და არც სჯერა, რომ მან წერა
ვერ ისწავლა, ვერა, ვერა.

ლექსი მიმართულია გაზ. „დროებისა“ და მისი რედაქ-
ტორის ს. მესხის წინააღმდეგ. ამ ლექსში გრ. ორბელიანი
მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეურნალმა „ცის-
კარმა“ და „მნათობმა“ შესწყვიტეს თავისი არსებობა. „ცის-

კარი“ დაიხურა 1875 წელს, ხოლო „მნათობი“ 1872 წელს.

გრ. ორბელიანი მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „ცისკრის“ ნზე ჩაესვენა, აღარ ისმის მისი „საამო ხმა“ და მისი ადგილი „უნიკო მწერლების“ გაზეთმა „დროება“ დაიკავა. იგი აღშფოთებულია, რომ გაზ. „დროება“, რომელიც მაშინ ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს გამოხატავდა, ქვეყანას მოქვლინა მფარველად. ამიტომ მაშინდელ ვითარებას ასეთ შეფასებას აძლევს:

ფუ ამ დროსა

უნიკოსა

უკაცოს,

რომ დროება

წინ გვიძღვება

მესხითა.

ჩენის ენის,

ჩენის ქვეყნის

მფარველად!!!

ბუქნა:—ფუ მესხის და მის დროებას...

გაზ. „დროების“ ასეთი შეფასება გრ. ორბელიანისათვის არ იყო შემთხვევითი, მას ამ დროს „ცისკრის“ რეაქციონურ ფრთასთან მიკტი ჰქონდა საერთო, ვიდრე გაზეთ „დროებასთან“. რომელიც თავისი იდეური მიმართულებით მეფის მთავრობის შაჯრაზმულ პოლიტიკას ოპოზიციაში ედგა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ამ ლექსის ის ნაწილი, რომელიც გაზ. „დროების“ ენას შეეხება. გრ. ორბელიანი ლექსის ამ ნაწილში პირდაპირ აღნიშნავს, რომ სერგი მესხმა, რომელიც მაშინ გაზ. „დროებას“ რედაქტორობდა, — „ენა წაგვიხდინა, წაბილწა?“ გრ. ორბელიანი იცავს ენის სიწმინდეს და „დროების“ რედაქტორს ს. მესხს ბარბარიზმებითა და არასწორი გრამატიკული ფორმებით ქართული ენის წარყვანაში ბრალსა სდებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ენის სიწმინდის დაცვის საკითხში გაზ. „დროების“ მიმართ გრ. ორ-

შელიანი მართალი იყო. გაზ. „დროება“ ძირითადად, ხალხური ერთიანი ახალი სალიტერატურო ენით აშუქებდა საკითხებს. გაზეთი ხალხში ახალ სალიტერატურო ენას წერგავდა. ეს იყო მისი დადებითი მხარე. ცხადია, გაზეთ „დროებაში“ ხშირად ვხვდებით ენობრივად მშვენივრად გამართულ ნაწარმოებებს. მაგრამ ეს „დროებაში“ ყოველთვის ასე როდი იყო. რედაქტორი ს. მესხი გაზეთში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, კორესპონდენციებს ყოველთვის საჭირო ყურადღებას ვერ აქცევდა. უნდა ვიფიქროთ, რომ რედაქციას ამისი საშუალებები არ გააჩნდა. ამიტომ გაზ. „დროების“ ენა ხშირად მოიკოჭლებს, გაზეთის ფურცლებზე შევხვდებით სალიტერატურო ენისათვის შეუსაბამ კეთხურ გამოთქმებს. არასწორად გამოთქმულ წინადადებებს, სიტყვებს და ბარბარიზმებს. ამისი მაგალითები არც ცოტაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრ. ორბელიანმა სამოცდაათიან წლებში ქართული ენის სიწმინდის დაცვას დიდი ყურადღება მიაქცია და ეს მისი დამსახურებაა.

გაზეთ „დროების“ ენა რომ თავის სიმალეზე არ იდგა. ამას არც „დროების“ პირველი რედაქტორი გ. წერეთელი ფიცავდა. იგი წერდა: „დროება“ ნამდვილი ქართული ენით ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ ანკი სად უნდა ესწავლა ქართული ლაპარაკი, ცოტა მოზრდილა თუ არა „დროების“ თანამშრომელი, მაშინვე იმისთანა სასწავლებელში მიუღიათ, სადაც ქართულ ენაზედ ერთი აზრიც არ მოუხმენიათ... იმათი გონება და აზრი თანდათან უცხო კილოზედ დაწყობილა და ამის გამო ბუნებითი ენის კილოც დაუკარგავთ“. რა თქმა უნდა, ეს ვერ არის გასამართლებელი საბუთი. გაზეთის, მით უმეტეს ერთადერთი სახალხო გაზეთის, ენა დახვეწილი, სუფთა ენა უნდა იყოს. ის გარემოება, თუ სად სწავლობდა გაზეთის თანამშრომელი, გასასამართლებელ საბუთად არ გამოდგება.

მაგრამ გრ. ორბელიანი საერთოდ მართალი არ იყო „დროების“ მიზნით. მან გაზ. „დროების“ ათი წლისთავზე, როდესაც ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ გაზეთს იუბილუ გადაუხადა, დადებითი ვერაფერი მონახა გაზეთის მუშაობაში და მასზე შემოაღნიშნული პასკევი დაწერა. ცხადია, ეს ძეგტი რომ არ ვთქვათ, დიდი შეუფასებლობა იყო იმ როლისა, რომელსაც მაშინ ქართული კულტურის განვითარების საქმეში გაზეთი „დროება“ ასრულებდა. მაგრამ ყოველივე ეს გასაგები იქნება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ გრ. ორბელიანის იდეურ მრწამსს, რომელიც მან ამ დროს პოემა „სადღეგრძელოში“ გამოთქვა. მას მაშინ სწამდა, რომ საქართველო თვითმპყრობელობის მფარველობის ქვეშ წარსული დიდების დღეებს დაიბრუნებდა. გაზ. „დროების“ თანამშრომელნი თვითმპყრობელობას ოპოზიციაში უდგნენ და სრულიად საწინააღმდეგო აზრს ავითარებდნენ.



აღნიშნული ნარკვევი ჩვენ უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ ასეთი დასკვნები:

1. XIX საუკუნის სამოციან წლებში „ძველსა და ახალ თაობას“ შორის იდეოლოგიური ხასიათის ბრძოლა დაიწყო. „ძველი თაობის“ იდეურ-პოლიტიკური მიმართულების გამომხატველნი და დამცველნი იყვნენ: ბარბარე ჯორჯაძისა, ეფთვიძე წერეთელი, რევაზ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სარდიონ ალექსიევ-მესხიშვილი, გიორგი ბარათაშვილი, ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბერიძე (ბერიევი), იაკინთე მესხიშვილი, გრიგოლ რჩეულიშვილი, გიორგი ევსევის ძე ერისთავი, თომა მაჭავარიანი და სამოცდაათიან წლებში გიორგი მუხრანსკი და გრიგოლ ორბელიანი, ხოლო „ახალი თაობის“ მხრიდან მათი იდეურ-პოლიტიკური მიმართულების წინააღმდეგ გაილაშქრეს და განახლებულ საქართველოსათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ლავ-

რენტი არდაზიანი, სერგი მესსი, ნიკო ნიკოლაძე, ანტონ ფურცელაძე და სხვ.

2. ამ ბრძოლას თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებით თუ პუბლიცისტური წერილებით ნიადაგი მოუმზადეს გიორგი დავითის ძე ერისთავმა, დანიელ ქონჭაძემ, მოლაყბემ (მ. თუმანიშვილი) და ლავრენტი არდაზიანმა. მათ უფრო ადრე გაილაშქრეს ძველი, ფეოდალურ-პატრიარქალური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

3. ეს ბრძოლა „ძველსა და „ახალ თაობას“ შორის იყო ბრძოლა, როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურული. „ძველი თაობა“ აიდეალებდა ფეოდალურ-პატრიარქალურ საქართველოს, ზოგიერთი მათგანი იცავდა ბატონყმურ წყობილებასა და რუსეთის ცარიზმს. „ახალი თაობა“, მოითხოვდა რა საქართველოს ცხოვრების განახლებას, იბრძოდა როგორც ბატონყმობის, ისე თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ.

4. „ძველი თაობა“ ამ ბრძოლის დროს იცავდა ქრისტიანული რელიგიის დოგმებს — თეოლოგიურ რეაქციონურ პრინციპებს, „ახალი თაობა“ კი ფილოსოფიაში იდგა მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე.

5. „ძველი თაობა“ იცავდა არქაულენას, რეაქციონური ხასიათის რომანტიზმ-სანტიმენტალიზმს, რომელიც ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუძღურებისაკენ ეზიდებოდა; ახალი თაობა კი იდგა რა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, მატერიალიზმის პრინციპებზე, იცავდა დებულებას — „ხელოვნება ცხოვრებისათვის“ და მოითხოვდა მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას, მაშინდელი ცხოვრების უარყოფითი მხარეების დაუზოგავად მხილებას. ამასთან ერთად „ახალი თაობა“ იბრძოდა ლიტერატურაში ხალხურობის პრინციპის გაბატონებისათვის და მოითხოვდა ერთიანი ხალხური ენის დამკვიდრებას.

6. ამ ბრძოლისას რუსეთის მესამოცე წლების რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების წიაღში აღზრდილ ახალ თაობას ახასიათებდა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების (ბელინსკის, ჩერნიშევსკის) გავლენა.

7. „ძველი თაობა“ თავადაზნაურულ იდეოლოგიას იცავდა, „ახალი თაობა“ კი მშრომელი გლეხობის მხარეზე იდგა და დემოკრატიულ პრინციპებს ქადაგებდა¹.

¹ ამ ნარკვევის ზოგიერთი თავი გამოქვეყნებულია „ლიტერატურული ძიებანის“ 1955 წლის მეცხრე ნომერში, სათაურით: „ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში“.